პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ოქტომბერი ხუთშაბათი 2011

№235 (13 532) ფასი 80 თეთრი



**დევიდ სტერნი (NBA-ის კომისარი):**

„ჩვენ დავიშალეთ და მორჩა [illegible] წამოუყენებიათ [illegible] შეხვედრის წინადადება. იქნებ ერთი ან ორი თვის შემდეგ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს. შეგიძლიათ, თქვენც იმარჩიელოთ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეზონი არ იქნება

## ლიგამ ოფიციალურად გააუქმა წინასასეზონო პერიოდი და სამ დღეში რეგულარულსაც იგივე ბედი ელის

## 260 000

დოლარს დაკარგავს საშუალოდ NBA-ის თითოეული კალათბურთელი





## ვარსკვლავები ევროპაში გარბიან

კობის ბედი ჯერ გაურკვეველია, პარკერი ვილერბანში წავიდა

14

# ლიგა კოსმოსში მიდის

## აბსურდი თუ რეალობა? უეფა ჩემპიონთა ლიგაზე პელეს ყოფილ გუნდს იწვევს




უეფა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ამერიკული „ნიუ იორკ კოსმოსის“ ჩართვას აპირებს - ასეთი სენსაციური ინფორმაცია მოიპოვა ინგლისურმა გაზეთმა „გარდიანმა“.

„კოსმოსი“ ის გუნდია, რომელსაც 70-იან წლებში სახელი გაუთქვეს პელემ, ფრანც ბეკენბაუერმა, იოჰან კრუიფმა და იოჰან ნეესკენსმა.

სპორტში ინტეგრაცია - ამერიკელი ფუნქციონერების იდეაა. დღეს NHL-ის კლუბები რეგულარულ ჩემპიონატს ევროპაში იწყებენ, ტრადიციად იქცა NBA-ის გუნდების ევროპული ტურნეები... უფრო მეტიც, საკალათბურთო ლიგის კომისარს დევიდ სტერნს ევროპული დივიზიონის შექმნის იდეა ამოძრავებს.

და აი, ახლა, ფეხბურთის ჯერი დადგა, თუმცა იდეა ამერიკელებისა არ არის - ეს დიდი რეფორმატორის მიშელ პლატინის ხელწერაა.

რაც შეეხება ამერიკულ მხარეს, პირველი კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, მათ დიდად არ მოიწონეს ეს იდეა. პირველ რიგში, ხანგრძლივი გადაფრენების გამო. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იქაური ლიგის - MLS-ის ოთხი კლუბი კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგაზე გამოდის, სადაც არანაკლებ ხანგრძლივი გადაფრენები უწევთ.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ნიუ იორკ კოსმოსი“, როგორც საფეხბურთო კლუბი, არ არსებობს. კლუბმა 1985 წელს შეწყვიტა არსებობა. თუმცა გასულ ზაფხულს იქ დაბრუნდა პელე, რომელმაც საპატიო პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, შემდეგ კი სპორტული დირექტორის თანამდებობა ჩააბარეს ფრანგული ფეხბურთის ლეგენდას ერიკ კანტონას. იგეგმება გაისად „კოსმოსის“ MLS-ის ლიგაში შეყვანა.

ამ ლიგის ბოსები აცხადებენ, რომ 2022 წელს სოკერი სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა გახდება შტატებში, ამიტომაც ამ ქვეყანაში ევროპული ფეხბურთის რეკლამირებისთვის კარგი ნაბიჯი იქნება იქაური კლუბის ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა. ახლა, ამ იდეის ხორცშესხმა პლატინიზე, პელესა და კანტონაზე იქნება დამოკიდებული.



ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ამაყი ვარ... მაგრამ მეტი შეგვეძლო

## ზელანდიიდან და არგენტინიდან გვაქვს შემოთავაზებები, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა

10

U 21. საქართველო-შვეიცარიის წინ. პრესკონფერენცია

# დანაკლისი დიდია, ოპტიმიზმი - არანაკლები


სოსო ჭედია

**გუშინ სასტუმრო "ბომონდ გარდენში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის, სოსო ჭედიას პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც საქართველო-შვეიცარიის მატჩამდე ორიოდე დღით ადრე არაერთი სიახლე შევიტყვეთ. ჭედიასთან ერთად მედიის წინაშე ნაკრების მეკარე გიორგი მაკარიძე წარდგა.**

**ჭედია:** - მინდა, პრესკონფერენცია უსიამოვნო თემით დავიწყო. სამწუხაროდ, ტრავმირებულები მოგვიმრავლდნენ და შვეიცარიასთან შეხვედრას ოპტიმალურთან ოდნავ მიახლოებული შემადგენლობითაც კი ვერ ჩავატარებთ. გამოირიცხა თორნიკე ზარქუას, ლევან კაკუბავას, ჯაბა ჯიღაურისა და თორნიკე ოქრიაშვილის თამაში, ძალიან საეჭვოა მატჩში ნიკა კვეკვესკირისა და თორნიკე თარხნიშვილის მონაწილეობა, ლევან მჭედლიძე კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. ასეთი საკადრო პრობლემების მიუხედავად, ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და გამარჯვების იმედიც გვაქვს. გუნდში თათბირი ჩავატარეთ, შევთანხმდით, რომ ესპანეთთან მატჩებში დაშვებული შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს და ჯგუფში მეორე ადგილისთვის ვიბრძოლოთ, ამისთვის კი უდიდესი მნიშვნელობა სწორედ შვეიცარიასთან მიღწეულ შედეგს ექნება.

**- ალბათ, ტრავმირებულებს შემცვლელებიც მოუძებნეთ.**

- დიახ, ნაკრებში გამოვიძახეთ ზვიად სიხარულია, გიორგი ლემონჯავა, ლაშა გვალია და მეკარე ჯონი შეროზია. იმედია, ისინი დაშავებულებს ღირსეულად შეცვლიან.

**- მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ძალაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა და მხოლოდ იქ დამარცხდა უძლიერეს ესპანეთთან. მოკლედ, ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდს ვეთამაშებით, თუმცა წარმატების დიდი იმედი გვაქვს.


გიორგი მაკარიძე

**- ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ნაკრებმა "მეორე ნომრად" ითამაშოს?**

- ალბათ, ასეც იქნება და თამაშს კონტრშეტევებზე ავაგებთ.

**- ესპანეთთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ბევრმა ამ თაობის ნიჭიერებაში ეჭვი შეიტანა.**

- სამი დღეა, რაც საქართველოს ახალგაზდულ ნაკრებთან ვმუშაობ, მაგრამ უკვე დავრწმუნდი, რომ საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, რომელთაც ყველაფერი წინ აქვთ. ბიჭების განწყობით კმაყოფილი ვარ. ესპანეთი კი სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიფიქროთ.

**- ახალგაზრდული ნაკრები ეროვნული გუნდის ყაიდაზე ითამაშებს?**

- ჩვენი გეგმა სწორედ ასეთია, თუმცა გვინდა, ჩვენი ნაკრებები დაცვაშიც და შეტევაშიც ერთნაირად ძლიერები იყვნენ და ამის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს.

■ ■ ■

**მაკარიძე:** - შვეიცარიასთან მატჩის მნიშვნელობა თითოეულ ჩვენგანს ძალიან კარგად ესმის. ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მის გამოსაყენებლად ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც კარგად ვართ მომზადებულები და ეს მოედანზეც გამოჩნდება.

**- ალბათ, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების ამბიციაც გაქვს.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ამისთვის საჭიროა, "ლე მანის" ძირითად შემადგენლობაში მყარად დავმკვიდრდე. ისიც ფაქტია, რომ ნუკრი რევიშვილის, გიორგი ლორიასა და როინ კვასხვაძის სახით ძლიერი კონკურენტები მყავს, მაგრამ მიზნის მისაღწევად ძალიან ბევრს ვიშრომებ.

■ ■ ■

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს, 19 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ღია ვარჯიშს ჩაატარებს, საქართველო-შვეიცარიის მატჩი კი, შეგახსენებთ, იმავე არენაზე ხვალ, 21 საათზე დაიწყება. სამწუხაროდ, მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟი არ იგეგმება.

■ ■ ■

ბოლოს კი, შემოგთავაზებთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას დაშავებულთა და დამატებულთა გათვალისწინებით. რაკი კვეკვესკირისა და თარხნიშვილის თამაშის შანსი ჯერ კიდევ არსებობს, ისინი სიაში დავტოვეთ.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე** („ლე მანი", საფრანგეთი), **გიორგი ნადირაძე** („დინამო", თბილისი), **ჯონი შეროზია** ("მერანი", მარტვილი);

მცველები: **დავით ხოჭოლავა** („დინამო" თბილისი), **ნიკოლოზ აფაქიძე** („ბაია", ზუგდიდი), **ივანე კანდელაკი** („სკონტო", ლატვია), **სოლომონ კვერკველია** („რუბინი", რუსეთი), **ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ლაშა კალანდაძე** (ორივე - „გაგრა"), **მამუკა კობახიძე** („ზესტაფონი");

ნახევარმცველები: **ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ლექვთაძე** (ორივე - „დინამო" თბილისი), **თორნიკე თარხნიშვილი, გივი იოსელიანი** (ორივე - „ტორპედო", ქუთაისი), **ნიკა ძალამიძე** („ვიძევი", პოლონეთი), **ვალერი ყაზაიშვილი** („ვიტესი", ჰოლანდია), **ლუკა გუგუჩია** („ბაია", ზუგდიდი), **გიორგი ლემონჯავა, ლაშა გვალია** (ორივე - კოლხეთი", ფოთი);

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე** („ემპოლი", იტალია), **გიორგი ჭანტურია** („ვიტესი", ჰოლანდია), **ირაკლი ქობალია, ზვიად სიხარულია** (ორივე - „ბაია", ზუგდიდი).

ლევან ჯანეზაშვილი




U 21. მეტოქე


ჩვენი ჯგუფის მეტოქეები, ესპანეთი და შვეიცარია წლევანდელ ევროფინალში

# შვეიცარიის ნაკრები საფუძვლიანად ჩამოვიდა

უკვეორი დღეა, შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები თბილისშია, ქართველებთან ხვალინდელი დაპირისპირებისთვის ემზადება და აქტიურად ვარჯიშობს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პიერლუიჯი ტამიმ** 20-კაციანი შემადგენლობა ჩამოიყვანა.

მეკარეები: **რომან ბურკი** (გრასჰოპერი), **სტივენ დიანა** (სიონი), **ბენჟამინ სეგრისტი** (ასტონ ვილა);

მცველები: **ფილიპ კოხი, რაფაელ კოხი** (ორივე – ციურიხი), **ფრანსუა აფოლტერი** (იანგ ბოიზი), **ფაბიო დაპრელია** (ბრეშია, იტალია), **როლფ ფელტშერი** (პარმა, იტალია), **თოლან შაქა** (ბაზელი);

ნახევარმცველები: **მარკო შონბახლერი, იოსიპ დრმიჩი** (ორივე – ციურიხი), **პაიტიმ კასამი** (ფულემი, ინგლისი), **ოლივერ ბუფი, მარკო ნასიმ ბენ ხალიფა** (ორივე - იანგ ბოიზი), **ჰარის სეფეროვიჩი** (ქსამაქსი), **შტეფან ცუბერი** (გრასჰოპერი);

თავდამსხმელები: **სებასტიან ვიუტრიხი** (ქსამაქსი), **იანიკ კამბერი** (ლოზანა), **ნზუზი ტოკო** (გრასჰოპერი), **ალან ვისი** (ლუცერნი);

შეგახსენებთ, შვეიცარიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. ისიც გეხსომებათ, რომ ტამის გუნდი წინა შესარჩევ ციკლშიც ჩვენი მეტოქე იყო. შვეიცარიელებმა იქ 1:0 გვაჯობეს, თბილისიდან კი 0:0 წაიღეს.

■ ■ ■

აქვე ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობასაც გაგაცნობთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| 4. ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

ჩვენს ჯგუფში წლეულს ჩასატარებელი მატჩების განრიგი კი ასეთია:

**6 ოქტომბერი**
ხორვატია-ესპანეთი

**7 ოქტომბერი**
საქართველო-შვეიცარია

**10 ოქტომბერი**
ესტონეთი-ხორვატია

**10 ნოემბერი**
ესპანეთი-ესტონეთი
შვეიცარია-საქართველო

**14 ნოემბერი**
ესპანეთი-შვეიცარია
ხორვატია-ესტონეთი

ლევან ჯანეზაშვილი

# ახალგაზრდებს კოსტადინოვი უმსაჯებს

საქართველოსა და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრებების დაპირისპირებას ბულგარელი არბიტრი **ალექსანდრ კოსტადინოვი** განსჯის. იგი 32 წლისაა და აქამდე ჩვენი ნაკრებებისა და კლუბების შეხვედრაზე არასოდეს მიუვლენიათ. თანამსაჯებიც კოსტადინოვის თანამემამულეები არიან.

ნიკა გვათუა



**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიფას ყოფილი არბიტრი**

**თამაზ ლაცაბიძე**

**და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.**

*პანაშვიდები: 7-8. X.*
*გამოსვენება: 9 X. 2 სთ.*
*მის: გლდანის მე-2 მ/რ. კორპუსი 24ბ. ბინა 19*

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ



# სპაიდერმენი ხომ არ ვარ, მუდამ ბოლო წუთებზე გამოვჩნდე მშველელად...

## დავით სირაძე გაოცებული და გულდაწყვეტილია

ბოლო წუთის კაცი — ასე მონათლა "ლელომ" დავით სირაძე და სამართლიანადაც – ნალჩიკის "სპარტაკის" თავდამსხმელმა გულშემატკივარი სანაკრებო მატჩებში გადამწყვეტი გოლების გატანას მიაჩვია.

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ ქეცბაიას წარმატებული დებიუტი სირაძის გოლმაც განაპირობა – ესტონეთთან თბილისში ამხანაგური შეხვედრის 95-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა, მალტასთანაც დამატებულ დროში გამოიჩინა თავი, მერე იყო ლატვიაში სტუმრობა და სომხეთთან ამხანაგური მატჩი, სადაც "ცოტა ადრე" მოუვიდა – მეტოქეები ბოლო წუთებამდე დაამწუხრა.

თუმცა ბოლო დროს ქეცბაია სირაძეს ნაკლებად ენდობოდა, ლატვიასთან თბილისურ შეხვედრაში შეცვლაზე ათამაშა, მალტაზე ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა. ახლა ბერძნებთან მატჩისთვის გამოძახებულთა სიაში მისი გვარი ვერ ამოვიკითხეთ და თავიდან ვიფიქრეთ, რომ ტრავმირებული იყო, მაგრამ ვცდებოდით.

დათო ამჟამად თბილისშია და გავესაუბრეთ კიდეც.

**- შენი თბილისში ჩამოსვლა რას მივაწეროთ, ნაკრებში ბოლო მომენტში ხომ არ მიგიწვიეს?**

- ნაკრების სიაში არ ვარ, რუსეთის პრემიერლიგაშიც სანაკრებო პაუზა იყო და ორი დღით ჩამოვედი. ჩვენებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოსვლა გაამარტივეს, საზღვარი გაიხსნა და ადრინდელივით აზერბაიჯანის გავლით მგზავრობა აღარ გვიწევს. ამიტომ, როგორც კი ცოტა თავისუფალი დრო გამომიჩნდება ხოლმე, ჩამოვდივარ.

**- მოდი, ნაკრებში შენს გამოუძახებლობაზე ვთქვათ - სიმართლე გითხრათ, გვეგონა, ტრავმირებული იყავი.**

- ტრავმა არაფერ შუაშია, ჯანმრთელად ვარ. შეიძლება, მიზეზი ნალჩიკის "სპარტაკის" ბოლო შეხვედრაში უთამაშებლობა გახდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი მატჩი შემადგენლობიდან ამოვარდნას არ უნდა ნიშნავდეს. მწვრთნელის საქმეა, ვის გამოიძახებს, მაგრამ გაოცებულიც ვარ და, რა დასამალია, გულდაწყვეტილიც. მაგრამ არაფერია, მაინც დავამტკიცებ, რომ ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ.

**- ნაკრების ბოლო შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდი.**

- ცალკე ეს მიკვირდა. ეგებ, რაღაც მეშლება და არაობიექტურად ვამბობ, მაგრამ ასე მგონია, ნაკრებისთვის უსარგებლო ფეხბურთელი არ ვიყავი. მოედანზე რაც შემეძლო, ვაკეთებდი, სტატისტიკას გადახედეთ, გოლები გამქონდა და ძირითადში მაინც ვერ ვხვდებოდი. არ ვიცი, ეს რას მივაწერო. არადა, იყო პერიოდი, უთამაშებელს მიწვევდნენ და მაშინ გამქონდა, რადგან ნაკრები ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმულია და აქ განსაკუთრებით ვინდომებდი.

**- როგორ გგონია, ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესი შენით ხომ არ დაიწყო?**

- წარმოდგენა არ მაქვს, ნუთუ 29 წლის მოთამაშე ვეტერანად ითვლება? არა მგონია, ეს იყოს მიზეზი. ცხადია, მწვრთნელი კმაყოფილი რომ იყოს, მიმიწვევდა, მაგრამ ლატვიასთან წაგება მე თუ დამბრალდა, ეს სხვა საქმეა. სპაიდერმენი ხომ არ ვარ, მუდამ ბოლო წუთებში გამოვჩნდე და გავიტანო. ვერაფერს ვამბობ, ვფიქრობ და ვერ ამიხსნია.

საკუთარ თავზე მეცინება, საბერძნეთთან ციკლის ბოლო შეხვედრაა, ხალხი მოვა სტადიონზე-მეთქი და ისეთი მონდომებით ვემზადებოდი, გუნდში მეუბნებოდნენ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი აღარ გაქვთ და რა თავს იკლავო. კარგად გამიგეთ, არ ვტრაბახობ, მაგრამ ესტონეთთან, მალტასთან, ლატვიაში და სომხებთან მატჩებში გავიტანე, ხორვატიასთან ჯაბა კანკავას საგოლე გადაცემა გავუკეთე და ამის გამო მეგონა, რომ სიაში ვიქნებოდი. გამოძახებულებში სირაძე რომ ვერ ამოვიკითხე, გული შემეკუმშა. არ მიმიწვიეს, არც მახსენებენ და ახლა რა უნდა ვიფიქრო, ახალ ციკლშიც აღარ გამომიძახებენ?

**- 2010 წელს ნაკრებს თამაში არ წაუგია, მაგრამ 2011-ში გუნდი აშკარად აირია. ასეთი რა მოხდა?**

- ეს ჩემი გასაანალიზებელი არ არის, ფაქტია, რომ გუნდი აირია. ლატვიასთან თბილისურ მატჩამდე დიდი იმედები გვქონდა, მაგრამ, ცხადია, წაგება ძალიან განვიცადეთ და ამ განწყობით მალტაშიც ვერ მოვიგეთ. მაგრამ ყველაფერი შედეგებიდან გამომდინარეობს, ხორვატიასთან მოგების შემდეგ ყველას თავი ევროფინალში ეგონა.

**- ნალჩიკის "სპარტაკზეც" ვთქვათ. გუნდი რუსეთის პრემიერლიგის აუტსაიდერია და გავარდნა ემუქრება.**

- ბოლო ტურში გროზნოში "ტერეკთან" მოგებამ ამოგვასუნთქა. პრემიერლიგაში დარჩენის იმედიც გვაქვს, რადგან ეს ჩემპიონატი ძველებურად ნოემბერში აღარ მთავრდება, გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, მესამე წრე და ცხრამეტი ტური ჯერ კიდევ წინ არის. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კი, ალბათ, გავძლიერდებით და მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი მგონია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# მოულოდნელი თარგამაძე

## თუმცა, რატომ მოულოდნელი: ნიჭიერმა არც შრომა დაიზარა, არც უკრაინის პირველი ლიგა ითაკილა და...

# ბევრს აინტერესებს

**წლებია, ვლაპარაკობდით, რა ხანია, ნაკრებს ძლიერი ფლანგის მოთამაშე არ ჰყოლიაო. საბედნიეროდ, ახლა თემურ ქეცბაიას განკარგულებაში უკრაინის პრემიერლიგის "ოლექსანდრიას" შემტევი ფლანგელი, 22 წლის დავით თარგამაძეა, რომელიც აზრიანი, თამამი და მწვავე რეიდებით გამოირჩევა – მეტსახელად „თაგვი" გაძვრება, გამოძვრება და მეტოქის საჯარიმოში ვითარებას ამწვავებს.**

*"მიხარია, "ოლექსანდრიაში" ყოფნის დრო ტყუილად რომ არ დავკარგე. კარგად გამოჩნდა, რომ უკრაინის პირველ ლიგაში თამაშიც კი ძალიან წამადგა: ფორმაც აღვიდგინე, ფიზიკური კონდიციებიც და სათამაშო პრაქტიკაც შევიძინე. დაბალი ლიგაა, მაგრამ საკმაოდ ძნელი სათამაშოა. მერე კი, "ოლექსანდრია" პრემიერლიგაში რომ გადავიდა, თემურ ქეცბაიამ ნაკრებშიც მიმიწვია. ეროვნულ გუნდში გამოძახებისა და სამი შეხვედრის ძირითადში ჩატარების შემდეგ უფრო თავდაჯერებული გავხდი. ნაკრების წევრობა პრესტიჟულია და ამიტომ კლუბშიც სხვა თვალით შემომხედეს, ვგრძნობ, რომ უფრო მენდობიან"*, – ამბობს თარგამაძე.

დათო არ მალავს, რომ მალე ახალ კლუბში ითამაშებს.

*"ლვოვის "კარპატი" მიწვევს და კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, თუმცა ბოლო დროს სხვა წინადადებებიც მივიღე. რაც მთავარია, ჩემმა მენეჯერმა "ოლექსანდრიას" პრეზიდენტი ლავრენკო ტრანსფერზე დაითანხმა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზამთარში გუნდს გამოვიცვლი. სად ვითამაშებ, დეკემბერში გაირკვევა,"* – გვიმხელს დათო.

ჩვენი ინფორმაციით, თარგამაძის ტრანსფერის ყველაზე რეალური გამომსყიდველი მაინც ლვოვის "კარპატია". ეს ამბავი უკვე კლუბის ფეხბურთელებმაც იციან, რაც სანდრო გურულმა "ლელოსთან" ინტერვიუშიც დაადასტურა.

თუმცა დეკემბრამდე ბევრი არაფერი დარჩა და ვნახოთ, სად განაგრძობს კარიერას ფეხბურთელი, რომელიც ასე მოულოდნელად გახდა ჩვენი ქომაგების სანაკრებო იმედი.

**მერაბ მამულაშვილი**



### პირველი ლიგა

#### ა ზონა. 6 ოქტომბერი

ბათუმი-მერცხალი (ოზურგეთი)
ჩხერიმელა (ხარაგ.)-მესხეთი (ახალციხე)
სტუ (თბილისი)-მეშახტე (ტყიბული)
სამტრედია-ჭიათურა
ლოკომოტივი (თბ.)-კოლხეთი (ხობი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-5 | 16 |
| 2. მერცხალი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-5 | 14 |
| 3. ჩხერიმელა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| 4. სტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 13-11 | 11 |
| 5. ჭიათურა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 7. მეშახტე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-5 | 4 |
| 8. მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-6 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 10. სამტრედია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

#### ბ ზონა. 5 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ჩიხურა (საჩხერე)-გურია (ლანჩხუთი) | 2:1 |
| იმერეთი (ხონი)-ზოოვეტი (თბილისი) | 5:1 |
| აეტი (სოხუმი)-ნ. დინამოელი (თბ.) | 0:4 |
| სამგურალი (წყალტ.)-ადელი (ბათუმი) | 5:1 |
| სძური (წალენჯიხა)-სულორი (ვანი) | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 8 | 7 | 1 | 0 | 19-2 | 22 |
| 2. გურია | 8 | 5 | 2 | 1 | 22-8 | 17 |
| 3. ნ.დინამოელი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-6 | 16 |
| 4. იმერეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 5. ზოოვეტი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-16 | 12 |
| 6. სამგურალი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-7 | 10 |
| 7. ადელი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 8. სძური | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 9. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-18 | 4 |
| 10. აეტი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-18 | 3 |

### მეორე ლიგა. აღმოსავლეთი

#### IV ტური

| | |
|---|---|
| იუსი ბესტი (თბ.)-ალგეთი (მარნეული) | 2:0 |
| სასკო (თბილისი)-ივერია (ხაშური) | 3:0 |
| აბული (ახალქალაქი)-დუშეთი | 2:0 |
| ლიახვი (აჩაბეთი)-35-ე სკოლა (თბ.) | 6:1 |
| იბერია (თბილისი)-ლაგოდეხი | 3:0 |

#### გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| იუსი-ბესტი-35-ე სკოლა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 4 | 3 | 1 | 1 | 10-1 | 10 |
| 2. ლიახვი | 4 | 2 | 1 | 1 | 14-9 | 7 |
| 3. 35-ე სკოლა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-9 | 7 |
| 4. აბული | 4 | 2 | 0 | 2 | 9-9 | 6 |
| 5. იუსი ბესტი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 6. ივერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 7. დუშეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 8. იბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 9. ლაგოდეხი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 10. ალგეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |

● მსაჯები

# ორი არბიტრით ევროპაში



დავით ხარიტონაშვილი

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ წლის ბოლომდე ქართველი მსაჯები კიდევ რამდენიმე საერთაშორისო მატჩს მოემსახურებიან, დღეისთვის კი ეს შეხვედრები უკვე დაზუსტებითაა ცნობილი.

**დავით ხარიტონაშვილი** და **ლევან კვარაცხელია** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის შეხვედრებს განსჯიან. უფრო კონკრეტულად, ხარიტონაშვილი უეფამ ესტონეთში მიავლინა, სადაც 15 ოქტომბერს ალბანეთ-გერმანიის, 18 ოქტომბერს კი ესტონეთისა და ალბანეთის მატჩებს მოემსახურება.

რაც შეეხება კვარაცხელიას, იგი ყაზახეთში გასამართ ჯგუფზეა გამწესებული და 21 ოქტომბერს ჩეხეთ-ლიხტენშტაინის, ხოლო 24 ოქტომბერს ლიხტენშტაინისა და ყაზახეთის შეხვედრებს გაუძღვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან კვარაცხელია

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გეგულებათ ფეხბურთელი, ნაკრები არ უნდოდეს?

## დევდარიანი განმარტავს: დაემთხვა, თანაც, ხუთჯერ

**დანიის სუპერლიგის "ორჰუსის" პლეიმეიკერი დავით დევდარიანი ეროვნული ნაკრების შეკრებაზე კვლავ ვერ გამოცხადდა. როდესაც პრესკონფერენციაზე მიზეზით დავინტერესდით, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ემოციური კომენტარი გააკეთა: *"სიმართლე გითხრათ, დავიღალე დევდარიანის ჩამოუსვლელობით. ათჯერ გამოვიძახე და არ გამოცხადებულა, ბოლო მომენტში უარს ამბობს და არც ვიცი, ეს რას მივაწერო".* ქეცბაიას დაინტერესება ბუნებრივია: დევდარიანმა ჯერ რუსთავის "ოლიმპში" თამაშისას შეიძინა ბევრი გულშემატკივარი, მერე კი, დანიაში გადასული, "ორჰუსის" ლიდერი გახდა. მახსოვს, ამბობდნენ, დიდი ხნის შემდეგ იმედისმომცემი "ათიანი" გამოჩნდა, ასეთი მოთამაშე კი ნაკრებს ძალიან აკლიაო, მაგრამ ეროვნულში მისი თამაში ვერა და ვერ ვიხილეთ. ვითარებაში გასარკვევად დავით დევდარიანს დავუკავშირდით.**

**- შენმა ჩამოუსვლელობამ ქეცბაია გააოცა, ამბობს, მიზეზის ახსნა არ შემიძლიაო.**

- სამწუხაროდ, ჩამოუსვლელობის მიზეზი ისევ ტრავმაა. უკვე მეექვსე დღეა, ვერ ვვარჯიშობ. ზაფხულში მიღებულმა ტრავმამ შემაწუხა, მაშინ მინი-ოპერაციაც დამჭირდა და სამი თვე გამიცდა. მერე ვარჯიში დავიწყე, ვითამაშე კიდეც, მაგრამ პატარა პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი და კუნთი ამტკივდა. მართალია, სერიოზული არაფერია, მაგრამ ექიმმა ისევ დასვენება და მკურნალობა მირჩია.

**- ფაქტია, რომ ქეცბაიას შენი იმედი ჰქონდა და გაწბილებულია, ნაკრებში რამდენჯერაც გამოვიძახე, ბოლო მომენტში სულ უარს ამბობსო.**

- ხუთჯერ გამომიძახეს და ხუთჯერვე ტრავმა მქონდა. მაინცდამაინც ნაკრების შეკრებამდე რომ მექმნებოდა პრობლემები, ეს სამწუხარო დამთხვევაა. თქვენ რას ფიქრობთ, ნაკრებში თამაში არ მსურს?

**- როგორც ვხვდები, ნაკრების ხელმძღვანელებში ასეთი ეჭვი გაჩნდა – ან კლუბი არ გიშვებს, ან თავად არ გსურს ჩამოსვლა. ცხადია, ჩვენც ეს კითხვა გვიჩნდება, რა გახდა შეკრებაზე გამოცხადება?**

- ძალიან ცუდი დამთხვევები იყო და მესმის, რომ ამდენი უარი მწვრთნელს აეჭვებს, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა, ტყუილს რატომ უნდა ვამბობდე? გეგულებათ ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში თამაში არ სურდეს? ეროვნული გუნდი ეზოს გუნდი არ არის, დაგეზაროს და არ დაეხმარო. ან კლუბს რა უფლება აქვს, ნაკრებში არ გამიშვას?

აბსურდია, თუ ვინმეს ჰგონია, ნაკრებში თამაშს თავს ვარიდებ, ეს ხომ ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და გული მიკვდება, ერთხელაც რომ ვერ ჩამოვედი. არადა, ვარჯიშობ, ფორმაში შედიხარ, ელოდები შენს შანსს და... ყოველი მიწვევა ტრავმას ემთხვევა. ეს, უპირველესად, ჩემთვის არის გამაღიზიანებელი, ნერვები მაწყდება, მაგრამ მეეჭვება, ქეცბაიას ჩემი არ ესმოდეს. თავად იყო ფეხბურთელი და კარგად იცის, რომ ტრავმა პრობლემებს ქმნის. დიდი იმედი მაქვს, მალე მოვმჯობინდები და ნაკრებში თამაშის შანსი კიდევ მომეცემა.


დავით დევდარიანი

**- ტრავმა თუ გქონდა, "კოპენჰაგენთან" შეხვედრის განაცხადში როგორ მოხვდი?**

- ვინ გითხრათ, რომ განაცხადში ვიყავი?

**- ასე ეწერა "სოკერვეიზე", დანიურ ვებგვერდებზე.**

- ტყუილია, თამაშისას ტრიბუნაზე ვიჯექი და სტადიონზეც ბოლოსღა გადავწყვიტე წასვლა, რადგან კუნთი მაწუხებდა. ახლა ყველაფერი გასაგებია, შესაძლოა, ამ არასწორი ცნობის გამო იფიქრეს, რომ ჩამოსვლა არ მინდოდა.

**- ახლა თავს როგორ გრძნობ?**

- ჯერ გუნდთან ვერ ვვარჯიშობ, ახლა ფიზიოთერაპიის კურსსა და ალდგენით ვარჯიშებს ვამთავრებ, მეტი დატვირთვა არ შეიძლება.

**- ასეთი ტრავმიანობა დამაფიქრებელია, ეს "ორჰუსის" ექიმის ბრალი ხომ არ არის?**

- ამის პასუხი რომ ვიცოდე, სხვაგვარად ვიმოქმედებდი და ბევრ პრობლემას ავიცილებდი.

**- "ორჰუსში" დარჩენას როდემდე აპირებ?**

- ახლა ამაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან ტრავმირებული ვარ და დანიის სუპერლიგის ამ სეზონში სულ სამი შეხვედრა ჩავატარე. გული იმაზეც მწყდება, რომ გუნდი მესამე ადგილზეა და ვერ ვეხმარები.

**- "ორჰუსში" ბევრი ქართველია, მათზე რას იტყვი?**

- სხირტლაძე განაცხადში ხვდება, შინდაგორიძეც ძირითად გუნდში ვარჯიშობს და 19-წლამდელებში თამაშობს, დიასამიძე კი ძირითადში იყო, მაგრამ ზაფხულში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობს. ნიჭიერი ბიჭები არიან და "ორჰუსში" მათი ეიმედებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინფრასტრუქტურა

# ჩვენს ფეხბურთში ნანინანატრს ზესტაფონში თვლა არა აქვს...

## სტადიონი და, კარგი მოედანი, ბაზაა და, სამი მინდორი


ზესტაფონის ბაზაზე ორი მოედანი მზადაა...



ზესტაფონში დაპირებას ასრულებენ - წლის ბოლოს გუნდს ბაზაზე უკვე სამი ბუნებრივსაფრიანი მოედანი ექნება. მეორე მინდორი გუშინ მედიის წარმომადგენლებს „წარუდგინეს", მალე კი მესამეზე დაიწყება საფრის დაგება.

ზესტაფონში ბაზის მშენებლობა ორი წლის წინ დაიწყეს. პირველი მოედანი შარშან გაკეთდა და მინდორმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რადგან ხარისხით ბევრ უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდის სტადიონის საფარს სჯობს. სამუშაოები ამით არ დასრულებულა - მეორე ბუნებრივსაფრიანი მოედანი უკვე მზადაა და გუნდს მომავალი კვირიდან მოემსახურება.

კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, პირველ მოედანზე „ზესტაფონის" დუბლები ოფიციალურ მატჩებს ატარებენ და მინდვრის ხარისხით ყველა კმაყოფილია.

რაც შეეხება მესამე მინდორს, აქ უკვე გაკეთდა მორწყვის სისტემა, უახლოეს დღეებში კი საფრის დაგება დაიწყება. ასე რომ, „ზესტაფონს" მალე სამი ბუნებრივსაფრიანი მოედანი ექნება.

მინდვრების პარალელურად, ბაზაზე სასტუმროს მშენებლობაც მიმდინარეობს. უკვე იჭრება შენობის საძირკველი. სასტუმრო 65 ადამიანზე, ანუ ორ გუნდზეა გათვლილი. კლუბის ხელმძღვანელობას სურს, რომ გუნდისთვის სატრენაჟორო დარბაზი და ჩოგბურთის კორტიც მოეწყოს, ამისთვის კი ტერიტორიაა საჭირო. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ბაზის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობის გადმოცემასთან დაკავშირებით. კლუბი მზადაა, ამ ტერიტორიაზე საფეხბურთო სკოლა-ინტერნატი აამოქმედოს.

**მაგდა კლდიაშვილი**


...კიდევ ერთი მოედანი და სასტუმრო შენების პროცესშია



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A

# ხუთის ხუთი ხუთოსანი

**სერია A**-ს მიმდინარე გათამაშების დაწყებიდან ხუთი ტური გასული და უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ფეხბურთელთა შესახებ, რომლებმაც გულშემატკივრებს თავი საუკეთესო კუთხით დაანახვეს. ბუნებრივია, ჯერ ძალიან ადრეა სეზონის აღმოჩენებზე, იმედგაცრუებებსა და მსგავს თემებზე საუბარი, მაგრამ ასეთი ლოკალური კონკურსის ჩატარება მაინც შესაძლებელი გახლდათ და ჩატარდა კიდეც. იტალიურ პრესაში ის ხუთი ფეხბურთელი გამოვლინდა, რომლებიც ტიფოზებმა განვლილი ხუთი ტურის შემდეგ გამოარჩიეს. მაშ ასე, ხუთი ტურის ხუთი ხუთოსანი...

## ანდრეა ბარცალი
## (იუვენტუსი)

ზაფხულის სატრანფერო პერიოდში, „იუვენტუსის" მესვეურები გამალებით ცდილობდნენ დაცვის ცენტრის გაძლიერებას, მაგრამ სასურველი უკანახაზელები ვერაფრით გადაიბირეს - ვერც **სალვატორე ბოკეტის** მოარგეს შავ-თეთრი მაისურა და ვერც **ბრუნო ალვეშს**. განბილებულ **ჯუზეპე მაროტას** ისღა დარჩენოდა, რომ **ანდრეა ბარცალიზე** შეეჩერებინა არჩევანი და ასეც მოიქცა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, მაროტას ძალიან გაუმართლა, როდესაც რამდენიმე ფრონტზე ხელი მოეცარა და ბარცალი შერჩა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარცალი საუკეთესოა „იუვეს" მცველებს შორის, რაზეც პრესისგან მიღებული შეფასებები ნათლად მეტყველებს. ანდრეას ასეთი პროგრესი უმეთვალყურეოდ არც **ჩეზარე პრანდელის** დარჩენია და გამოცდილი უკანახაზელი ეროვნულ ნაკრებში დააბრუნა. შეგახსენებთ, რომ ანდრეამ ბოლოს „სკუადრა აძურას" ფორმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოირგო.

## ხერმან დენისი
## (ატალანტა)

30 წლის არგენტინელმა ფორვარდმა ასამდე შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში, თუმცა განსაკუთრებული შედეგიანობით არასდროს გამოირჩეოდა. მისი იტალიური კარიერა „ნაპოლიში" დაიწყო, სადაც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა და შესაბამისად, თავი ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრა. შემდეგ „უდინეზეში" გადაბარგდა, სადაც თითქოს მეტი სათამაშო დრო უნდა ჰქონოდა, თუმცა ასე არ მოხდა - **ანტონიო დი ნატალესა და ალექსის სანჩესის** ჩრდილში მოქცეულმა უდინედან აბარგება გადაწყვიტა და გასულ ზაფხულს ბერგამოს „ატალანტაში" ამოყო თავი.

განვლილ ხუთ პაექრობაში **ხერმან დენისმა** ოთხჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე, ერთხელ კი საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არგენტინელი ფორვარდი ახალ გარემოს შესანიშნავად შეეწყო.

## სებასტიან ჯოვინკო
## (პარმა)

სებამ ვერაფრით შეძლო „იუვენტუსში" დამკვიდრება, მას არც **ჩირო ფერარა** ენდობოდა, არც **კლაუდიო რანიერი** და არც **ლუიჯი დელ ნერი**, შედეგად, მოკრძალებული შესაძლებლობების „პარმაში" ამოყო თავი და საუკეთესო კუთხით წარმოჩნდა. ერთ დროს იტალიური ფეხბურთის მომავლად შერაცხილი, ბოლო პერიოდში კი ჩრდილში მყოფი **ჯოვინკო** ახლიდან გაიხსნა და დაგვანახვა, რომ თამაში უმაღლეს დონეზე შეუძლია.

**როდრიგო პალასიოსთან** ერთად, სებასტიანი ხუთი გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას და თავისი გუნდის უდავო ლიდერია. ასეთი შედეგიანობა კიდევ უფრო დასაფასებელია იქიდან გამომდინარე, რომ სუფთა ფორვარდი არ გახლავთ და ხშირად იხევს უკან შუახაზელთა დასახმარებლად. შედეგიანმა ასპარეზობამ სებას ეროვნულ გუნდშიც გაუმყარა პოზიციები, ჩეზარე პრანდელი ტანმორჩილ, მაგრამ სწრაფ და ტექნიკურ შემტევს რეგულარულად იძახებს „სკუადრა აძურაში". გავრცელდა ხმები იმის შესახებაც, რომ ჯოვინკოს უკვე დაუკავშირდა „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** და მას „სახლში" დაბრუნება შესთავაზა. თუმცა, უნდა კი სებას იმ სახლში დაბრუნება, საიდანაც უბოდიშოდ გააგდეს? - ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

## როდრიგო პალასიო
## (ჯენოა)

კიდევ ერთი არგენტინელი თავდამსხმელი, რომელიც „ბოკა ხუნიორსიდან" „ჯენოაში" გადავიდა და ამით მთელი აპერტურა-კლაუსურა ერთად გააკვირვა. როდრიგო ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ ყველაზე პოპულარული არგენტინული კლუბის და შესაბამისად, მის გადაბარგებას რომელიმე ევროპულ გრანდში ელოდნენ.

არჩევანი „ჯენოაზე" შეჩერდა და როგორც ჩანს, იმ პერიოდში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. პალასიო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა და მისით მართლაც დაინტერესდნენ ევროპული გრანდები. არგენტინელმა რამდენიმე მაცდურ წინადადებაზე თქვა უარი, „ჯენოაში" დარჩა და როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მის ანგარიშზე უკვე ხუთი გატანილი გოლია და თუ ასე გააგრძელა, მის მიმართ გაჩენილი ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება და უკვე ცხოველ ინტერესში გადაიზრდება. აი შემდეგ კი ალბათ მოუწევს გარემოს შეცვლაზე ფიქრი.

## ანდრეა პირლო
## (იუვენტუსი)

კლასი **ანდრეა პირლოს** არასდროს აკლდა, მაგრამ ბოლო პერიოდში „მილანის" შემადგენლობაში ველარ ბრწყინავდა - თითქოს ანელებდა თამაშის ტემპს, რაც სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. ეს ყველაფერი მის ასაკს ბრალდებოდა, თუმცა არც მთლად მასე ყოფილა საქმე - როგორც ჩანს, პირლოს მოტივაციასთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემები და გარემოს შეცვლა ჰაერივით ესაჭიროებოდა. შედეგად, ანდრეა „იუვენტუსში" გადაბარგდა და განვლილი ხუთი ტურით თუ ვიმსჯელებთ, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

პირლო „იუვენტუსისთვის" ფუნდამენტური მნიშვნელობის ფეხბურთელი გახდა, სწორედ მასზეა აწყობილი თამაში და ისიც შესანიშნავად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს. ტრადიციულად არიგებს გრძელ და მოკლე გადაცემებს, კარნახობს შეტევის მიმდინარეობას და არც სისწრაფესთან აქვს პრობლემები. ერთი სიტყვით, ანდრეა ათამაშდა - ათამაშდა ისე, როგორც საუკეთესო წლებში.

**ლაშა ნიკლაური**



ანდრეა პირლო

● სამწვრთნელო ცვლილება

# პიოლი იმედებით აღსავსეა


სტეფანო პიოლი

გუშინდელ ნომერში გამცნეთ იმის შესახებ, რომ „ბოლონიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **პიერპაოლო ბიზოლი** გაათავისუფლეს, რაც გუნდის უარყოფითი შედეგებით გახლდათ განპირობებული. შეგახსენებთ, რომ სერია A-ს სტარტიდან ხუთი ტურია გასული, „როსობლუს" აქტივში კი ერთადერთი ქულა და სატურნირო ცხრილში უკანასკნელი ადგილია. გამომდინარე აქედან, მწვრთნელის გათავისუფლება არავის გაკვირვებია. გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, „ბოლონიას" ახალ მთავარ მწვრთნელად **სტეფანო პიოლი** დანიშნეს, რომელიც ბოლოს „პალერმოს" ედგა სათავეში და **მაურიციო ძამპარინის** მორიგი მსხვერპლი შეიქმნა. მოკლედ, პიოლი გაგდებულია სიცილიიდან, თუმცა იმას ვერ დავიჩემებთ, რომ მის ხელში „პალერმო" ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. პიოლიზე „ბოლონიას" მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ, დანარჩენზე კი თავად მწვრთნელი იტყვის:

*„საბედნიეროდ, მალე გამომიჩნდა ახალი სამსახური და თანაც ისეთი, როგორსაც კარგა ხანი ველოდი. მართალია, „ბოლონია" სუპერკლუბთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთ ხალხთან მომიწევს მუშაობა, რომლებიც ყველანაირად გვერდში დამიდგებიან. ამას კლუბის მესვეურებთან პირველივე შეხვედრაზე მივხვდი და გადაწყვეტილების მიღებაზე დიდხანს ალარ მიფიქრია. ორწლიანი ხელშეკრულება გავაფორმე, რომელიც ვფიქრობ, რომ კიდევ არაერთი წლით გახანგრძლივდება. ამ ქალაქში ფანატიკურად უყვართ თავიანთი გუნდი და დიდი იმედი მაქვს, რომ მათ მოლოდინს სრულად გავამართლებ".*

**ლაშა ნიკლაური**

● შალკე



კლაას-იან ჰუნტელაარი კარგ ფორმაშია

# ჰუნტელაარი გაიხსნა

## შვიდი უკვე გაიტანა და სტევენსს სჯერა, რომ მინიმუმ 20 გოლს გაიტანს

„შალკეს" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა **კლაას-იან ჰუნტელაარმა** ბოლოს და ბოლოს დაიწყო იმის გაკეთება, რისთვისაც გელზენკირხენელებმა იყიდეს და რაც დიდი ხანია, არ გაუკეთებია – გოლების გატანა. 28 წლის ფორვარდმა გასულ უქმეებზე „ჰამბურგთან" დუბლი შეასრულა და მის ანგარიშზე ბუნდესლიგის ეგიდით უკვე შვიდი გოლია. გელზენკირხენელთა მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** კი ფიქრობს, რომ ჰუნტელაარს ამ სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობის ძალიან კარგი შანსი აქვს.

*„შესანიშნავ ფორმაშია, რასაც ბოლო თამაშებში მუდმივად ამტკიცებს. ჰუნტელაარი საჯარიმოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მიხარია, რომ ჩემი შეგირდია. მას თავადაც შეუძლია საგოლე მომენტების შექმნა, საგოლე ალღო კი ბევრ ტოპ-ფორვარდზე უკეთესი აქვს. მჯერა, რომ ჰუნტელაარი ამ სეზონში ბევრ გოლს გაიტანს. მისთვის ერთ სეზონში მინიმუმ 20 გოლის გატანა პრობლემას არ წარმოადგენს,"* - ამბობს სტევენსი.

აღსანიშნავია, რომ ბუნდესლიგის ბოლო 20 სეზონიდან, 11-ში 20 გოლის გატანა საუკეთესო ბომბარდირის წოდების მოსაპოვებლად საკმარისი იყო. „შალკეს" ფეხბურთელმა კი ერთ სეზონში 20 ან მეტი გოლის გატანა 1991 წლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შეძლო: ეს **ებე სანდმა** 2001 წელს მოახერხა, როცა 22 გოლი შეაგდო და გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი გახდა. თანაც, სანდს იმ სეზონში 8 ტურის შემდეგ მხოლოდ 6 გოლი ჰქონდა გატანილი. ჰუნტელაარის ანგარიშზე კი, ახლა, 8 ტურის შემდეგ ერთით მეტი გოლია. ჰოლანდიელ ფორვარდზე ასე საუბრის საბაბს ის ფაქტი უფრო გვაძლევს, რომ ამ სეზონში ყველა ოფიციალურ მატჩში უკვე 15 გოლი აქვს გატანილი...

**გოტფრიდ ლენცი**

● აიაქსი

# ტრავმათა ეპიდემია

ამ დღეებში **კოლბეინ სიგტორსონის** შემდეგ სერიოზული ტრავმა კიდევ ერთმა აიაქსელმა, 22 წლის **ტობი ალდერვეირელდმა** მიიღო. ჰოლანდიის ჩემპიონთა წამყვანმა ცენტრალურმა მცველმა კოჭი ბელგიის ნაკრების შეკრებაზე დაიზიანა. ექიმების წინასწარი დასკვნით მას, მინიმუმ, ორი კვირის უქმად გატარება მოუწევს. ტობი არა მხოლოდ ბელგიის ეროვნულ გუნდს დააკლდება ყაზახეთთან და გერმანიასთან შეხვედრებში, არამედ "აიაქსის" შემადგენლობაშიც არ იქნება 15 ოქტომბერს "ალკმაართან" პრინციპულ დაპირისპირებაში. საეჭვოა მისი ასპარეზობა 18-ში ზაგრებში ადგილობრივ "დინამოსთანაც". ტობიასი 23 ოქტომბერს "ფეიენოორდთან" გასამართი შეხვედრისთვის, წესით, მზად უნდა იყოს.

რაც შეეხება სიგტორსონს, მისი მდგომარეობა ალდერვეირელდისგან განსხვავებით ძალიან სერიოზულია. საუკეთესო შემთხვევაში 21 წლის ისლანდიელი მინდორს დეკემბერშიღა დაუბრუნდება. ექიმები პროგნოზისგან თავს იკავებენ, რადგან ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია. მიზეზი "გრონინგენთან" მიღებული ფეხის ტრავმაა. პირველადი დასკვნა ტრავმის სირთულესთან დაკავშირებით არ დადასტურდა - ის ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. სახეზეა არა წვივის მცირე ძვლის უბრალო დაზიანება, არამედ მოტეხილობა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## უეფა ლეგიას დასჯის

თელ-ავივის "ჰაპოელთან" გულშემატკივართა მიერ ტრიბუნებზე მოწყობილი არეულობების გამო უეფა ვარშავის "ლეგიას" აუცილებლად დასჯის. ალბათ გახსოვთ, რომ ადგილობრივმა გულშემატკივარმა ტრიბუნებზე რასისტული და ანტისემიტური ლოზუნგები გადმოფინა, რაც უეფას წესებით მკაცრად დასჯად ქმედებად მიიჩნევა. უეფას თეორიულად შეუძლია კლუბს მილიონევროიანი ჯარიმა დააკისროს (რაც ნაკლებად მოსალოდნელია), მისცეს სტადიონს დისკვალიფიკაცია, ორი ან მეტი თამაშით აკრძალოს გულშემატკივართა დასწრება. სავარაუდოა, რომ ევროპული ფეხბურთის "მამები" სწორედ ამ უკანასკნელ სანქციას მიმართავენ და "პოლონეთის არმიის სტადიონი" რამდენიმე თამაშს ცარიელი ტრიბუნებით შეხვდება.

## შუკერი დააჯარიმეს

მიუნხენის სასამართლომ ხორვატიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **დავორ შუკერი** 25 ათასი ევროს ღირებულების ძველბერძნული მონეტების მითვისებისთვის 8 ათასი ევროთი დააჯარიმა. საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის თებერვალში მილანი-ლონდონის ავიარეისზე თვითმფრინავში ის შემთხვევით გადააწყდა დაკარგულ მონეტებს და იმის მაგივრად, რომ ეკიპაჟის წევრებისთვის ეხმო და ამბავი ემცნო, ადგა და ჯიბეში გაიქანა, მიუნხენში დაბრუნების შემდეგ კი (სადაც ის უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს), მეგობარ გოგონას აჩუქა. ქალბატონმა მონეტების გაყიდვა გადაწყვიტა და ერთ-ერთ ადგილობრივ ნუმიზმატიკოსს მიაკითხა. ამ უკანასკნელმა იეჭვა რა, რომ მონეტები მოპარული იქნებოდა, პოლიციას გამოუძახა. საქმე აღიძრა და საბოლოოდ ყველაფერს წერტილი ამ დღეებში დაესვა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ფანები

# ღირსეული მანუ

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ახალმა წევრმა, 27 წლის ტოგოელმა თავდამსხმელმა **ემანუელ ადებაიორმა** მისთვის კვირას, „უაით ჰართ ლეინზე“ მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ ილაპარაკა — ჩრდილოლონდონური დერბის დროს ადებაიორს შეურაცხყოფა მისი ყოფილი გუნდის, „არსენალის“ ფანებმა მიაყენეს. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად ეტკინათ ფეხბურთელისთვის გული.

ტოგოელმა, რომელიც 2010 წლის აფრიკის თასის გათამაშების დროს თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად შეიარაღებული რაზმის თავდასხმის ობიექტი გახდა და დელეგაციის სამი წევრის მკვლელობამ დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა, თქვა:

*„ტრიბუნებიდან ჩემ შესახებ ძალიან ცუდ სიმღერებს მღეროდნენ. გაინტერესებთ თუ გამიკვირდა? არა, არ გამკვირვებია. თუ მეწყინა? რასაკვირველია, მეწყინა. ძალიან ცუდია, როდესაც ხედავ, რომ მშობლები თავიანთ შვილებს ასეთი სიმღერების მღერის ნებას აძლევენ. აშკარა იყო, რომ ამ ხალხს ჩემი წყობიდან გამოყვანა, შეურაცხყოფა, ჩემთვის გულის ტკენა უნდოდა, მაგრამ მე ღირსება შევინარჩუნე, მდაბალ საქციელს არ ავყევი და ამით ძალიან ვამაყობ. გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება მავანმა და მავანმა ასეთი მძიმე ტრაგედიის შესახებ ასე ცინიკურად იმღეროს, იყვიროს თუ ილაპარაკოს“.*

ტრაგედია, რომლის შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ მოგახსენეთ, 2010 წლის იანვარში, ანგოლაში მოხდა. ტოგოელთა ავტობუსს თავს ანგოლელი აჯანყებულები დაესხნენ და ავტომატური იარაღით გაუხსნეს ცეცხლი. ადებაიორი გადარჩა, მაგრამ სროლა რომ შეწყდა, დაჭრილები გადაჰყავდა და ერთი მათგანი, როგორც ამბობენ, მეგობარი, ხელში ჩააკვდა.

*„ბავშვები ვახსენე. წარმოგიდგენიათ, რა საშინელება იქნება თუ მათ ეს სიმღერები დაამახსოვრდებათ და არა ის ფეხბურთი, რომელსაც პრემიერლიგის ვარსკვლავები აჩვენებენ. თან, მერწმუნეთ, „არსენალის“ ფანებმა კარგად იგრძნეს, რომ თავიანთი სიმღერებით ჩემზე ვერ იმოქმედეს. მე გამოცდილი კაცი ვარ, ბევრჯერ ვყოფილვარ მძიმე დღეში და ჩემი დამარცხდება იოლი საქმე არ არის“* — თქვა ფორვარდმა, რომელიც „მანჩესტერ სიტის“ საკუთრებაა, „სფურზმა“ კი მხოლოდ და მხოლოდ იქირავა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ისტლენდელებს ადებაიორი „რეალისთვის“ ჰყავდათ მიქირავებული.



ემანუელ ადებაიორი

● მანჩესტერ სიტი

# ტევესს ექვსი კვირით სჯიან

როგორც გაირკვა, „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში **კარლოს ტევესს** მწვრთნელისთვის, **რობერტო მანჩინისთვის** მოედანზე არ შევალო, პირდაპირ არ უჯახებია, მაგრამ „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებს მისი დასჯა მაინც სურთ - ბრძანეს, 27 წლის არგენტინელმა ექვსი ტური გამოტოვოს და 1,5 მილიონი ფუნტიც გადაგვიხადოსო. მოკლედ, ხელფასს უქვითავენ. ისტლენდელი ბოსების რწმენით გახურებაზე უარის თქმა და თამაშში ჩართვაზე უარის თქმა ერთი და იგივეა. სხვა სიტყვებით, მათ სჯერათ, რომ თავდამსხმელის დასჯის სრული უფლება ჰქონდათ.

ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს და იკითხოს, რა საჭიროა ამდენი ჭოჭმანი. თუკი „სიტის“ ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ მათი ფეხბურთელი დასასჯელია, უნდა დასაჯონ და მორჩა, მაგრამ ვაგლახ, ინგლისურ ფეხბურთში ასე ადვილად არ არის საქმე. ამ ქვეყანაში არსებობს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია, სხვა სიტყვებით კი პროფკავშირი, რომელიც თავის წევრს კბილებით იცავს. ასეა ტევესის შემთხვევაშიც. „სიტის“ შეფებმა ასოციაციას უნდა დაუმტკიცონ, რომ არგენტინელმა ისეთი რამ დააშავა, რაც ორკვირიან დისკვალიფიკაციასა და 500 ათასი ფუნტით დაჯარიმებაზე მეტ სასჯელს მოითხოვს.

რამდენადაც ცნობილი გახდა, ისტლენდელები პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას ტევესის ერთ-ერთ საგაზეთო კომენტარს წარუდგენენ, სადაც ფეხბურთელი ასე ამბობს: *„მივიჩნიე, რომ იმ მომენტში ჩემი მოედანზე გასვლა სწორი არ იყო და არც გავედი“.*

საინტერესოა, რომ ფორვარდის ეს ნათქვამი სრულიად ეწინააღმდეგება მის მიერ მეორე დღეს განცხადებულს, მე თამაშზე უარი არ მითქვამსო. მოგეხსენებათ, რობერტო მანჩინი ტევესის გაყიდვას ითხოვს და ამბობს, სანამ „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი ვარ, ეს ფეხბურთელი სარეზერვო გუნდს ვერ გასცდებაო.



კარლოს ტევესი

● სატრანსფერო ამბავი

# გახდი ჩვენი ბექჰემი



რიო ფერდინანდი

ამერიკულმა კლუბმა „ჩიკაგო ფაიარმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერან მცველს, **რიო ფერდინანდს**, რომელიც ნოემბერში 33 წლის გახდება, კონტრაქტი შესთავაზა — „მეიჯორ ლიგ სოკერში“ გადმოდი და ჩვენი **დევიდ ბექჰემი** გახდიო. თურმე, ჩიკაგოელებს მიზნად მაღალი დონის ევროპელი ვარსკვლავის ყიდვა დაუსახავთ. მათ „ლოს ანჯელეს გელექსისთან“ სურთ გაჯიბრება და ამის მისაღწევად, ერთ-ერთ ხერხად ფერდინანდის გადაბირება მოუფიქრებიათ.

გარდა იმისა, რომ ფერდინანდი ახალგაზრდა აღარ არის, მას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი უთავდება — თუ მანამდე ახალი ხელშეკრულება არ გააფორმა, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. ჩიკაგოელებიც არ ჩქარობენ. მათ უთქვამთ, რომ ფერდინანდის გადაბირება სწორედ ზაფხულიდან უნდათ. ისინი ინგლისელ მცველს ამერიკაში გადასახლებასა და კარიერის იქ დასრულებას სთავაზობენ.

მოგეხსენებათ, „ლიდს იუნაიტედისა“ და „ვესტ ჰემის“ ყოფილი ფავორიტი ბოლო სამი წელიწადია ტრავმებმა განსაკუთრებით დატანჯა. ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **ფაბიო კაპელომ** ის ჩერნოგორიას წინააღმდეგ სათამაშოდ აღარც გამოიძახა და, საერთოდაც, ისე ჩანს, რომ ნელ-ნელა ფერდინანდის სანაკრებო კარიერა დასასრულს უახლოვდება. ცნობილია, როვ ვეტერანს ძალიან უნდა გაისად ზაფხულში, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდეს, მაგრამ სერიოზული კონკურენციის წინაშე დგას. დაცვის ცენტრში მას ადგილს **გარი კეჰილი, ფილ ჯონსი** და **კრის სმოლინგი** ეცილებიან.

და ხელფასის ამბავი როგორ იქნება? სავარაუდოდ, ისევე, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედშია“. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანეთისგან განსხვავებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ბეგარა გაცილებით ცოტაა, ასე რომ, „ჩიკაგო ფაიარი“ ფერდინანდისთვის კვირაში 120 ათასი ფუნტის ტოლფასი გასამრჯელოს გადახდას შეძლებს.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ პრემიერლიგის ჩემპიონთა მცველს ამერიკაში გადასვლაზე კატეგორიული უარი არ უთქვამს — როგორც ჩანს, ჩიკაგოში გადასახლებას ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილავს. ამბობენ, რომ თუ ფერდინანდი ამერიკაში არ წავა, ზაფხულში მის აყვანას „ტოტენჰემ ჰოთსპურიც“ მოინადინებს.

● ტოტენჰემ ჰოთსპური

# ვან დერ ვაარტმა კრიტიკა გაბედა

28 წლის ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა, **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** თავისი გუნდის, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცზე, **ჰარი რედნაპზე** მთლად კორექტულად ვერ ილაპარაკა და თუ ინგლისურ მასმედიას ვენდობით, ახლა დიდი საქმის გარჩევა ელის. კერძოდ, ვან დერ ვაარტმა გაბედა და ეჭვი გამოთქვა, რომ კვირას, ჩრდილოლონდონურ დერბიში, „არსენალის“ წინააღმდეგ, რედნაპმა ის მთლად სწორად ვერ ათამაშა. ჯერ ერთი, ჰოლანდიელი მიიჩნევს, რომ ის თავის პოზიციაზე არ იყო, მეორეც, მწვრთნელს არ უნდა შეეცვალა და მესამეც, რედნაპმა გადააჭარბა, როდესაც მის ტრავმაზე ილაპარაკა.

*„არ დავმალავ, იმ დღეს რამდენიმე ამბავმა გამაღიზიანა. ჯერ ერთი, ფეხბურთელი უნდა თამაშობდეს იმ პოზიციაზე, რომელზეც ის ყველაზე უკეთ გამოხატავს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს. მე თუ ყოველ შეხვედრაში, შეტევაზე გადასული მეტოქის განაპირა მცველს გამოვეკიდები, ჩემს შეტევებს ველარ წამოვიწყებ. კვირას ფლანგზე პირველად როდი გადამწიეს. მართალია, ფლანგიდან შუაში შესვლას მწვრთნელი არ მიშლის, მაგრამ გაიხსენეთ გოლი, რომელიც გავიტანე და მიხვდებით, რომ ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა შუიდან შემიძლია. ზოგადად, რასაც მწვრთნელი მავალებს იმას ვასრულებ, მაგრამ ნამდვილად არ მინდა ჩემმა ფრთაზე გადაწევამ რეგულარული ხასიათი მიიღოს“.*

რედნაპმა განაცხადა, ვან დერ ვაარტს ორთავა კუნთი სტკივა და ვცდილობ ზედმეტად არ დავტვირთო, რათა ახალი შეჯახებებისგან დავიცვაო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მწვრთნელის ამ ნათქვამმა ჰოლანდიელი გააღიზიანა. მან თქვა:

*„ვფიქრობ, მწვრთნელი შეცდა, როდესაც ჩემს ბოლო ტრავმაზე ასე გაამახვილა ყურადღება. მან ადრე შემცვალა, რითაც შესაძლო შეჯახებებისგან დამიცვა, მაგრამ მერწმუნეთ, მე თავად ვგრძნობ, რომ 90 წუთის განმავლობაში შემიძლია თამაში. მზად ვარ ნებისმიერ დატვირთვას გავუძლო. როდესაც დავინახე, რომ რედნაპი მცვლიდა, გავოცდი. ვგრძნობდი, რომ შესანიშნავად ვთამაშობდი, გოლიც გავიტანე და თანაგუნდელები სამჯერ მეკარესთან პირისპირ გავიყვანე, თუმცა, შესაძლოა მწვრთნელმა ეს ტაქტიკური მოსაზრებითაც გააკეთა — არსენალის მარჯვენა მცველი სულ წინ მორბოდა, მე კი ყოველ ჯერზე არ მოვდევდი უკან“.*



რაფაელ ვან დერ ვაარტი

● ინგლისის ნაკრები

# დანიშნეთ მწვრთნელად არსენ ვენგერი

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, შვედი **სვენ გორან ერიკსონი** ამბობს, რომ **ფაბიო კაპელოს** თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ მის ადგილზე „არსენალის“ თავკაცის, **არსენ ვენგერის** დანიშვნა იქნება უპრიანი. კაცი, რომელმაც ინგლისელები სამი დიდი შეჯიბრების მეოთხედფინალში გაიყვანა, ამტკიცებს, რომ სულაც არ არის აუცილებელი ამ ქვეყნის ნაკრებს ადგილობრივი სპეციალისტი ედგეს სათავეში. „ლესტერის“ თავკაცი ამბობს, რომ კაპელოს შემცვლელის შერჩევისას ინგლისელებმა ერთადერთი კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელონ — ახალი მწვრთნელი თავის საქმეში უნდა იყოს ძლიერი.

*„ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ ხალხს ინგლისის ნაკრების შემდეგ მწვრთნელად ჰარი რედნაპის ნახვა სურს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის ასოციაციას ხელ-ფეხს თუ არ შეუკრავენ, ამ ორგანიზაციის შეფები ეროვნულ გუნდს სიამოვნებით ანდობდნენ ვენგერს. ვინმე იტყვის, რომ ვენგერი უცხოელია? ინგლისში, ინგლისური ფეხბურთის სასიკეთოდ გატარებული ამდენი წლის შემდეგ მას ვინმე თუ კიდევ უცხოელობაში „დასდებს ბრალს“, აღარ ვიცი რა ვთქვა. არსენ ვენგერი ის კაცია, რომლისთვისაც დედამიწაზე მხოლოდ ორი რამ არსებობს, ფეხბურთი და ოჯახი. თუ დაკვირვებიხართ, ყოველდღიური შრომისა და განცდის შემდეგ, ზაფხულობით, როდესაც მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი ტარდება, ის ნაცვლად იმისა, რომ სადმე დასასვენებლად გაემგზავროს, საფრანგეთის ტელევიზიაში იწყებს მუშაობას. მას არ უნდა, რომ რაიმე გამორჩეს, შვებულებაზე უარს ამბობს და კვლავ ფეხბურთის სანახავად მიდის“.*

მოგეხსენებათ, ვენგერს კარიერაში უმძიმესი პერიოდი უდგას. „არსენალში“ თაობათა ცვლაა, გუნდი სასურველ შედეგებს ვერ აღწევს, მაგრამ ერიკსონი ამბობს, რომ სასაცილოა იმაზე ლაპარაკი თითქოს ფრანგის დრო უკვე წარსულს ჩაბარდა და ის დღევანდელ ფეხბურთში წარმატებებს ველარ მიაღწევს. „ლესტერის თავკაცს“ ჰკითხეს, შეძლებს თუ არა, ვენგერი თავისი ლამაზი ფეხბურთის სანაკრებო დონეზე გადატანას და ყმაწვილთა ვარსკვლავებად აღზრდის ნიჭის ძველებურად გამომჟღავნებას. ერიკსონმა უპასუხა:

*„დარწმუნებული ვარ, რომ ის ამას შეძლებს, თუმცა ისე ნუ ვილაპარაკებთ, თითქოს კაპელოს შეცვლა ერთადერთ ადამიანს შეუძლია. ვენგერი არ არის ერთადერთი. აუცილებლად უნდა დავასახელოთ იგივე რედნაპი. ალექს ფერგიუსონი ამ საქმეს, რასაკვირველია, ხელს არასდროს მოჰკიდებს.*

*რაც შეეხება ეროვნებას, ჩემთვის მას მნიშვნელობა არ აქვს. ინგლისში მთავარი სხვა რამ არის, გუნდი ნახევარფინალში უნდა გაიყვანო. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მეოთხედფინალში გასვლა ინგლისელებს წარუმატებლობად მიაჩნიათ“.*

მეორე მხრივ, შვედ სპეციალისტს არ უნდა დავუკარგოთ, რომ მან გუნდი **კევინ კიგანისგან** ფიფას რეიტინგში მე-17 ადგილზე ჩაიბარა და მემკვიდრეს მე-4 ადგილზე დაახვედრა. თუ პლეი ოფში, დამატებით დროში ან მატჩის შემდგომ პენალტებში დამარცხებას არ ჩავთვლით, ძირითად დროში მან მხოლოდ სამჯერ წააგო და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთა შორის, ლეგენდარული სერ **ალფ რემსის** შემდეგ მეორე ადგილზე დააყენა. ერიკსონმა სხვადასხვა დროს 13 გუნდი გაწვრთნა, მათ შორის იტალიაში, პორტუგალიაში, მექსიკაში თუ აფრიკაში. ამდენმა მოგზაურობამ და სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობამ შვედს ეროვნებისა და ფეხბურთის მიმართ თავისი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა.

*„როდესაც მე ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს, ამ ამბავს ხმაური მოჰყვა და მაშინ ეს გასაკვირი არც იყო, რადგან ჩემამდე ამ გუნდს უცხოელი თავკაცი არ ჰყოლია. ვფიქრობ, დღეს ეს უკვე განვლილი ეტაპია. თუ გახსოვთ, ჩემს მერე ფეხბურთის ასოციაცია ისევ ადგილობრივ სპეციალისტს დაუბრუნდა, მაგრამ ამან შედეგი ვერ მოიტანა და ახლა გუნდს ისევ უცხოელი ხელმძღვანელობს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. არსენ ვენგერი

ორიოდ დღის წინ "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ინგლისური გამოცემის "ფორ ფორ თუს" მკითხველების შეკითხვებს უპასუხა. ფრანგი სპეციალისტი მრავალ საინტერესო თემას შეეხო. მაშ ასე...



# ბნელი ღამეები ფრანგის ცხოვრებაში

**- როდის მიხვდით, რომ სწორედ ფეხბურთი უნდა გამხდარიყო თქვენი პროფესია?**

- სკოლაში საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, თუმცა ჩემთვის ყოველთვის აშკარა იყო, რომ თუკი მოვახერხებდი მთელი ცხოვრების ფეხბურთში გატარებას, ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა. ვარჯიში 9 წლისამ დავიწყე, მაგრამ ეს რაღაც არასერიოზული იყო. მეჩვენებოდა, თითქოს სიზმარში ვცხოვრობდი. ჩემს მშობლებს უჭირდათ იმ ფაქტთან შეგუება, რომ, მათი შვილი, ვინც კარგად სწავლობდა, სამუშაოდ შე-



იძლებოდა ფეხბურთში წასულიყო. იმ დროს ეს არასერიოზული კაცის პროფესიად აღიქმებოდა. მშობლებს უნდოდათ, რომ ისტორიკოსი ან იურისტი გამოვსულიყავი ან რამე ამისთანა პროფესიის. მათთან ბრძოლა მომიხდა, რათა დამერწმუნებინა. საბედნიეროდ, კარგი კარიერა გამომივიდა.

**- თქვენ თავად თამაშობდით ფეხბურთს. რა დონის მოთამაშე იყავით?**

- საერთაშორისო არენაზე თავი არ წარმომიჩენია, მაგრამ მაღალ დონეზე ნამდვილად ვითამაშე (1979 წელს ვენგერი "სტრასბურის" შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. რედ). ხანდახან ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთელის ნიშან-თვისებები რომ მქონოდა, რამდენად კარგი ფეხბურთელი ვიქნებოდი. თუმცა არ ვიცი. მე გვიან გავხდი პროფესიონალი. მაქს ჰილდი, მწვრთნელი, რომელმაც ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა, ამბობდა, რომ კარგი ფეხბურთელი ვიყავი. თავდაპირველად თავდასხმაში დავიწყე, შემდეგ ნახევარდაცვაში ჩამომწიეს, კარიერა კი ცენტრალურ მცველად დავასრულე.

**- მაქს ჰილდმა თქვენ ერთდროულად რეი პარლორსა და როი კინს შეგადარათ. ეს სამართლიანია?**

- მოხარული ვიქნებოდი, ორივე ჩემს თავში რომ გამეერთიანებინა.

**- მწვრთნელობას თავიდანვე აპირებდით? აწარმოებდით თუ არა ჩანაწერებს?**

-ასე კონკრეტულად არაფერს ვგეგმავდი, რადგან არ ვიცოდი, რამდენად ვივარგებდი ამ საქმისთვის. თუმცა ჩემს მწვრთნელებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, რადგან ფეხბურთისადმი მათ ვნებას ვიზიარებდი. ხანდახან 600 მილი გამივლია, რომ კარგ ფეხბურთელს დავკვირვებოდი, მატჩამდე 2 საათით ადრეც მივსულვარ სტადიონზე და იმავე ღამეს შინ დავბრუნებულვარ. 31 წლისა "სტრასბურის" აკადემიაში მწვრთნელიც ვიყავი, სკაუტიც, ფიზიოთერაპევტიც, კაპიტანიც... ყველაფერი ერთად. ამ დროს კარგი გამოცდილება დავაგროვე.

**- ცნობილია, რომ ჭამისადმი "არსენალის" ფეხბურთელების დამოკიდებულება შეცვალეთ. არის თუ არა ისეთი ბრიტანული საჭმელი, რომლის გარეშე ვერ ძლებთ?**

- შემწვარი თევზი და კარტოფილი მაინცდამაინც არ მიყვარს, საშობაო პუდინგი - კი. მიყვარს ღვეზელი ალუბლით, ვაშლით, ნაყინით. თავადაც მიყვარს ისეთი საჭმელები, რომელიც არ არის სასარგებლო, თუმცა ყოველთვის სისულელედ მიმაჩნდა, როცა ფეხბურთელი მთელი კვირა ვარჯიშობდა და მერე თამაშს იმის გამო ტოვებდა, რომ წინა საღამოს რაღაც ისეთი მიირთვა. მახსოვს, "არსენალში" ჩემი პირველი მატჩისთვის ბლექბერნში მივდიოდით და ფეხბურთელები მღეროდნენ "ჩვენ გვინდა ჩვენი მარსის შოკოლადიო". ისინი ამას თამაშის წინ აკეთებდნენ ხოლმე და მე ეს ტრადიცია დავარღვიე.

**- რა მიგაჩნიათ "არსენალში" თქვენს მთავარ მიღწევად?**



- რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მოგება წაუგებლად, იმიტომ, რომ ეს ურთულესია, მაგრამ მიღწევა მაინც შეიძლება. როცა ნოემბერში ნიუკასლში ჩადიხარ სათამაშოდ, ოქტომბერში, ვთქვათ, პორტსმუთში, 1-ელ იანვარს "შეფილდ უენსდისთან" და ამ ბნელ ღამეებში, როცა ყველაფერი შენ წინააღმდეგაა, შენ თამაშებს მაინც არ აგებ, ეს მართლა ფანტასტიკაა.

**- არ ფიქრობთ, რომ ვიეირასა და ანრის გაყიდვა თითო წლით ადრე ჯობდა? მაშინ ხომ ბევრად მეტ ფულს მიიღებდით?**

- ვიეირასთან დაკავშირებით "იუვენტუსისგან" ისედაც გიჟური წინადადება მივიღეთ. ის მაშინ 29 წლის იყო და აქედან 9 წელიწადი ჩვენთან ჰქონდა გატარებული. იტალიელებმა კი მას 5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩვენც შევძლებდით იმავეს შეთავაზებას და არც ის მინდოდა, რომ მისთვის ამის შანსი დამეკარგა. ანრისთან დაკავშირებით შემდეგი სიტუაცია იყო: ჩვენ ის-ის იყო ახალ სტადიონზე ვიყავით გადასულები, დარწმუნებული ვიყავით, რომ ტრიბუნებს შევავსებდით და რითი უნდა გვემართლებინა თავი გულშემატკივრების წინაშე? ერთი წლის შემდეგ მან თავად ითხოვა გაყიდვა. ბუნებრივია, ძალით მას ვერ გავაჩერებდი.

**- იყო ვინმე ისეთი, ვინც თქვენ რეალურად გაღიზიანებდათ, თუ დიდი წილი ისტორიებისა ამასთან დაკავშირებით გაზეთების მიერ არის მოგონილი?**

- მაღიზიანებს მწვრთნელთა მცდელობები, თამაშის წინ ზეწოლა მოახდინონ მსაჯებზე. მაღიზიანებს ასევე თამაშის შემდეგ მათ შეცდომებზე განსაკუთრებული რეაქციები. დიახ, ხანდახან ფერგიუსონი მართლა მიშლიდა ნერვებს, ზუსტად ისე, როგორც მე ვუშლიდი მას ნერვებს, მაგრამ ეს ყველაფერი თამაშის ნაწილია. არ მჯერა, რომ ასეთ დონეზე შეიძლება მოედანზე ვინმეს მეტოქე იყო, ცხოვრებაში კი მეგობრად დარჩე.

**- თქვენ კონტრაქტი არასოდეს დაგირღვევიათ. არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთელებმა დაკარგეს თავიანთი "მორალური კომპასი", თუ მათ ეს არც არასოდეს ჰქონიათ?**

- ფეხბურთს მთელ მსოფლიოში უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია. ინგლისის პრემიერლიგის ყოველ დიდ შეხვედრას 500-დან 700 მილიონამდე ადამიანი უყურებს. წარმოიდგინეთ პატარა ინდოელი ან სამხრეთაფრიკელი ბავშვი, რომელი უეინ რუნის ან სესკ ფაბრეგასს აკვირდება. მათი გავლენა ამ ბავშვებზე უმნიშვნელოვანესია. მეჩვენება, რომ ჩვენს ქვეყნებში, რომლებიც ამხელა ისტორიას პატრონები არიან, მათ შორის საომარის, მულტიკულტურულ გუნდებს შეუძლიათ იმის დემონსტრირება, როგორ უნდა იცხოვრო სწორად და როგორ მიაღწიო მიზანს ცხოვრებაში.

**- თუკი ზეპ ბლატერი მაინც შემოიღებს კვოტას ლეგიონერებზე, იქნება თუ არა ეს ცუდი პრემიერლიგისთვის?**

- ყოველთვის ვიბრძოდი ლიმიტების წინააღმდეგ, რადგან მათ სრულ სისულელედ მივიჩნევ. სპორტმა უძლიერესებს უნდა გაუხსნას გზა. შენ შეიძლება ჩემი შვილი იყო, მაგრამ სათანადოდ კარგი თუ არ ხარ, "არსენალში" ვერასოდეს ითამაშებ.



თუნდაც ტონი ბლერის შვილი იყო, მხოლოდ ამის გამო ნიუკასლში არავინ გათამაშებს. და თუკი კარგი ხარ, არა აქვს მნიშვნელობა რა გქვია, რომელ რასას ეკუთვნი და საიდან ხარ წარმოშობით.

**- ფეხბურთში მხოლოდ ერთი წესის შეცვლა რომ შეგეძლოთ, რას იზამდით?**

- ბევრ რამეს შევცვლიდი, მაგრამ უპირველესად წესს დავამკვიდრებდი, რომ მხოლოდ კაპიტანს ჰქონდეს მსაჯთან დალაპარაკების უფლება.

ტრავმა

# სოვის ტრავმა და განცხადება

"ლილის" სენეგალელმა თავდამსხმელმა **მუსა სოვმა** "რენთან" შეხვედრაში მარჯვენა ფეხის თითი იღრძო და ექიმების მითითებით მინიმუმ ერთ კვირას დაისვენებს. შესაბამისად, 25 წლის ფეხბურთელი ეროვნულ გუნდს მავრიკეთთან აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევ შეხვედრაში ვერ დაეხმარებაო, - გვამცნო "ფრანს ფუტბოლმა". რამე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, მუსა 15 ოქტომბერს "ოსერთან" მე-10 ტურის შეხვედრისთვის მწყობრში უნდა იყოს. "ძაღლებისთვის" მისი ფორმაში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან "ოსერის" შემდეგ მათ წინ ჩემპიონთა ლიგაში "ინტერთან" მატჩი ელით.

ამასობაში ესპანური წყაროები ამტკიცებენ, რომ "სევილია" მზადაა იანვარში სენეგალელში "ლილს" 18 მილიონი ევრო გადაუხადოს. სოვით დაინტერესებას მიაწერენ ასევე "არსენალსა" და "ინტერსაც". თავად ფეხბურთელმა აღნიშნულ თემაზე ორაზროვანი კომენტარი გააკეთა: *"მხოლოდ ღმერთმა თუ უწყის, რა შეიძლება მომავალში მოხდეს. იქამდე, ვიდრე "ლილის" ღირსებას ვიცავ, მის საქმეებზე ვიქნები კონცენტრირებული, თუმცა სეზონის მიწურულამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს"*.



მუსა სოვი

ამბები



## ვან ბომელი პსვ-ში დაბრუნდება

"მილანის" საყრდენმა ნახევარმცველმა **მარკ ვან ბომელმა** შეიძლება სეზონის დასრულებას არ დაუცადოს და "ეინდჰოვენში" სათამაშოდ იანვარშივე დაბრუნდეს. ამ თემაზე უკვე რამდენიმე ჰოლანდიურმა გამოცემამ დაწერა. როგორც ჩანს, რაღაც ნამდვილად ხდება. ჟურნალისტები კომენტარისთვის პსვ-ს პრეზიდენტ **პეტერ სვინკელსს** დაუკავშირდნენ. აი, რა თქვა კლუბის მმართველმა: *"ვან ბომელს ჩვენს კლუბში ყოველთვის დიდი სიხარულით შეხვდებიან, თუკი ამის შანსი იქნება. ჩვენ აუცილებლად დაველაპარაკებით ფეხბურთელს ამ თემაზე"*. შეგახსენებთ, რომ მარკი "ფილიპს სტადიონზე" 1990-დან 2005-მდე თამაშობდა, სადაც 229 თამაშში 54 გოლი გაიტანა.

## ხავი გარსია რჩება

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები ესპანური, იტალიური და ინგლისური კლუბების მხრიდან ინტერესზე წერენ, ესპანელი საყრდენი ნახევარმცველი, 24 წლის **ხავი გარსია** ზამთარში "ბენფიკას" არ დატოვებს, - ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ფეხბურთელის აგენტმა გააკეთა. მისი თქმით, მას არავინ დაჰკავშირებია და ვიდრე ეს არ მოხდება, იქამდე მსგავს ინფორმაციას მხოლოდ ჭორის დონეზე განიხილავს. გეტყვით, რომ რიგი გაზეთები ხავიერით "რეალის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "მილანის" ინტერესებზე წერდნენ. აღნიშნული კლუბების მხრიდან მსგავს ინფორმაციას არავინ ადასტურებს.

## პსჟ ბექჰემს უკვე დაუკავშირდა

"პარი სენ-ჟერმენი" მზადაა, ინგლისელ ვეტერანს, 35 წლის **დევიდ ბექჰემს** ორწლიან კონტრაქტში 9 მილიონი ევრო გადაუხადოს, ამის შესახებ კლუბის ოფიციალური პოზიცია უკვე ცნობილია. სწორედ ასეთ ანაზღაურებას იღებს "პარი სენ-ჟერმენის" უმთავრესი ვარსკვლავი, 22 წლის არგენტინელი **ხავიერ პასტორე**. პარიზული კლუბის სპორტული დირექტორი **ლეონარდო** ლოს ანჯელესში გაემგზავრა. დევიდთან და მის აგენტთან შეხვედრას ის სწორედ ამ ქალაქში გეგმავს. "პარიზიენის" ცნობით, დევიდის მეუღლე **ვიქტორია ადამსი** პარიზში ცხოვრების პერსპექტივით ფრიად მოხიბლულია. დევიდზე კი მას რომ საკმაო გავლენა აქვს, ეს საიდუმლო არავისთვისაა. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ბოლოს დევიდს "გალაქსისთან" კონტრაქტი უმთავრდება და შესაბამისად ინგლისელი თავისუფალი აგენტი ხდება.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ქოლესტერინის საზომი აპარატი
54 ლარი
გლუკომეტრები
25-99 ლარი
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ფურია როხა



ფერნანდო ტორესი

# ტორესი გააფრთხილეს: უნდა იბრძოლო!

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** „ჩელსის" ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** გააფრთხილა, რომ ევრო-2012-ზე მოსახვედრად კონკურენციის დაძლევა მოუწევს. 27 წლის ტორესის საქმე მას შემდეგ წავიდა უკან, რაც „ელ ნინიო" „ჩელსიმ" „ლივერპულისგან" 50 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა. აქამდე ესპანეთის ნაკრებში ტორესის ადგილი (მიუხედავად ცუდი ფორმისა) ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ახლა დელ ბოსკე აცხადებს, რომ უკრაინა-პოლონეთში მოსახვედრად თავდამსხმელს ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდება. ბედის ირონიით, ტორესი ძლივს ათამაშდა ლონდონურ კლუბში და გოლების გატანაც დაიწყო.

დელ ბოსკე ამბობს, რომ ტორესის ევრო-2008-ის გმირობა და მსოფლიოს ჩემპიონობა ვერ იქნება მისი ევრო-2012-ში თამაშის გარანტია, თუ თავადაც არ მოინდომებს. დელ ბოსკე აღნიშნავს, რომ მას შეტევაში რამდენიმე საინტერესო ალტერნატიული ვარიანტი აქვს, თუმცა ჯერ კიდევ სჯერა, რომ ფერნანდო უმაღლეს დონეზე ითამაშებს. *„მან შეიცვალა კლუბი, შემდეგ ჰქონდა არცთუ წარმატებული სეზონი. ჩვენ ჯერ კიდევ გვწამს მისი შესაძლებლობების, მაგრამ თუკი მაღალ დონეზე ვერ ითამაშებს, ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავა. მას საკმაოდ კარგი კონკურენტები ჰყავს და თუკი აჯობებენ, ვერ ვუღალატებთ სამართლიანობის პრინციპს. სხვათა შორის, უკვე ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ სხვებს უსამართლოდ ვექცევით"*, - განუცხადა „მარკას" ესპანეთის ნაკრების თავკაცმა. ამაზე ცხად გამაფრთხილებელ „მესიჯს" ფერნანდო ტორესი ვერ მიიღებდა.

მოდი, ჩამოვთვალოთ თავდამსხმელები, ვისთვისაც ტორესს კონკურენციის გაწევა უწევს: **დავიდ ვილია და პედრო როდრიგესი** „ბარსელონადან", **რობერტო სოლდადო** „ვალენსიადან", **ალვარო ნეგრედო** („სევილია") და **ფერნანდო ლორენტე** („ბილბაო").

ამბები

## რონალდომ პორტუგალია შეაშინა

მადრიდის „რეალის" და პორტუგალიის ნაკრების ლიდერმა **კრიშტიანო რონალდომ** საზარდული დაიზიანა. ამ ცნობამ ძალზე შეაშფოთა პორტუგალია - ამ ქვეყნის ნაკრებს ხომ ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის ევრო-2012-ის შესარჩევ ციკლში, ისლანდიისა და დანიის ნაკრებ გუნდებთან. პირველი შეხვედრა პარასკევსაა და ნაკრების ექიმები დამაიმედებელ პროგნოზებს აკეთებენ, ტრავმა არცთუ სერიოზულია - რონალდომ, შეიძლება, მაინც ითამაშოს.

გუშინ, მაშინ როცა, პორტუგალიის ნაკრები ვარჯიშობდა ისლანდიელთა მატჩისთვის მოსამზადებლად, რონალდო გუნდის სასტუმროს ფოიეში დასეირნობდა. პორტუგალიის და დანიის ნაკრებები ჰ ჯგუფში 13-13 ქულით ლიდერობენ. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, არ არის გამორიცხული, რომ თუკი რონალდომ ითამაშა და ამის გამო ტრავმა გაუმიზეზდა კიდევ ერთი ომი ვიხილოთ პორტუგალიის ნაკრების ხელმძღვანელობასა და ესპანეთის „სამეფო კლუბს" შორის.

## ნეგრედო - 2016

„სევილიამ" თავისი საუკეთესო შემტევი დიდი ხნით დაიბევა - 26 წლის **ალვარო ნეგრედომ** ანდალუსიურ კლუბთან 2016 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება. წინა კონტრაქტს მხარეებმა კიდევ 2 დაამატეს, ახლა ალვაროს მსურველ კლუბს მის შესაძენად 50 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

ნეგრედო „სევილიაში" 2009 წელს „რეალიდან" 14 მილიონ ევროდ გადავიდა და მას მერე კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე გახდა. მან ორ სეზონში 37 გოლი გაიტანა „სევილიას" მაისურით. *„კლუბის პრეზიდენტ ხოსე მარია დელ ნიდოს ვუთხარი, რომ „სევილიადან" წასვლა არ მსურს, აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ"*, - განუცხადა ნეგრედომ „ბალონ პარადოს". ნეგრედოს კონტრაქტის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც „რეალმა" ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება არ გამოიყენა და ნეგრედო არ გამოისყიდა.

რეალი

## ყურის აწევისთვის ყური აუწიეს



ჟოზე მოურინიო

გახსოვთ ალბათ, კადრი, რომელმაც მთელი მსოფლიო „შემოირბინა" - ესპანეთის სუპერთასის მატჩში **ჟოზე მოურინიო** მიეპარა **ხოსეპ გვარდიოლას** ასისტენტ **ტიტო ვილანოვას** და ყური აუწია. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში, ცოტა დაგვიანებით იმსჯელეს ამ საკითხზე და ჟოზე მოურინიოს მორიგი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ყურის აწევისთვის მოურინიო 600 ევროთი, ხოლო „რეალი" 180-ით დასაჯეს. ეს რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სერიოზული სასჯელი, თუმცა პორტუგალიელს ორი შეხვედრის გამოტოვებაც მოუწევს, თუმცა ეს დისკვალიფიკაცია მხოლოდ ესპანეთის სუპერთასის მატჩებზე მოქმედებს და ჩემპიონატსა და სამეფო თასზე არ ვრცელდება. სხვათა შორის ვილანოვაც დაისაჯა - ისიც 600 ევროთი.

## ნური მზადაა

მადრიდის „რეალის" სამედიცინო შტაბის ცნობით, „სამეფო კლუბის" თურქი ახალწვეული **ნური შაჰინი** მზადაა სათამაშოდ. შეგახსენებთ, რომ შაჰინი შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელია, **ჟოზე მოურინიომ** კი ის „დორტმუნდს" 10 მილიონ ევროდ დასტყუა. 23 წლის ნახევარმცველმა ტრავმა წინასასეზონო ტურნეში მიიღო და აქამდე ჯერ არ უთამაშია „რეალში" ოფიციალური მატჩი. ექიმები იმედოვნებენ, რომ ნურის დებიუტი ლა ლიგაში 16 ოქტომბერს შედგა, როდესაც „რეალი" „ბეტისს" მასპინძლობს. მიუხედავად იმისა, რომ შაჰინი გამოჯანმრთელდა, ის არ მიიღებს მონაწილეობას ნაკრების მატჩებში.

ტრავმა

## ნილმარი ორ თვემდე...

„ვილიარეალის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ნილმარმა** მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ის არ ყოფილა ისეთი სირთულის, როგორიც წინადღეს „ბარსელონას" ჰოლანდიელ ლეგიონერ **იბრაჰიმ აფელაის** გაუკეთეს. ასე რომ, ნილმარი მწყობრში 7 კვირაში ჩადგება. 27 წლის ნილმარს მცირე გამონაზარდი მოაშორეს მუხლში, რომელიც მას თამაშის საშუალებას არ აძლევდა.

ბრაზილიის ნაკრების წევრი გამოტოვებს პრიმერას და ჩემპიონთა ლიგის მატჩებს. მათ შორის, ისეთ დაპირისპირებებს, როგორიც „რეალთან" თამაში ან „მანჩესტერ სიტისთან" გაჯიბრებაა.

**ხუან კარლოს გარიდოს** გუნდმა მოულოდნელად ცუდად დაიწყო ჩემპიონატი, სუსტად გამოდის ჩემპიონთა ლიგაზეც. რისი ერთ-ერთი მიზეზიც ნილმარის სუსტი თამაში იყო, რომელსაც ხელს ტრავმა უშლიდა. წლეულს ყველა ტურნირში ნილმარმა 8 მატჩში სულ 2 გოლი გაიტანა.

სეგუნდა

## უესკას ახალი მწვრთნელი

„უესკას" ახალი მწვრთნელი **კიკო ერნანდესია**, ის პირენეულ კლუბში **ანხელ როიოს** შეცვლის. *„ამ რთული სიტუაციიდან მალევე უნდა გამოვიდეთ, რადგან საშიფათო ზონაში ვართ. დროა, მოგებები დავიწყოთ"*, - განაცხადა ახალმა თავკაცმა. „უესკა" 4 ქულით მე-20 ადგილზეა სეგუნდადივიზიონში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**






ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები



27 წლის ბასტიან შვაინშტაიგერი ხვალ გერმანიის ნაკრებში 90-ე მატჩს ჩაატარებს. ოლივერ კანს მის ასაკში ბუნდესგუნდის ფორმა მხოლოდ რამდენჯერმე ჰქონდა მორგებული

# დრო იყო, კანი და კომპანია დაგვცინოდნენ

გერმანიის ნაკრებისთვის ხვალინდელ მატჩს თურქეთთან სპორტული თვალსაზრისით ფაქტობრივი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ბუნდესგუნდს რვავე თამაში მოგებული აქვს და შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობაც გაინაღდა. აი, სტატისტიკის მოყვარულთათვის კი ეს შეხვედრა ნამდვილად საინტერესო იქნება: გერმანელთა მიზანი ახლა ისაა, რომ შესარჩევი ციკლი ასპროცენტიანი შედეგით დაასრულონ, ანუ, მოიგონ ათიდან ათივე მატჩი. საინტერესოა ისიც, რომ ხვალ ბუნდესგუნდის ერთი ფეხბურთელი ნაკრებში თავის 90-ე მატჩს ჩაატარებს და თანაც, 27 წლის ასაკში – საუბარია **ბასტიან შვაინშტაიგერზე**.

27 წლის ასაკში ქვეყნის ნაკრების ფორმით 89 შეხვედრა რომ გაქვს ჩატარებული, ეს უდავოდ უდიდესი მიღწევაა. შვაინშტაიგერი ფეხბურთელისთვის იდეალურ ასაკშია, ნაკრებში ცენტრალური ფიგურა გახლავთ და გამოცდილებაც საკმარისზე მეტი დააგროვა. შესაბამისად, შვაინიმ იცის: *„ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. ხალხი ჩემგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ელის და მე ამას ყოველთვის ვგრძნობ.“*

წამყვანი როლი მოთამაშისთვის უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს და რაღა შორს წავიდეთ, შვაინშტაიგერს ჯერ კიდევ არ დავიწყებია აგვისტოში ატეხილი დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად ამართლებს ის გერმანელი ხალხის იმედებს. საინტერესო ის არის, რომ ეს დისკუსია გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, ლეგენდარული **ოლივერ კანის** დაწყებული იყო.

*„ოლის ძალიან კარგად ვიცნობ,* - ამბობს შვაინი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, *- ფაქტია, რომ ჩემს ასაკში კანს ნაკრებში მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჰქონდა ჩატარებული. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.“*

უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ოლივერ კანს გერმანიის ნაკრებში დებიუტი 26 წლის ასაკში ჰქონდა, 27 წლის შვაინშტაიგერი კი უკვე ასიანთა კლუბს უახლოვდება. ბასტიანის აზრით, კანმა გერმანულ ფეხბურთში ისტორია შექმნა და უდიდეს პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ: *„ჩემი აზრით, როცა ნაკრებიდან წასული ფეხბურთელი გუნდში მიმდინარე პროცესებს კრიტიკულად უყურებს და ფეხბურთელებზე ლაპარაკობს, ეს არ არის სწორი საქციელი. ვფიქრობ, რომ ოლი ნაკრების შესახებ განცხადებების გაკეთების დროს უფრო ფრთხილად უნდა იყოს,“* - ამბობს შვაინშტაიგერი.

ბასტიანი მიიჩნევს, რომ ბუნდესგუნდში მისი როლის შეფასება მასზე უკეთ არავის შეუძლია. იანვრის დასაწყისში თქვა, როგორც ვიცე-კაპიტანი, ვალდებული ვარ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში უფრო მეტი სიმკაცრე გამოვიჩინოო, დღეს კი აცხადებს: *„ვიცე-კაპიტნის როლი უკვე ძალიან კარგად გავითავისე. როცა მატჩის დროს საფეხბურთო, თუ არასაფეხბურთო შეცდომებს ვხედავ, დამნაშავეებს ამაზე ყოველთვის მივუთითებ ხოლმე. ოლივერ კანისგან განსხვავებით, ჩემთვის მთავარი ის კი არაა, რომ პრობლემის დანახვის შემდეგ ყველაფერზე საჯაროდ ვიყვირო, არამედ ის, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელს ცალკე დაველაპარაკო და ვიზრუნო იმაზე, რომ გუნდის საქმეები გარეთ არ გავიდეს.“*

კითხვაზე, შურს თუ არა **ფილიპ ლამის** იმის გამო, რომ **მიხაელ ბალაკის** გუნდიდან გაშვების შემდეგ გერმანიის ნაკრების კაპიტნობა მას კი არა, ლამს გადასცეს, შვაინშტაიგერი პასუხობს, არაო. *„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კაპიტნის სამკლავურითაც ზუსტად ისე ვითამაშებდი და ისე მოვიქცეოდი, როგორც მის გარეშე ვთამაშობ და ვიქცევი. გერმანიის ნაკრების კაპიტნობა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა,“* - ამბობს ბასტიანი.

„კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შვაინი იმაზეც საუბრობს, რომ ბუნდესგუნდში ბევრი რამ შეიცვალა მას მერე, რაც მას ქვეყნის ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა. ეს 2004 წელს მოხდა და მაშინ შვაინშტაიგერი 19 წლის იყო. მთავარი განსხვავება დღევანდელ და მაშინდელ ბუნდესგუნდებს შორის იერარქიაშია: *„ადრე გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი შეცდომას თუ დაუშვებდა, გამოცდილი მოთამაშეები ხშირად დასცინოდნენ და ხანდახან, ემუქრებოდნენ კიდეც. ახლა კი სხვანაირი ვითარებაა – გამოცდილები პატარებს მხარში ვუდგავართ და კი არ ვლანძღავთ, რჩევებს ვაძლევთ. მე, როგორც ბუნდესნაკრების ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ მოთამაშეს, ძალიან მიხარია, როცა გუნდში ისეთ ახალგაზრდა ბიჭებს ვხედავ, როგორებიც არიან ანდრე შიურლე, მარიო გიოტცე ან ლუის ჰოლტბი. ისინი მართლა უნიჭიერესი მოთამაშეები არიან. გერმანიას შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა ჰყავს, იმდენად კარგი, რომ სხვა ქვეყნებს ჩვენი შურთ.“*

ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შვაინის აზრით გერმანიის არ შურს, ესპანეთია. სწორედ **ჩავის, ინიესტას** და კომპანიას მიუძღვით ბრალი იმაში, რომ შვაინშტაიგერის სანაკრებო კარიერაში არც ერთი წარმატებული ფინალი არ წერია.

*„გერმანიის ნაკრებში 2004 წლიდან ვთამაშობ და ამ ხნის მანძილზე ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა,* - აცხადებს ბასტიანი და იქვე მოკრძალებულად დასძენს, *- სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ტიტულის მოგება ვერ შევძელით. დარწმუნებული ვარ: რომ არა ესპანეთის ასეთი ბრწყინვალე ნაკრები, ევროპის ჩემპიონებიც გავხდებოდით და მუნდიალსაც მოვიგებდით.“*

● ჰერტა

# მსაჯებს ბერლინი არ უყვართ?

## უკვე 22 გაფრთხილება და 2 გაძევება: რატომ არიან კობი და კომპანია ასეთი აგრესიულები?

ბუნდესლიგის ფეარ პლეის რეიტინგში ბოლო ადგილზე ბერლინის „ჰერტაა“. მარკუს ბაბელის შეგირდებმა გერმანიის ჩემპიონატის განვლილ რვა ტურში უკვე 22 ყვითელი და 2 წითელი ბარათი მიიღეს, რაც ბერლინულ კლუბს ბუნდესლიგის ყველაზე აგრესიულ გუნდად აქცევს. საბედნიეროდ, **ლევან კობიაშვილი** განითლებულებს შორის არაა, ყვითელი ბარათი კი ამ სეზონში უკვე ორჯერ დაიმსახურა.

*„დასამალი არაფერია, მე ბიჭებს ყოველთვის ვეუბნები, რომ აგრესიული ფეხბურთი უნდა ითამაშონ, ოღონდ აგრესია ზომიერი უნდა იყოს. შესაბამისად, არ მიკვირს, რომ ამ ეტაპზე ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი ბარათები ჩემს ფეხბურთელებს აქვთ მიღებული. თანაც, იმის გამო, რომ ჩვენ პირველ ბუნდესლიგაში ახლახან დავბრუნდით, მსაჯები ფეხბურთელებს უფრო თამამად გვიფრთხილებენ. მაგალითად, არბიტრები მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელებს უფრო იოლად ინდობენ ხოლმე,“* - აცხადებს „ჰერტას“ თავკაცი **მარკუს ბაბელი**.

მართლაც საინტერესოა ის, რომ მაგალითად „ვერდერთან“ მატჩში, რომელიც ბერლინელებმა 1:2 წააგეს, ბრემენელმა ფეხბურთელებმა თამაშის წესები 22-ჯერ დაარღვიეს, „ჰერტას“ მოთამაშეებმა კი 17-ჯერ, ბარათების შეფარდება კი პირიქით იყო და თანაც, დიდი სხვაობით: 2-8.



ლევან კობიაშვილს 2 გაფრთხილება აქვს, მთლიანად ჰერტას კი 22 ყვითელი და 2 წითელი

*„ვერდერთან“ შეხვედრაში ადრიან რამოსი და კრისტიან ლელი გაძევებებს არ იმსახურებდნენ. მე სულაც არ მინდა, რომ მსაჯებმა დაგვინდონ, როცა დასანდობები არ ვართ, მაგრამ თუკი სხვა კლუბებს აშკარად ინდობენ, ეს უკვე უსამართლობაა,* - ამბობს ბაბელი და იქვე დასძენს, *- სხვათა შორის, „ჰერტას“ დაჩაგვრას მსაჯებს მეორე ბუნდესლიგაშიც ვატყობდი და ეს არ მსიამოვნებდა. როცა „ჰერტას“ მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, აქაურებმა მითხრეს, მსაჯები ხშირად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენო და მაშინ ამაზე გულიანად გამეცინა. ახლა კი ვხვდები, რომ ეს ყველაფერი მართალი ყოფილა.“*

თუმცა მარკუსს გერმანელი არბიტრების განაწყენება არ სურს და იქვე დასძენს, ჩვენი მსაჯები ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესოები არიან, შესაბამისად, იმედს ვიტოვებ, რომ „ჰერტას“ ჩაგვრა დროებითი და შემთხვევითი მოვლენაა და არა გამიზნული საქციელიო.

## ფრინგსი ისევ ბრემენში?

„ვერდერის“ მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** განაცხადა, რომ თუ **ტორსტენ ფრინგსი** ბრემენში დაბრუნებას მოისურვებს, ამის წინააღმდეგი არ იქნება. *„ტორსტენს ბრემენული ფესვები აქვს და მისი დაბრუნება ყოველთვის გაგვიხარდება. მართალია, უკვე ასაკშია და ალბათ კარიერასაც მალე დაამთავრებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მისი გაშვება ჩვენი სურვილი არ ყოფილა,“* - უთხრა ალოფსმა „შპორტ-ბილდს“.

შეგახსენებთ, რომ 34 წლის ფრინგსმა „ვერდერი“ ზაფხულში დატოვა და ამერიკაში, კერძოდ, „ტორონტოში“ ასპარეზობს. ბრემენული კლუბის რიგებში მას ბუნდესლიგის ეგიდით 326 მატჩი აქვს ჩატარებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ამაყი ვარ ჩვენი ბიჭებით, თუმცა გული მწყდება, მეტი შეგვეძლო



საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ჯგუფურ ტურნირში ასპარეზობა ერთი გამარჯვებითა და სამი მარცხით დაასრულა. ჩვენი გუნდის თამაშმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და თუ მსოფლიოს რაგბის საშეჯიბრო სტრუქტურებში ცვლილებები განხორციელდა, ეს უწინარესად „ბორჯღალოსნების" მიერ ნაჩვენები შესანიშნავი თამაშის დამსახურება იქნება.

საქართველოს ნაკრების ახალ ზელანდიაში გამოსვლის შეფასება რაგბის კავშირის პრეზიდენტს, **გიორგი ნიჟარაძეს** ჯერ კიდევ პალმერსტონში ყოფნისას ვთხოვეთ:

*- სანამ საქართველოს ნაკრების თამაშის შეფასებას გავაკეთებ, მინდა გაგახსენოთ, რომ ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ჯგუფში მოვხვდით. ვეთამაშეთ მსოფლიოს რეიტინგში მე-4, მე-7 და მე-8 ადგილებზე მყოფ გუნდებს.*

*ამასთან, ისიც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ გუნდებს ძალიან იშვიათად, ოთხ წელიწადში ერთხელ ვეთამაშებით, ისიც უშუალოდ მსოფლიოს თასზე, სადაც განსაკუთრებული ფორმატია და თანაც ჩვენი დონის გუნდებისთვის ძალიან არახელსაყრელი. ორჯერ მოგვიწია სამდღიანი შუალედით მსოფლიოს გრანდებთან თამაშმა, რაც ძალზედ რთულია და, ცხადია, ამან ბიჭები ძალიან დაღალა.*

**- საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის გათამაშებაში ერთი მატჩი მოიგო. დაამარცხა რუმინეთის ნაკრები...**

- ეს უმნიშვნელოვანესი თამაში იყო, ამ მატჩის შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული ჩვენი მომავალი ადგილი მსოფლიოს სარაგბო ოჯახში. ჩვენსა და რუმინელებს შორის დიდი ხანია პაექრობა არა მარტო მოედანზე მიმდინარეობს. მის გარეთ მიდის ბრძოლა ევროპულ და შესაბამისად მსოფლიოს რაგბიში დასამკვიდრებლად.

მაშინ, დასაწყისში, როცა საქართველოს ნაკრების ისტორია იქმნებოდა, ჩვენ ხშირად ვაგებდით რუმინელებთან. ეს ბუნებრივიც იყო, მათ ხომ რაგბის თამაშის თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვთ. მაგრამ ძალიან მოკლე დროში, ჩვენმა გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა და ის, რომ ახლა რუმინელებზე უკეთესი გუნდი გვყავს, საბოლოოდ მსოფლიოს თასზე მათთან გამარჯვებით დავამტკიცეთ.

რუმინელებთან ბიჭებმა ცოტა ინერვიულეს, რადგან კარგად და ზუსტად ჰქონდათ გაცნობიერებული "სტეუარისთან" მატჩის მნიშვნელობა. ასე რომ არ ყოფილიყო, დიდი ანგარიშითაც მოვუგებდით.

**- რუმინელებთან სწორედ რომ მაღალი სათამაშო კლასის ხრჯზე გამარჯვების შემდეგ იყო არგენტინელებთან მოგებული პირველი ტაიმი. რა დაგვაკლდა მათთან საბოლოო წარმატების მისაღწევად?**

- ის, რომ ჩვენთან გამარჯვების შემდეგ არგენტინის ნაკრების მოთამაშეები გასახდელში სიხარულისგან ლამის კედლებზე დადიოდნენ, თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა დონეს მიაღწია საქართველოს ნაკრებმა.

ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მათ უბრალოდ მეტი აღარ შეეძლოთ, რადგან გამორიცხულია სამ დღეში გუნდმა ძალები სრულყოფილად აღიდგინოს. თან ამდენი ტრავმიანი მოთამაშე გვყავდა. თამაშის წინა დღეს კი ვარჯიშზე ერთ-ერთი წამყვანი მორაგბე, დავით ზირაქაშვილი დაგვიშავდა. ერთი სიტყვით, ძალიან ძნელია, ასეთ სიტუაციაში არგენტინის დონის გუნდს ებრძოლო.

თანაც კლასიც თავისას შვება. ყველა თანხმდება იმაში, მათ შორის წამყვანი სარაგბო ქვეყნების რაგბის ხელმძღვანელები, რომ საქართველოს ნაკრებმა ელიტურ გუნდებთან თამაშის გამოცდილების არქონის გამო წააგო. ერთი სიტყვით, დროა მსოფლიოს რაგბიში რადიკალური ცვლილებები დაიწყოს.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, – ამ ცვლილებებზე ფიქრი უწინარესად ჩვენ, წამყვანმა ქვეყნებმა უნდა დავიწყოთ, თუ გვინდა, რაგბის განვითარება გაგრძელდეს და არ შეფერხდესო. ის, რომ დღეს საქართველოს ნაკრებმა წააგო, არის მაღალი დონის გუნდებთან თამაშის გამოუცდელობის შედეგი.

**- ჩემი, ცხადია, სუბიექტური აზრია, რომ არგენტინის ნაკრებთან თამაშის შედეგზე გავლენა მთავარი არბიტრის საკმაოდ ტენდენციურმა მსაჯობამ იქონია...**

*- არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ცუდი მსაჯობა ამ მატჩში. სიტყვები არ მყოფნის, როგორ შევაფასო ირლანდიელი ალან როლანის საქციელი, როგორც კი მეტოქის ნახევარზე გადავდიოდით და იფიქრებდა, რომ არგენტინელებს საფრთხეს შევუქმნიდით, უმალვე თამაშს აჩერებდა, გვაჯარიმებდა და შეტევის ორგანიზების საშუალებას არ გვაძლევდა. "ოლ ბლექსის" ერთ-ერთმა ყოფილმა კაპიტანმა, რომელიც, როგორც საპატიო სტუმარი ისე ადევნებდა თამაშს თვალს ვიპ-ლოჟიდან, აღნიშნა, რომ ის, რასაც მოედანზე მსაჯი აკეთებს, უბრალოდ აღმაშფოთებელიაო.*

*თუმცა ამაზე არ უნდა ჩავიციკლოთ, ეს პრობლემა უნდა გადავლახოთ. ეს არის მიზეზი, ლოგიკური კი არის შედეგი. განსხვავება დონეებს შორის მცირდება. სამ გრანდთან ღირსეულად ვითამაშეთ და რომ შევადაროთ, სხვა გუნდები რა სხვაობით დამარცხდნენ ანალოგიურ, წამყვან ელიტარულ გუნდებთან, დავინახავთ, რომ უკვე გაცილებით მაღალ დონეზე ვართ და ამას ყველა აღიარებს.*

*ძალიან ბევრმა ადამიანმა დიდი შრომა გასწია საიმისოდ, რომ ქართულ რაგბის ასეთი დონისთვის მიეღწია, რისთვისაც ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა.*

**- როგორც ვიცით, თქვენ ახალ ზელანდიაში დარჩებით მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულებამდე, სადაც IRB-ს მაღალჩინოსნებთან არაერთი შეხვედრა გექნებათ.**

- მე ვრჩები ერთი თვე, ამ დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნება მისაღები. ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო, რათა შედეგები ჩვენთვის სასარგებლო იყოს. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბიჭების ასეთი კარგი თამაშის შემდეგ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გაგვიჩნდა.

შესაბამისად, შემდეგი ოთხი წელიწადი უნდა გავატაროთ მუხლმოუხრელ შრომაში. განათლება, სწავლა და სწავლა იქნება ჩვენი საქმიანობის ამოსავალი წერტილი. აგრეთვე მწვრთნელების გაზრდა, მსაჯების, მენეჯერების მომზადება, სპორტული მედიცინის განვითარება და ბევრი თამაში. უკვე გვაქვს შემოთავაზება ახალი ზელანდიიდან და არგენტინიდან. ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ, ეროვნულ ნაკრებს გავაგზავნით, A ნაკრებს თუ სხვა გუნდებს.

ეს უკვე საკმაოდ დიდი აღიარებაა, ასეთ შემოთავაზებას რამდენიმე წლის წინათ ვინ გვაღირსებდა? წინადადებები მომავალში კიდევ უფრო მეტი იქნება.

მარტო ის რად ღირს, რომ შვიდი ლეგენდარული ახალზელანდიელი მოთამაშე, მათ შორის შონ ფიცპატრიკი, ოქლენდში ყოფნისას ვახშამზე მიმიწვევდნენ, სადაც, როგორც თვითონ თქვეს, სურთ შემომთავაზონ თანამშრომლობის გარკვეული ფორმა.

არ უნდა გაჩერდეს რაგბის მხარდაჭერა. პირიქით, ვფიქრობ, საქართველოში ყველამ დაინახა, რომ რაგბი ჩვენი თამაშია, ქართულია. მას ბევრი კარგის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. ამ ერთი თვის განმავლობაში რაგბის გამო საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო. ახალი ზელანდიის, ამ წამყვანი სარაგბო ქვეყანის მოსახლეობამ შეიყვარა ქართველი მორაგბეები, აქაურ ქართულ დიასპორას გაუჩნდა სიამაყის გრძნობა.

რაგბის შეუძლია ძალიან ბევრი სიკეთის მოტანა. ჩვენი გუნდის თამაში ახალ ზელანდიაში წარმატებული იყო, შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო, მაგრამ შინ მაინც თავაწეულები და ამაყები ვბრუნდებით. საქართველომ, როგორც რაგბის ქვეყანამ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს რაგბის დიდ ოჯახში და დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ გიორგი გორგასლიძესთან

# საქართველო სარაგბო ქვეყნად ყალიბდება

დიახ, საქართველო სარაგბო ქვეყნად ყალიბდება, რაც აშკარად დადასტურდა ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხით და თავდადებით.

ქართულ რაგბიში დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი გორგასლიძე.**

**- ბატონო გიორგი, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბორჯღალოსნების ღირსეულ და გარკვეულწილად წარმატებულ თამაშს გილოცავთ...**

- დიდი მადლობა მოლოცვისათვის. ზოგი ფიქრობს, რუმინელებთან ჩვენი გამარჯვება პირველი და ისტორიული იყო მსოფლიოს თასის გათამაშებაში. პირველი ისტორიული გამარჯვება მსოფლიოს თასზე ჩვენმა ნაკრებმა მოიპოვა 2007 წელს, საფრანგეთში, ნამიბიის ეროვნული ნაკრები გუნდის წინააღმდეგ.

**- საქართველოში სპორტის სათამაშო სახეობებიდან ყველაზე მეტი ოფიციალური პირველობები და შეჯიბრებები ტარდება რაგბიში, ცხადია, ეს კარგია, როგორ აუდის ფედერაცია ასეთ დატვირთვას?**

- გეთანხმებით. ჩვენდა სასიხარულოდ, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის წყალობით, გაგვიჩნდა ამის ფინანსური შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ამ შეჯიბრებების მოწყობა ადვილი არ არის, არ გვაქვს საკმარისი სტადიონები. ჩვენთვის 3-4 მოედანი ფუფუნებაა. მაგრამ რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტი ნიაზ მამრიკიშვილის ხელმძღვანელობით ძალიან კარგად ართმევს თავს ჩვენი ეგიდით ჩატარებულ ყველა შეჯიბრებას.

**- რაგბის კავშირი საქართველოში წარმატებული სპორტული ორგანიზაციაა. ზემოხსენებული ასპარეზობების სიუხვე ხელს უწყობს მასობრიობას, ახალგაზრდების რაგბით დაინტერესებას. მწვრთნელთა კადრები თუ არის საკმარისი?**

- რაგბის კავშირში შეიქმნა მწვრთნელთა მომზადების და განვითარების ჯგუფი, რომელსაც რიჩი დიქსონი ხელმძღვანელობს. გეთანხმებით, რომ რაგბის პოპულარიზაცია საქართველოში იზრდება, ბევრი ბავშვი და ახალგაზრდაა დაინტერესებული, ამიტომაც ეს ჯგუფი მუშაობს ძალიან კარგად და ამზადებს კვალიფიციურ მწვრთნელებს. ამას გარდა, გვაქვს IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) გრანტით დაფინანსებული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც წელიწადში რამდენიმე მწვრთნელს ვაგზავნით წამყვან სარაგბო ქვეყნებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

**- სახელმწიფო და ცალკეული ფირმები მხარში უდგანან რაგბის კავშირს, ეს ნათლად ჩანს ინფრასტრუქტურის განვითარებაშიც, პერსპექტივაში რა იგეგმება?**

- როგორც მოგეხსენებათ, არსებობს რაგბის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამა. რაგბის კავშირს გადმოეცა მიწები სარაგბო ინფრასტრუქტურის (მოედნები, სტადიონები, გასახდელები) მოსაწყობად. მშენებლობას აფინანსებს და აწარმოებს საქველმოქმედო ჯგუფი „ქართუ". ამ ეტაპზე მიმდინარეობს რუსთავში სარაგბო სტადიონის მოწყობა, რომელიც გათვლილია 3000 კაცზე, მარტყოფში შენდება სამწვრთნელო ბაზა, მოედანი დიდ დიღომში კლუბ „ლელოსთვის". ცალკე აღნიშვნის ღირსია ქუთაისში მიმდინარე გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც 4 თვის წინ დაიწყო და მისი დასრულების შემდეგ გვექნება აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სარაგბო ბაზა.

**- აქვე გკითხავთ, ზოგიერთ სარაგბო მოედანზე, სადაც ტარდება ეროვნული ჩემპიონატების მატჩები, ჯერ კიდევ არ არის ტაბლო, არ ცხადდება გუნდების შემადგენლობა, მოთამაშეთა შეცვლა, ანგარიში, არ არის ჯიხური მწვრთნელების, სათადარიგო მოთამაშეებისა და სამედიცინო პერსონალისთვის, მაგალითად, „ვისოლის" სტადიონზე...**

- გასაგებია, რომ, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, დღეს აუცილებელია თანამედროვე მატჩების გასამართად. ჩვენ ამ მიმართულებით გვაქვს პროგრესი, რაც ზევით აღვნიშნე და აქვე შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც 5 წლის წინათ გვქონდა მხოლოდ ერთადერთი მოედანი ვარკეთილში, რომელსაც სტადიონი პირობითად ეწოდებოდა.

რაც შეეხება ახალაშენებულ სტადიონებს, იქ ამის შესაძლებლობა გვაქვს და წესის და რიგის მიხედვით ვაკეთებთ ყველაფერს. „ვისოლის" სტადიონი არ არის ჩვენს დაქვემდებარებაში და არანაირი უფლება არ გვაქვს მოვთხოვოთ მოედნის შესაბამისად აღჭურვა, პირიქით, დიდი მადლობელები ვართ მათი, რომ ჩვენი კავშირის ეგიდით გამართულ მატჩებს მასპინძლობს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ბაზების და სტადიონების მშენებლობა რომ დასრულდება და ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, ადეკვატურად აისახება თამაშების ჩატარების ხარისხზე.

**- გასაგებია, რაგბი ძალისმიერი თამაშია და შეხლა-შემოხლა შეიძლება მოხდეს. მაგრამ ეს წესად არ უნდა იქცეს. ბოლო ხანებში დაფიქსირდა რამდენიმე ასეთი ფაქტი. რა ზომებს ახორციელებს საქართველოს რაგბის კავშირი თამაშის სიწმინდისთვის?**

- ვახორციელებთ იმ დამსჯელ ზომებს, რასაც გვავალდებულებს რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB). რაგბი გუნდური სათამაშო სახეობებიდან ყველაზე კონტაქტური თამაშია და ეს შეხლა-შემოხლა ამ თამაშის თანმხლები ფაქტორია. ზოგიერთი ისჯება წითელი ბარათით, რაც მოთამაშის ავტომატურ გაძევებას იწვევს მოედნიდან, ზოგიერთი რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაციითაც ისჯება. ბოლო წლებში არ მახსოვს თამაში, რომელიც მსგავსი ინციდენტის გამო ჩაშლილიყოს და ვერ ვხვდები, ბოლო ხანებში დაფიქსირებულ რომელ ფაქტზე საუბრობთ.

**- ჩაშლა არც ჩვენ გვიხსენებია. მსაჯობის დონეზე რას იტყვით?**

- მსაჯობა ქართული რაგბის აქილევსის ქუსლია. მწვრთნელებზე მეკითხებოდით, აი, მსაჯების პრობლემა ნამდვილად გვაქვს. ბოლო წლებში ჩვენი რაგბის კავშირი ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით, ძალიან გვეხმარება IRB და FIRA, გვყავს ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებთანაც ვმუშაობთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ხშირად ჩამოდიან IRB მსაჯთა კომიტეტებიდან კვალიფიციური სპეციალისტები სემინარების ჩატარებლად. ფინანსურად ძალიან გვეხმარება სპორტის სამინისტრო და ეს ყველაფერი ალბათ შედეგს გამოიღებს 3-4 წელიწადში.

**- კიდევ ერთი, არის თუ არა გათვალისწინებული რაგბის კავშირის მოთხოვნით, თუნდაც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე საზოგადოებრივ, წესრიგის დამცველების დასწრება-პატრულირება?**

- ამის სურვილი და საჭიროება საქართველოში არასდროს გვქონია. არ მახსოვს შემთხვევა, არც საქართველოში და არც მსოფლიოში, რომ რაგბის მაყურებელს ერთმანეთთან ეჩხუბოს. მოედანზე კი ყველაფერს მსაჯები აკონტროლებენ. თუმცა საერთაშორისო თამაშებზე ჩვენ ვთანამშრომლობთ დაცვის სამსახურებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან.

**- კიდევ ხომ არაფრის თქმა გსურთ?**

- დიდ მადლობას გადავუხდი გაზეთ „ლელოს" ყურადღებისათვის. ჩვენ ერთმანეთთან დიდი ხანია კარგად ვთანამშრომლობთ. რაგბის ყველა გულშემატკივარს კი ვულოცავ რუმინეთის ეროვნულ გუნდთან გამარჯვებას და რაგბის მსოფლიოს თასზე ღირსეულად გამოსვლას.

**თენგიზ თომაშვილი**



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენები საერთაშორისო ორგანიზაციებში


პავლე კასრაძე

# პრეზიდენტი ჩვენი, ოფისი თბილისში!




საქართველო ნამდვილად არ არის განებივრებული საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში თავისი წარმომადგენლებით. იშვიათი გამონაკლისი ყოველთვის იყო და არის, მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალა მიდგომები და ერთგვარ პრიორიტეტადაც იქცა. დღეს ბევრი პრობლემა საქმიანი პირადი კონტაქტებით და პროფესიონალიზმის მაღალი დონით გვარდება. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ პროფესორი **პავლე კასრაძე** - საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე და ამიერიდან უკვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანტიდოპინგური ორგანიზაციის პრეზიდენტი. როგორც ხედავთ, საერთაშორისო სპორტულ სფეროში ახლა უბრალოდ კიდევ ერთი წარმომადგენელი კი არა, მთელი რეგიონის ხელმძღვანელი გვყავს. და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ ორგანიზაციამ უკვე თბილისში დაიდო ბინა. ეს კი პირველი შემთხვევაა ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში.

**- ბატონო პავლე, გილოცავთ ასეთ სოლიდურ და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობას.**

- დიდი მადლობა.

**- ალბათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჩვენიანს აირჩევდნენ ასეთ თანამდებობაზე და მეტიც, თბილისი თუ გახდებოდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ანტიდოპინგური ცენტრი.**

- შეიძლება ამის წარმოდგენა მართლაც ძნელი იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს მოხდა.

**- როგორ?**

- ჩვეულებრივად, მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, აქტიურად ვმონაწილეობდი მიმდინარე პროცესებში, ბევრ სპეციალისტს და ფუნქციონერს დავუახლოვდი, საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო მოწინავეთა შორის ჩადგა აღმოსავლეთ ევროპაში.

**- გასაგებია, რომ პროფესიონალიზმი და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი დაგიფასდათ, თბილისიც იმიტომ შეირჩა ოფისის ადგილად, რომ პრეზიდენტი გახდით?**

- არა. პრეზიდენტი მე ვიქნები თუ არა, ოფისი თბილისში დარჩება. ესაა მთავარი.

**- ადრე სად იყო ოფისი?**

- ბელარუსში.

**- რატომ გადმოიტანეს ჩვენს ქვეყანაში?**

- ბელარუსში ტექნიკური ხასიათის პრობლემები შეიქმნა. რუსეთმა პირველმა მოისურვა ოფისის თავისთან გადატანა, შენახვის ხარჯებსაც გაიღებდნენ, მაგრამ უარი მიიღეს.

**- რამდენადაც ვიცით, ჩვენებიც დათანხმდნენ ხარჯების გაღებაზე.**

- დიახ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეთავაზებამ ყველა მოხიბლა. ამასთან, ჩვენი კანონმდებლობა უფრო მოქნილია. გამარტივებულია სავიზო რეჟიმი, დაცულია გარანტიები...

**- რა შეთავაზებაზეა ლაპარაკი?**

- ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის ახალ შენობაში გამოყო საოფისე ფართი და შენახვის ხარჯებსაც თავად გაიღებს.

**- თქვენამდე ვინ იყო პრეზიდენტი?**

- ჩემი წინამორბედი ბელარუსი იყო. მას ვადა ამოეწურა. მეც ორი წლით ამირჩიეს.

**- მოკლედ, დიდი გარჯა მოგელით თქვენს შტაბთან ერთად...**

- ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ნდობა გავამართლოთ, მით უფრო, რომ მხარში გვიდგანან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა. მით უფრო, რომ 2015 წელს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს თბილისმა უნდა უმასპინძლოს და ჩვენი დატვირთვა ორმაგდება.

**- რა არის მთავარი თქვენს საქმიანობაში?**

- ანტიდოპინგური პროგრამის განხორციელების საყოველთაობა, ჩამორჩენილი ქვეყნების წამოწევა. თუ სპორტსმენი დოპინგზე ჩავარდა, სრულად იქნეს დაცული მისი უფლებები. გვყავს იურისტებიც.

**- იმედს ვიტოვებთ, რომ კონკრეტულ საქმეებზე დროდადრო მოვუთხრობთ „ლელოს" მკითხველებს. წარმატებებს გისურვებთ!**

- დიდი მადლობა.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

თავგადასავლები

# საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი გურამ პაპიტაშვილი

## რა დროს შამპანურია?

ჩემი კარიერის მანძილზე მუდამ დისციპლინის მოყვარული ვიყავი და ვცდილობდი, ჩემი გოლიათი ფალავნებიც ასეთები ყოფილიყვნენ. ხანდახან მიკვირდა, როგორ მემორჩილებოდნენ ეს, ცოტა არ იყოს, ფიცხი ხასიათის გოლიათები, მაგრამ ვფიქრობ, რომ უფროსისადმი პატივისცემის გრძნობა არ აკლდათ და იმიტომ იყო ასე. ერთხელ, მახაჩყალის ტურნირზე წარმატებული ასპარეზობის შემდეგ შინ მოვემგზავრებით და რკინიგზის სადგურზე ვაგონში მყავს მთელი გუნდი. მატარებლის გასვლამდე 5 წუთია დარჩენილი და დურმიშხან ბერუაშვილი მომაკლდა თვალში. გავედი სადგურზე მის მოსაძებნად. ვხედავ მან და სოსლან ანდიევმა როგორ მიიტანეს სადგურის ღია სასადილოში თითო ბოთლი შამპანური და მაგიდაზე დადგეს. მივედი, ორივე ბოთლი ერთმანეთს შემოვახეთქე და დავამსხვრიე. დურმიშხანი თავჩაღუნული წავიდა მატარებლისკენ და სოსლანიც ხმის ამოუღებლად გაბრუნდა უკან.

## რენტგენის სურათი

დურმიშხანმა ერთხელ ნახერხმოყრილ არენაზე ჭიდაობისას ტრავმა მიიღო და სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს. მე შეჯიბრებას ვერ მივატოვებდი, ამიტომ მისი დასრულებისთანავე საავადმყოფოში გავეშურე მის სანახავად. გამოჩნდა ექიმი, რომელზეც მიმითითეს, რომ ბერუაშვილს მკურნალობდა. მოდის იგი თავის კოლეგასთან ერთად რენტგენის სურათით ხელში და რაღაცას გაკვირვებული ლაპარაკობს. შეშფოთებულმა ვკითხე, რამე საგანგაშო ხომ არ არის-მეთქი და ექიმი მპასუხობს: „დახედე ერთი ამ სურათს, ეს ადამიანის ნეკნებია თუ ნადირისაა, კაცი ვერ გაარკვევს და ამას საგანგაშო რა უნდა მოსვლოდაო".

## ქართველი ფალავნების სადღეგრძელო

ბერუაშვილი მართლაც გიგანტური აგებულების ფალავანი იყო. ერთხელ მინსკში შეჯიბრებაზე ყოფნისას სასტუმროში დაბრუნებულს ვიღაც მთვრალი შუაახიელები შემოელახა. რასაკვირველია, წაიყვანეს მილიციის განყოფილებაში. მეც მოვწესრიგდი და ცოტა ხანში წავედი მილიციაში, თან გზაში ვფიქრობ, როგორ გამოვიხსნა ჩემი შეგირდი. მაგრამ თურმე ამაოდ ვიმტვრევ თავს. განყოფილებაში, ერთ-ერთ ოთახში რომ შევედი, მორიგე მილიციელს და ბერუაშვილს არაყი დაედგათ და ეს უკანასკნელი სამართალდამცველს ქართველი ფალავნების სადღეგრძელოს დალევას აძალებდა.

## რაღაა ახლა სიკვდილი...

სხვათა შორის, ჩემი ფალავნებიდან ყველაზე მეტად იუმორის გრძნობით ბორის გოგიჩაიშვილი და ნოდარ ექვთიმიშვილი იყვნენ დაჯილდოებულნი. ერთი ცნობილი გორელის დაკრძალვაზე ვიყავით, უკვე სასაფლაოზე ავასვენეთ და პროცესიის მიწურულია. მესმის ზუსტად ჩემ ზურგს უკან ნოდარ ექვთიმიშვილისა და გორის ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის დეკანის შოთა ასანიძის (რომელიც საკმაოდ კარგი სპეციალისტი, მაგრამ ზედმეტად მიამიტი კაცი იყო) საუბარი. მობილური ტელეფონები ახალი ხილია ჯერ:

- ბატონო შოთა, ახლა სიკვდილი აღარაფერია, მობილურს ჩააყოლებენ მიცვალებულს სასახლეში და როცა მოენატრებათ, მოიკითხავენ ხოლმე, - უხსნის ნოდარი კახური სიდინჯით მის ყოფილ ლექტორს.

ზუსტად იმ წამს რეკავს ჩემი მობილური. ისე, რომ საერთოდ არ შევიმჩნიე, მათი საუბარი თუ მესმოდა, გადავწყვიტე ნოდარისთვის „ხელი შემეწყო" და ტელეფონზე ბატონი შოთას გასაგონად ვუპასუხე.

- გისმენ ქრისტინე, გენაცვალე, - ვითომ ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს ველაპარაკებოდი.

შოთა მყისიერად ჩაიკეცა. საბედნიეროდ, მალევე მოვასულიერეთ. რასაკვირველია, ირგვლივ ყველამ ჩათვალა, რომ მეცნიერს გარდაცვლილი მეგობრის გამო შეუწუხდა გული. ცოტა ხანში მან თავისი გულის შეღონება ასე ახსნა: „რა თქმა უნდა, ხუმრობას ჩვეულებრივად მივიღებდი, მაგრამ იმავე წამს პაპიტაშვილისგან მეუღლის მოკითხვას უკვე შოკისმომგვრელი ეფექტი ჰქონდა და გულმაც ამიტომ კინაღამ მიმტყუნაო."

## წავაგე მიხაილოვიჩ!

მყავდა ერთი შეგირდი გვარად ბოლოთაშვილი. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მასზე აშკარად ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდება. გავიყვანე ტატამზე, გამოვემართე ჩემი ადგილისკენ და ვფიქრობ, ნეტავი თუ მოუხერხებს რამეს მეტოქეს-მეთქი. სანამ მწვრთნელის ადგილზე დავჯექი და შეხვედრის საყურებლად მოვემზადე, ბოლოთაშვილი უკვე თავს დამადგა.

- აქ სად მომყვები შე მამაძაღლო, ნადი იჭიდავე-მეთქი, - ვუთხარი.

- უკვე წავაგე მიხაილოვიჩ! - მეუბნება.

## ყავაზე გიჟდებოდა

საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა ჩემი თავკაცობისას, რამდენჯერმე გაიარა მოსამზადებელი შეკრება გორში. 60-იან წლებში გუნდში გვყავდა ვინმე ლიოვა მოსკალიოვი, ყაზახი მოჭიდავე, რომელიც ყავის უდიდესი ტრფიალი იყო. ალბათ გსმენიათ საბჭოთა კავშირის ხანაში ქართველების მოსკოვში გადაფრენის, ქეიფის და იმავე დღეს უკან დაბრუნების ისტორიები. ჰოდა, მოსკალიოვს გორში ყავა რომ არ მოეწონა, ყოველდღე ...სამბორბლიან მოტოციკლეტ „იჟ"-ით თბილისში დადიოდა. ნაკრები დილით ვარჯიშს რომ მორჩებოდა, მოსკალიოვი „იჟ"-ით ქარივით მიქროდა თბილისში, რომ ყავა დაელია და საღამოს მეცადინეობისთვისაც მოესწრო. გორი - თბილისის ტრასაზე უკვე დაზეპირებული ჰყავდათ ვიღაც თავზეხელაღებული მოტოციკლისტი, რომელიც დედაქალაქში ყოველ შუადღეს გარბოდა რაღაც აუცილებელ საქმეზე.

## ტყუპისცალს მიხედეთ

მსოფლიოს ერთ-ერთ ჩემპიონატზე ვიმყოფები სსრკ ნაკრებთან ერთად უფროსი მწვრთნელის ვლადლენ ანდრეევის თანაშემწედ. ანზორ კიკნაძე ხვდება ჰოლანდიელ იან სნეიდერს, რომლის ტყუპისცალი ძმა პეტერი ასევე კარგად ჭიდაობდა და რაც მთავარია, ისიც იქ იყო. ანზორი იგებს შეხვედრას. იანმა ამ დროს მცირე ტრავმა მიიღო და მაშინდელი წესებით ნება დაერთო ტატამთან სიახლოვეს ეწამლათ ექიმებს. ვატყობთ, რომ კიკნაძე უჩვეულოდ ღელავს, მე და ანდრეევი მივედით ახლოს და მთელი მონდომებით ვამხნევებთ, მაგრამ ვხედავთ, რომ უგულისყუროდ გვისმენს და სულ სხვაგან იყურება. ამაზე კი ორივე გავუწყრით, მაგრამ ანზორმა აქეთ შემოგვიტია: მე თავი დამანებეთ, კაცო და იმათ მიხედეთ, ის მეორე ტყუპისცალი შორიახლოს დასტრიალებს და ისე გვანან, რომ ჩაანაცვლონ, ვერაფერს გავიგებთ. ამაზე კი კარგად ვიცინეთ, თანაც, რა თქმა უნდა, პეტერ სნეიდერს ძმა არ ჩაუნაცვლებია და ანზორმაც მშვიდობიანად მიიყვანა შეხვედრა გამარჯვებამდე.

**ვასილ ბალახაძე**


გურამ პაპიტაშვილი შეგირდებთან

ძალოსნობა

# ევროპის პრიზიორი წონას ზრდის

გუშინ ზუგდიდში დამთავრდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 100-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა 105 კილოში **გია მაჭავარიანმა** (აჭარა), რომელმაც აკვრაში საკუთარი მიღწევა 224 კილომდე გაზარდა (წლეულს ევროპის ჩემპიონატზე, როცა გიას ორჭიდში 400 კილოგრამით ვერცხლი ხვდა, 217-კილოგრამიანი შტანგა აკრა), ორჭიდის ჯამში კი 404 კილოგრამი მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ **დავით გოგიას** (ზუგდიდი), რომელმაც წლეულს 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, 44 კილოთი აჯობა. მაჭავარიანმა (მწვრთნელი **ავთანდილ გახოკიძე**) საქართველოს ლიგის ფინალშიც ყველა დაჯაბნა – 431,8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.



დაძაბული გამოდგა ორთაბრძოლები 77 კილოში. აქ **ჯაბა ჩიბურდანიძემ** (აჭარა) და **დავით ხარატიშვილმა** (აფხაზეთი) ორჭიდში 303-303 კილოგრამი მოაგროვეს. ოქროს ბედი პირადმა წონამ გადაწყვიტა ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მძიმე წონაში კვლავ შეუდარებელი იყო **ირაკლი თურმანიძე** (აჭარა), რომელმაც 409 კილოს მოუყარა თავი და მე-2 ადგილზე გასულ **ალუდა მანაგაძეს** (ქუთაისი) 69 კილოთი გაუსწრო. ამ წონაში არ მონაწილეობდა საჩხერელი გოლიათი **ლაშა ტალახაძე.** ამას წინათ მან ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ოქროს ჯილდო მოიხვეჭა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვანო გრიქუროვმა** ტალახაძეს და ახალგაზრდებში ვერცხლის პრიზიორ **გიორგი ლომთაძეს** (ქუთაისი) დასვენების უფლება მისცა. ეროვნული გუნდის წევრები ახლა ერთთვიან საწვრთნელ შეკრებას დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან, სადაც სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. პლანეტის უძლიერეს ათლეტთა შეჯიბრებას 5 ნოემბრიდან პარიზი უმასპინძლებს.

### კვარცხლბეკი

**56 კგ.** 1. ზვიად ფუტკარაძე (აჭარა, 198 კგ), 2. ვახტანგ ვეკუა (ზუგდიდი, 163), 3. გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 145)

**62 კგ.** 1. შოთა მიშველიძე (ქუთაისი, 260), 2. თორნიკე თოდუა (საჩხერე, 219), 3. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე, 218).

**69 კგ.** 1. ნუგზარ ჯინჭარაძე (აჭარა, 258), 2. ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი, 255), 3. ვაჟა ქავთარაძე (აჭარა, 254).

**77 კგ.** 1. ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა, 303), 2. დავით ხარატიშვილი (აფხაზეთი, 303), 3. ზურაბ თავაძე (ქუთაისი, 283).

**85 კგ.** 1. ზაურ დევაძე (თბილისი, 312), 2. თემურ პერტაია (ზუგდიდი, 268), 3. უჩა ინაძე (თბილისი, 266).

**94 კგ.** 1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი, 345), 2. ირაკლი ცანავა (ზუგდიდი, 327), 3. ვილიამინ ალექსიძე (აჭარა, 327).

**105 კგ.** 1. გია მაჭავარიანი (აჭარა, 404), 2. დავით გოგია (ზუგდიდი, 360), 3. ვაჟა ლონლაძე (ქუთაისი, 290).

**+ 105 კგ.** 1. ირაკლი თურმანიძე (აჭარა, 409), 2. ალუდა მანაგაძე (ქუთაისი, 340), 3. ზვიად ქაჯაია (წყალტუბო, 320).

**გუნდური.** 1. აჭარა, 2. ქუთაისი, 3. ზუგდიდი

**საქართველოს ლიგა.** 1. გია მაჭავარიანი (431,8), 2. ირაკლი თურმანიძე (417,4), 3. რაულ ცირეკიძე (412 ქულა). მწვრთნელები: 1. ავთანდილ გახოკიძე (აფხაზეთი, 1997), 2. მალხაზ ლომთაძე (ქუთაისი, 1853,7), 3. აბესალომ ბასილია (აჭარა, 1853,3 ქულა).

**ვაჟა დანელია**

ქართული სპორტი

● მძლეოსნობა, კონტაქტები

# სპორტის დედოფალს თბილი სასახლე ექნება


მარცხნიდან: მაგირან სულთანზადე, ალექსი ახვლედიანი, მეხტი ნაგიევი

ბორისპაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, მართალია, სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ მის სარბენ ბილიკებზე ყოველდღიურად ხალხმრავლობაა - სპორტის დედოფლის წარმომადგენლები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებისთვის ემზადებიან. მომავალ შაბათ-კვირას ჩვენს ათლეტებთან ერთად ჯილდოებისთვის აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც იბრძოლებენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელის **მაგირან სულთანზადეს** ხელმძღვანელობით ჩვენთან სასწავლო შეკრებაზე მეზობელთა 10 მძლეოსანი იმყოფება.

- ორი მათგანი პარაოლიმპიელია, რომლებმაც 2012 წლის პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია უკვე მოიპოვეს, - გვიხსნის აზერბაიჯანელთა ნაკრების თავკაცი. - მომავალი შეჯიბრებებისთვის აქ ემზადება ჩვენი ორი ნატურალიზებული მძლეოსანიც, რომლებმაც უკვე მოასწრეს ევროპულ სარბიელზე თავის გამოჩენა. მადლობა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა, ვივარჯიშოთ შესანიშნავ სტადიონზე ქართველ მძლეოსნებთან ერთად. თქვენი სპორტსმენებიც ხშირად ჩამოდიან ბაქოში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებში საასპარეზოდ და ერთობლივი წვრთნების ჩასატარებლად. ჩვენ ერთმანეთისგან ვსწავლობთ, რაც საერთაშორისო სარბიელზე დადებით შედეგს იძლევა.

**მეხტი ნაგიევი,** აზერბაიჯანის მძლეოსნობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: *„საქართველოში თავს ყოველთვის შინაურულად ვგრძნობთ. ახლაც თქვენმა ფედერაციამ ალექსი ახვლედიანის ხელმძღვანელობით ჩვენს სპორტსმენებს ვარჯიშისა და აქტიური დასვენების ჩინებული პირობები შეუქმნა. ყველგან, ტრადიციულად, სიყვარულით გვხვდებიან. დიდი მადლობა სტუმართმოყვარეობისთვის.“*

სტადიონზე ქართველი და აზერბაიჯანელი სპორტსმენების ვარჯიშს თვალს ადევნებდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **ალექსი ახვლედიანი,** რომელთან საუბარსაც აქვე გთავაზობთ:

- წლეულს უფრო დიდ მიზნებს ვისახავდით, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ყველაფრის შესრულება ვერ შევძელით, თუმცა საქართველოს ნაკრების ბევრმა წევრმა საკუთარი მიღწევები საგრძნობლად გააუმჯობესა. განსაკუთრებით ახმეტელი სამხტომელი ლაშა ღულელაურის წინსვლა გვახარებს. ტრაბზონში მან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა - გამარჯვებულს სულ ერთი სანტიმეტრით ჩამორჩა. მანვე ახალგაზრდებს შორის კონტინენტის პირველობაზე მერვე ადგილი დაიკავა. შედეგის გაუმჯობესება ტრავმის გამო ვერ შეძლო.

კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამოსულიყო ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი, მაგრამ შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე ტრავმა მიიღო. ახლა მკურნალობს. ორიოდე თვეში სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს და დარწმუნებული ვარ, ლონდონის ოლიმპიადის საგზურს აუცილებლად მოიპოვებს. მსგავსი წარმატების რეალური შანსი აქვთ ღულელაურს, ორი ოლიმპიადის მონაწილე დავით ილარიანს, სალომე რიგიშვილს, ახალციხელ ზილბერშტეინებს, სხვებსაც. სამი ლიცენზიის მოპოვებას ვგეგმავთ. ახლახან კიევიდან სპეციალურად მოვიწვიეთ სპორტული ექიმები, რომლებიც საქართველოს ნაკრების წევრებს გამოკვლევებს ჩაუტარებენ, სათანადო დასკვნებს მოგვცემენ და ვარჯიშების კორექტირებისთვის შთაბეჭდილებებსაც გაგვიზიარებენ.

**- ზამთრისთვის სავარჯიშო პირობები თუ გექნებათ?**

- აუცილებლად. გაზაფხულიდან მძლეოსნური მანეჟის რეკონსტრუქცია დავიწყეთ. სამუშაოების დიდი ნაწილი დამთავრებულია. ახლა გათბობის სისტემა მონტაჟდება, მთავრდება პირველი სართულის რეაბილიტაცია - გასახდელების, სველი წერტილებისა და საშხაპეების კეთილმოწყობა, ასე რომ, ჩვენი სპორტსმენები თბილ მანეჟში ივარჯიშებენ.

**- სარბენი ბილიკები თუ დაიგება?**

- მოგეხსენებათ, 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი თბილისში გაიმართება. ტანმოვარჯიშეთა პაექრობების გამართვა ჩვენს მანეჟში იგეგმება, რამაც რეკონსტრუქციის გეგმებში კორექტივები შეიტანა. საბოლოოდ თუ გადაწყდება ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებების ჩვენთან ჩატარება, მაშინ სხვაგვარი ბილიკები დაგვჭირდება, ანუ აუცილებელი გახდება სეზონური სამონტაჟო სარბენი ბილიკების დაგება, რომლის ეროვნული სტადიონის გვერდით სათადარიგო მოედანზე გადატანაც შეგვეძლება, რათა იქ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე მძლეოსნებს მოსათელი სარბიელი მოვუწყოთ. ასე რომ, მანეჟის სარბენი ბილიკების საკითხი საგაისოდ გადაიდო, თუმცა ეს ჩვენი სპორტსმენების სათანადოდ მომზადებას ხელს ვერ შეუშლის.

**- ფრანგებთან ურთიერთობა ისევ გრძელდება?**

- მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა პირობა წლეულს ვერ შესრულდა, თუმცა წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში ის ქართველი მძლეოსნები, რომლებიც სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან, პარიზში გაივლიან სამედიცინო შემოწმებას და ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას. გაისად საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად 1997-1998 წლებში დაბადებულ რამდენიმე სპორტსმენსაც გავგზავნით საფრანგეთის დედაქალაქში. ამ ასაკში წლეულს შეჯიბრებები ჩავატარეთ და პერსპექტიული მოზარდები შევარჩიეთ. ისინი 2015 წლის თბილისის ოლიმპიური ფესტივალისთვის აქედანვე მოემზადებიან.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

● პროფესიული კრივი


ავთანდილ ხურციძე

# ღვამიჩავას თამამი გამოწვევა

## ჩაქუჩამ ამერიკელი იოლად დააგდო

26 წლის **ლევან ღვამიჩავა** პროფესიულ კრივში შედარებით ახალია, მაგრამ ირლანდიაში მცხოვრები და მოვარჯიშე ქართველი აშკარად საინტერესო სპორტსმენია პროფესიული კრივის სამყაროსთვის. 63,5 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენებური პროფესიულ რინგზე 5 ბრძოლიდან 5 მოგებით იწონებს თავს. და აი, პირველად ღვამიჩავას სერიოზული და გამოცდილი მეტოქე ეყოლება - 28 ოქტომბერს შოტლანდიურ ვიშოუში ქართველი 35 წლის იტალიელ **ჯუზეპე ლაურის** (60 ორთაბრძოლა, 52 მოგება (31 ნოკაუტით) და 8 მარცხი) დაუდგება. ლაური ამ წონაში მსოფლიოში მოწინავე 100-ეულშია, მაშინ როცა ლევანი 140-ე პოზიციაზეა. ეს იქნება ქართველის პირველი 8-რაუნდიანი მატჩი.

3 ოქტომბერს კიევის დარბაზ „ფრისტაილში“ **ავთანდილ ხურციძემ** ამერიკელი **ჯეისონ ლე ულიე** დაამარცხა. 10-რაუნდიანი ორთაბრძოლა კი იყო დაგეგმილი, მაგრამ „ჩაქუჩამ“ მოწინააღმდეგე მე-2 რაუნდში ნოკაუტში გაუშვა. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ხურციძე საერთო რეიტინგში წონაში მე-12-ეა. იმავე დარბაზში **სანდრო სიპროშვილმა** 8-რაუნდიანი ბრძოლა წააგო უკრაინელ **დმიტრო კუჩერთან** (ქულებით 72-80, სამივე მსაჯის მიერ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭადრაკი

# სხვაობა ქულამდე გაიზარდა

ჩინეთში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი თბილისელი დიდოსტატიც მონაწილეობს. საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია,** რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, გუშინ შავი ფიგურებით **ვან ჩენს** დაუზავდა და 5 ქულა მოაგროვა. იგი უკვე ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს ჩინელ ძიანჩაო ჩჟოუს; მე-7 ტურში მან თამამემამულე ლი ჩაო დაამარცხა და 6 ქულას მოუყარა თავი. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ვან იუე** (ჩინეთი)-**ვეიძი ჩჟოუ** (ჩინეთი) 0,5:0,5, **დინ ლიჟენი** (ჩინეთი)-ლუ იუე (ჩინეთი) 1:0, **ნგუენ ნგოკ თრონგ შონი** (ვიეტნამი)-**ჩანდა სანდიპანი** (ინდოეთი) 1:0, **ქუანგ ლი ლემი** (ვიეტნამი)-**ქუნ მა** (ჩინეთი) 1:0, **ქუნ ქსიუ** (ჩინეთი)-**იანი იუ** (ჩინეთი) 0:1, **შექმედ ბაჩულუუ** (მონღოლეთი)-**პარიმარიან ნეგი** (ინდოეთი) 0:1, **ვეძინ ვიუ** (ჩინეთი)-**ძიუნ ჩჟაო** (ჩინეთი) 0:1.

**დავით არუთინიანმა** მასპინძელი დიდოსტატი ქალბატონი **იიქსინ დინი** დაამარცხა და მონაგარი 4 ქულამდე გაზარდა.

როგორც აღვნიშნეთ, 7 ტურის შემდეგ 6 ქულით ძიანჩაო ჩჟოუ მეწინავეობს, ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ დინ ლიჟენსა და ნგუენ შონს. 8 მოჭადრაკემ 5-5 ქულას მოუყარა თავი. დღეს მე-8 ტურის პაექრობები გაიმართება. ფანცულაია ვან იუეს შეხვდება, არუთინიანი კი ვენძინ ვიეს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# ორივემ მოიგო

ოსლოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. **ნინო ბაციაშვილმა** შავი ფიგურებით **ტომ მეირს** (ჰოლანდია) სძლია, **ნაზი პაიკიძემ** კი შავებით **ლარს ოსკარ ჰაუგე** (ნორვეგია) დაამარცხა. ორივე ჩვენებურს 3-3 ქულა აქვს. შეჯიბრებას 4,5 ქულით ერთპიროვნულად **მეთიუ სადლერი** (ინგლისი) ლიდერობს.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო. ინტერვიუ გიორგი ალექსიძესთან

# გადაწყვეტილება მიღებულია!

## ხელშეშველებული ურემი და კმაყოფილი ფედერაცია

დაგვეთანხმებით, პარიზში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ **გიორგი ალექსიძესთან** ბევრი კითხვა დაგვიგროვდა. უპირველესად ის, თუ რატომ გაუგრძელდა მწვრთნელს კონტრაქტი ოლიმპიადამდე (საერთოდ, ეს კონტრაქტი სერიოზული განხილვის თემაა. უფრორე - მისი ჩუმად გახანგრძლივება), რას მიიჩნევს ხელმძღვანელობა წაგების მიზეზად, როცა გუნდს ადრინდელთან შედარებით მაღალი დაფინანსებაც ჰქონდა და მოსამზადებელი პირობების დეფიციტსაც ვერ დაიწუწუნებდა. სიმართლე გითხრათ, ალექსიძეს ახალი არაფერი უთქვამს, თუმცა მთელ რიგ საკითხებში მისმა ხისტმა პოზიციამ მაინც გაგვაოცა. ბოლო ხანებში საქმეს ისე წარმოაჩენენ ხოლმე, თითქოს ავსტრიელი მწვრთნელის **პეტერ ზაიზენბახერის** გაშვება ჟურნალისტების თვითმიზანი იყოს, რაც საფუძველშივე მცდარია. ჩვენთვის მთავარი შედეგია, ამ საქმეში კი ზაიზენბახერისა უკვე არ გვეიმედებოდეს, ვგონებთ, სრული უფლება გვაქვს. მას ქართული ძიუდოსთვის სასარგებლო საქმის კეთება სხვა კუთხით შეუძლია და მიგვაჩნია, აჯობებს, იმ განხრით გამოიყენონ (ფიზმომზადება, სტრუქტურული ცვლილებები ძიუდოს სამყაროში), მაგრამ სამწვრთნელო რეპუტაცია მნიშვნელოვნად შეერყა. გარკვეული ფაქტორების გამო, ფედერაციის პოზიციაში მარცხის მიზეზების მიჩქმალვის სურვილი უფრო დავინახეთ, ვიდრე - მდგომარეობის რეალური ანალიზისა და ჩვენთვის მიულებელიც ესაა, რადგან სირაქლემას პოზას გვაგონებს. მათი მხრიდან ამის სურვილი თუ არ იქნება, მაშინ მნიშვნელობაც არ აქვს, ვის გაუშვებენ ან ვის მოიყვანენ - ოლიმპიადაზე შედეგი იგივე იქნება, რაც მსოფლიოზე. ალექსიძის პასუხების შეფასება მკითხველისთვის მიგვინდია, აქ კი მხოლოდ ერთს დავამატებთ - ზოგიერთ საკითხზე მისი პოზიცია ამჯერად მაინც დიქტოფონში დავტოვეთ...

**- პარიზში ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე, თითქოს მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელების საბაბი არ უნდა გქონოდათ, მაგრამ მაინც გაუხანგრძლივეთ. საინტერესოა, რა მიზეზით?**

- ჭიდაობის ხარისხი აშკარად გაუმჯობესებულია, რასაც ცალსახად ვადასტურებ და იგივე მოვისმინე რამდენიმე სპორტსმენისგანაც. ამასთან, მწვრთნელმა გააკეთა დასკვნები, ჩვენთან შეხვედრებში დადო თავისი მოსაზრებები და მისი სამომავლო გეგმების გათვალისწინებით, ჩვენც ვფიქრობთ, რომ გუნდმა უნდა შეძლოს ოპტიმალურად მომზადება. აქედან გამომდინარე გავუგრძელეთ ხელშეკრულება.

**- რასთან დაკავშირებით დადო თავისი მოსაზრებები - წაგების მიზეზებზე? ან თქვენ, როგორც ფედერაციის პრეზიდენტს, გაკმაყოფილებთ მის მიერ გამოტანილი დასკვნები?**

- ყველაფერზე დადო დასკვნები, ჩვენ კი გვაკმაყოფილებს ნაკრების ზოგიერთი წევრის განვითარების დონე. ცხადია, ყველაზე ვერ ვიტყვით ამას, მაგრამ ზოგიერთს აშკარად მომატებული აქვს ფიზიკურად, ტექნიკურად თუ ტაქტიკურად, თუმცა ეს უკანასკნელი ყველაზე პრობლემატურია და სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი იმ განხილვებისას.

**- თუმცა, გუნდის მიერ გავლილი ვარჯიშებიდან გამომდინარე, ფიზიკურად ბევრად მეტს ველოდით. ბიჭები თითქოს გადაღლილები, შებოჭილები იყვნენ...**

- როგორ იყვნენ შებოჭილები, როცა კაცი წმინდა ამოსმულით ბოლო წამებამდე იგებს ორ შეხვედრას და მერე აგებს, იქ დაღლილია თუ შებოჭილი? თუ ასეა, მაშინ როგორღა აკეთებდა იმ ილეთებს? პაპინაშვილი რომ ამბობს, გახევებული ვიყავიო, სინამდვილეში შეცდომით წააგო - ამოსმულს უკეთებდა მასზე მაღალს და იმან გადატეხა, თორემ დაიღალა, ძალა არ ეყო თუ რა? შეიძლებოდა ძალა არ ჰყოფნოდა რიშოდ სობიროვთან, რადგან ის სხვა მოვლენაა და თან 10 წელიწადი ემზადება იმ პროგრამით, რაც ამათ 6 თვეა დაიწყეს და იქიდანაც 2 თვე საკუთარ თავთან ბრძოლას, ადაპტაციას დასჭირდა. მე ვფიქრობ, მათ საკმაოდ ცოტა დრო ჰქონდათ მოსამზადებლად და ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდა ყველას. მაგალითად, ახლო-მახლო რაიონებიდან ვერ დადიოდნენ ვარჯიშზე, რასაც მწვრთნელი ითხოვდა. ვფიქრობ, საძირკველი უკვე ჩაიყარა და ახლა ამაზე უნდა დაეშენოს მომავალი წარმატება. რაც შეეხება ვალერი ლიპარტელიანს, იაპონელ დაიკი ნიშიამას ვერ მოუგო, რადგან მეტოქე ფიზიკურად ძლიერი იყო მასზე.

**- ფაქტია ისიც, რომ ფიზიკურ მომზადებაში ასაკობრივმა ნაკრებებმა ბევრად უკეთეს შედეგებს მიაღწიეს იმის მიუხედავად, რომ ზაიზენბახერის პროგრამით არ მომზადებულან...**



- ამ პროგრამის გარეშე არაფერი გამოვა. ახალგაზრდული ნაკრები იმავე შტანგებზე ემზადებოდა - აქამდე ფედერაციას არ ჰქონდა ამ სახის ინვენტარი, მაგრამ შევიძინეთ, რომელზეც ყველა ასაკის ძიუდოისტი ვარჯიშობს. თქვენ თუ მეუბნებით, რომ გუგავას გეგმა ჯობია ზაიზენბახერის გეგმას, მაშინ კითხვა არასწორად ყოფილა დასმული.

**- მე იმასაც გეტყვით, რომ ზაიზენბახერის გეგმას ცირეკიძის გეგმამაც აჯობა - მასაც რომ ბოლომდე გაევლო ის შეკრებები, ვეჭვობ, მედალი მოეპოვებინა...**

- ამაზე მე ასეთ პასუხს გაგცემთ - მაშინ ან ცირეკიძე დავნიშნოთ მთავარ მწვრთნელად, ან - შუკვანი, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებლად უფრო უკეთ ემზადებოდნენ. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ცირეკიძის გეგმამ აჯობა ზაიზენბახერისას. ის ხაბარელის დროსაც ასე ვარჯიშობდა, მაგრამ ცირეკიძე და ზვიადაური ერთეულები არიან. ჯარჯი ზვიადაური იცით, როგორ ვარჯიშობს? თავისთვის ემზადება, ერთხელ ნაივარჯიშებს და მერე რალაცრალაცებს აკეთებს.

**- საქმეც მაგაშია, რომ ჯარჯიმ მასეთი მიდგომით საკუთარი ვარჯიშები გართობად აქცია და იმიტომ არ იღლება, ინარჩუნებს ამდენი წელიწადი ფორმის პიკს და ამდენი ხანი არ ჩამოდის მწვერვალიდან...**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სახალისო ძიუდო ბავშვებში უნდა გააკეთო, სავარჯიშო და პროფესიონალური ძიუდო კი სხვაა. მე წამიკითხავს წიგნები, მხოლოდ ბიზნესმენი კი არ ვარ. სახალისოა, კაცი რომ არანაირ დიეტას არ იცავს? მაგრამ მაინც იგებს და ამიტომ ვამბობ, რომ ჯარჯიც და ცირეკიძეც ტალანტები არიან. ოღონდ ეგენი თუ დანიშნე მწვრთნელებად და თავიანთი სახალისო ძიუდო გააკეთეს, შედეგს ვერ მიაღწევენ. ერთი მიმართულებით ლაპარაკი იმაზე, ის იმიტომ იგებს და ეს ამიტომ აგებსო, არ შეიძლება.

**- თქვენგან განსხვავებით, პარიზში მომზადებული გუნდი ვერ დავინახეთ. ამის საშიშროებას ყოველთვის ვგრძნობდით, თუმცა კრიტიკისგან თავს ვიკავებდით, რადგან ყველას აზრი იყო, რომ მსოფლიომდე გვეცლია. ვგონებ, დადგა შეცდომებზე ლაპარაკის დრო, თუმცა ხელმძღვანელთა მხრიდან რეალურ ანალიზს ვერ ვხედავ.**

- გუნდი მოუმზადებელი იყოო, ეს თქვენი პირადი აზრია, მსოფლიო კი რა შუაშია, მომზადების რამდენხნიანი პერიოდი ჰქონდა მწვრთნელს.

**- მაგრამ როცა მთელი ეს პერიოდი აქცენტი ძალისმიერ ვარჯიშებზე იყო გადატანილი, როგორ გგონიათ, ფორმის პიკში მიყვანაზე იმუშავა მწვრთნელმა? ადრე ასეთი დატვირთვით არ ვარჯიშობდნენ, მაგრამ ხომ გვქონდა შედეგები?**

- მოკლედ, ახლა ასეთი სიტუაციაა - გადაწყვეტილება მიღებულია, რომ მან უნდა გააგრძელოს მუშაობა. მე ვერც მის გეგმას გავაკრიტიკებ და ვერც ავანსებს გავცემ.

**- ვთქვათ და ოლიმპიადაზეც არ იქნა შედეგი, პასუხს ვინ აგებს?**

- თუ არ იქნება შედეგი, ესე იგი, მართლა რაღაც ხარვეზია. პასუხისმგებლობას კი რაც შეეხება, ამაზე ოლიმპიადის შემდეგ ვილაპარაკოთ.

**- მაგრამ მანამდე ის ვთქვათ, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას - მწვრთნელი, ფედერაცია თუ ვინ?**

- ვნახავთ მაგას... თუმცა გავითვალისწინოთ, რომ მწვრთნელის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას ფედერაცია იღებს. მგონი, ჩემი პასუხიც ნათელია.

**- შეცდომების დასანახავად რატომაა აუცილებელი ურემის გადაბრუნება? ხელის შეშველებაც ხომ შეიძლება, ასე რომ არ მოხდეს?**

- ხელი შეშველებულია და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

**- ხელი შეშველებული მსოფლიომდეც იყო, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ...**

- მსოფლიოზე შედეგს და ოქროს მედალს რატომ ელოდით?

**- იმიტომ, რომ ამისი პირობა ზაიზენბახერმა დადო, როცა სოსო ლიპარტელიანსა და მას შორის არჩევანის გაკეთებაზე მიდგა საქმე. მერე ეს პირობა გლობალურ წინსვლამდე ჩამოახარისხეს, თუმცა ამაზეც თანახმა ვიყავით...**

- მაგრამ არაა ოქროს მედალი და რა ვქნათ?

**- რაღაც უნდა შევცვალოთ...**

- ჰოდა, იცვლება ეს რაღაცები. გავითვალისწინებთ იმ შეცდომებს და იქნება შედეგი...

**- როცა აქამდე არ შეიცვალა, სადაა გარანტია, რომ მომავალში გავითვალისწინებთ? პაპინაშვილს ახლა რომ ეუბნება, დამატებითი ვარჯიშები გჭირდება შებოჭვების მოსახსნელადო, აქამდე რატომ არ დაუნიშნა? რატომ არ დაინტერესდა, კიდევ სხვასაც ხომ არ სჭირდებოდა იგივე, მან ხომ მშვენივრად იცის საკუთარი სავარჯიშო სისტემის სირთულე და მისი თანამდევი მოსალოდნელი გართულებები?**

- მე სამწვრთნელო პროცესზე განმარტებას არ გავაკეთებ. მე შემიძლია, ვილაპარაკო კონტრაქტის გაგრძელებაზე ან შეწყვეტაზე და არა მწვრთნელის გადაწყვეტილებებზე. ერთს კი ვიტყვი - ყველას ჰქონდა ინდივიდუალური გეგმა და იმის მიხედვით ვარჯიშობდა. რაც შეეხება ქართულ სტილში ჭიდაობას, ითქვა, რომ მის დასამუშავებლად სპეციალური დრო გამოიყოფა.

**- იცოდით, ქართულ სტილში ჭიდაობას კატეგორიულად რომ უკრძალავდა? ეს ხომ იმავე ჩავლებების წინააღმდეგ ფრიად ეფექტურია?**

- არა, ეს არ ვიცოდი. თუმცა, როგორც გითხარით, ამას ყურადღება მიექცევა. ქართული, რაც დაშვებულია, იმის გამოყენება აუცილებელია.

**ირაკლი თავაძე**

● *კალათბურთი. ქართველი კლუბი ევროთასებზე. სოხუმი*

# აინარს ბაგაცკისი: დავივიწყოთ 16, ყველაფერი ნულიდან იწყება

**„სოხუმი“-„მინსკის“ მატჩის მიმოხილვაში არაერთი კომენტარი ჩავურთეთ. მათ შორის იყო ქართული გუნდის მთავარი მწვრთნელის, აინარს ბაგაცკისის მოსაზრებები. დღეს ამ სპეციალისტის ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელშიც იგი 4 ოქტომბრის მატჩსაც ეხება და მინსკში გასამართ განმეორებით შეხვედრასაც.**

- „მინსკთან“ საშინაო თამაშის წინ ვშიშობდი, რომ შესაძლებლობების სრულად გამოვლენას ვერ შევძლებდით, რადგან გარკვეული მიზეზების გამო წინასწარი მზადება არათანაბრად წარიმართა. შესაბამისად, ძნელი იყო განსაზღვრა, რა შეგვეძლო. ისეთ რიტმში არ ვიყავით, როგორშიც გვსურდა, მაგრამ საბედნიეროდ კალათბურთელებმა მწყობრი თამაში უჩვენეს და შედეგითაც ვერ ვიქნები უკმაყოფილო. თამაშის ხარისხთან დაკავშირებით კი პრეტენზიები მაქვს.

**- კერძოდ, რას გულისხმობთ?**

- მატჩის წინ კალათბურთელებს ვუთხარი - დაცვიდან უნდა ვითამაშოთ-მეთქი. რიგ ეპიზოდებში მართლაც კარგად გავისარჯეთ, მაგრამ გვქონდა ჩავარდნები. ჭკვიანურად უნდა გვეთამაშა და როცა საჭირო იყო, უპირატესობის შენარჩუნებაზე უნდა გვეზრუნა, მაგრამ სწორედ ასეთ დროს კალათბურთელებმა პუბლიკაზე ითამაშეს, აჩქარდნენ, რამაც შეცდომები გამოიწვია.

**- მიღებული 78 ქულა მართლაც ბევრია...**

- ეს გარკვეულწილად ნერვიულობის ბრალი იყო, ევროთასზე პირველ მატჩს ვთამაშობდით. მთავარია, რომ ნელ-ნელა დავმშვიდდით და მომდევნო მატჩს უფრო დაწყნარებულები შევხვდებით. დაცვაზე სამუშაო მართლაც ბევრია, თუმცა ვარჯიშები სწორედ ამისთვის არსებობს: ნელ-ნელა ამ კომპონენტში კიდევ უფრო მოვუმატებთ. დაცვაში კარგი თამაში ხომ კონცენტრაციაზე, მოთმინებასა და ერთობლიობაზეა დამოკიდებული. შეტევაში მთავარი მაინც ნიჭი და იმპროვიზაციაა.

**- როგორ ფიქრობთ, გუნდი ოპტიმალურ ფორმას როდის მიაღწევს?**

- ერთ თვეში გუნდის შეთამაშება წარმოუდგენელია, ამისთვის რამდენიმე თვეა საჭირო. ვფიქრობ, „სოხუმი“ სათანადოდ იანვრისთვის შეიკვრება.

**- მანამდე სერიოზული მატჩია - 11 ოქტომბერს მინსკში განმეორებითი შეხვედრა გელით.**

- თბილისურ მატჩამდე „მინსკის“ შესახებ არასრულ ინფორმაციას ვფლობდი. თუმცა კარგად ვიცნობდი მისი მწვრთნელის სათამაშო სტილს, რომლის ხელმძღვანელობით „მინსკი“ შარშან „VTB ლიგაზე“ თამაშობდა. ამასთან, ისიც მოგვეხსენებოდა, რომ გუნდი გამოცდილი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. სწორედ ამიტომ, დარწმუნებული ვარ, განმეორებითი მატჩი ძალიან რთული იქნება. ბელარუსები საკუთარ კედლებში მაქსიმალურად შეეცდებიან თბილისში დაკარგულის ანაზღაურებას.

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ „მინსკის“ მიერ 16-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა?**

- ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ, თუმცა ყოფილა შემთხვევები, უფრო დიდი სხვაობაც გაბათილებულა. ახლა მთავარია დავივიწყოთ, რომ მარაგში 16 ქულა გვაქვს და ვირწმუნოთ: თამაშს ნულოვანი ანგარიშით ვიწყებთ. კარგია, რომ მეტოქეზე უკვე სრული ინფორმაცია გვაქვს და ვიცით, რაზე უნდა ვიმუშაოთ. რაც შეეხება პროგნოზს, ეს ნოსტრადამუსის საქმე იყო, მე კალათბურთის ცოდნა მევალება.

**- განაცხადში შეყვანილი თორმეტი კალათბურთელიდან ორს კოჭის ტრავმა აქვს. თუ მოესწრება მიხეილ ბერიშვილისა და ირაკლი სორდიას მომდევნო მატჩამდე გამოჯანმრთელება?**

- ტრავმებმა შარშანაც შეგვიშალა ხელი. ახლაც არასრული შემადგენლობით ვვარჯიშობთ, რის გამოც კალათბურთელების გვერდით მეც მიწევს სავარჯიშო მოედანზე გასვლა. სადღეისოდ ძნელი სათქმელია, მოასწრებენ თუ არა ბერიშვილი და სორდია 11 ოქტომბრამდე სრულად გამოჯანმრთელებას. გიორგი გაფრინდაშვილიც ავად იყო, ახლახან გამოჯანმრთელდა და ამიტომაც არ დავტვირთე პირველ მატჩში.

**ვაჟა სიმონიშვილი**


აინარს ბაგაცკისი

● *კალათბურთი. ევროთასები*

# ევროგუნდები გადანაწილდნენ

სამშაბათს გაიმართა ევროთასისა და ევროჩელენჯის შესარჩევი მატჩები. 8 წყვილში გამარჯვებულები ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ, ხოლო დამარცხებულები - ევროჩელენჯზე. ქართველთათვის საინტერესო იყო სამი წყვილი: „გრან კანარია“-“არტლანდი“, „მონსი“-“ბეშიქთაში“ და „ლე მანი“-“კარშიაკა“.

■ ■ ■

დავიწყოთ პირველით. ესპანურ „გრან კანარიაში“ საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული კალათბურთელები თამაშობენ: **ტორინ გრინი** და **მარკიზ ჰეინსი**. მათმა გუნდმა სტუმრადაც დაამარცხა „არტლანდი“ და კუნძულზეც. განმეორებით შეხვედრაში „გრან კანარიამ“ მეორე ტაიმში გატეხა გერმანელები და საბოლოოდ 92:65 იმარჯვა.

მარკიზ ჰეინსი სასტარტო ხუთეულში იყო და სათამაშო დროც საკმარისად ჰქონდა: 29 წუთში 12 ქულა, 2 პასი და თითო მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა. მან 7-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო ჰეინსის თანაგუნდელმა, შედარებით სტაჟიანმა კანარელმა **ტორინ გრინმა**. 16 წუთში მან 3 სამქულიანი მიზანს ააცილა, მატჩი 1 ქულითა და 3 პასით დაასრულა.

„არტლანდის“ ძლევის შედეგად „გრან კანარია“ ევროთასზე გადავიდა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა 11 ოქტომბერს გაიმართება.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ „არმიასთან“ ევროჩელენჯის ჯგუფში მოხვდა თურქული „ბეშიქთაში“, რომელმაც შინ მოპოვებული რვაქულიანი უპირატესობა (78:70) ბელგიაში გაანიავა და „მონსთან“ 63:74 დამარცხდა. შესაბამისად, თურქები ითამაშებენ ევროჩელენჯზე, ბელგიელები - ევროთასზე.

ეს ის შემთხვევაა, როცა თამაშს არა სახელი, არამედ შეთამაშება იგებს. „ბეშიქთაში“ არაერთი ვარსკვლავითაა „მოჭედილი“, რომელთაგან მხოლოდ სამის ჩამოთვლაც საკმარისია: **დერონ უილიამი, მარსელიუს კემპი** და **დევიდ ჰოუკინსი**. ქართული „არმია“ ამ შემადგენლობას სტამბოლში 15 ნოემბერს დაუპირისპირდება, ხოლო თბილისში 6 დეკემბერს უმასპინძლებს.

„ბეშიქთაშისა“ და „არმიას“ გარდა B ჯგუფში მოხვდნენ ჰოლანდიის ჩემპიონი „ლეიდენი“ და გერმანიის „გოტინგენი“.

ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპი 8 ნოემბერს დაიწყება - გახსნით მატჩში „არმია“ „გოტინგენს“ მიიღებს.

■ ■ ■

თურქული „კარშიაკასა“ და ფრანგული „ლე მანის“ დაპირისპირება იმიტომ იყო საინტერესო, რომ ირკვეოდა „სოხუმის“ შესაძლო მეტოქის ვინაობა. იმ შემთხვევაში, თუ **აინარს ბაგაცკისის** გუნდი „მინსკის“ ბარიერს გადალახავს, ევროჩელენჯის G ჯგუფში მოხვდება, სადაც დახვდება „ბონი“ (გერმანია), „ტურკ ტელეკომი“ (თურქეთი) და „კარშიაკა“ (თურქეთი). ამ უკანასკნელმა „ლე მანთან“ შინ 73:80 წააგო, სტუმრად - 78:80 და ევროთასზე ადგილი ფრანგებს დაუთმო, თავად კი ევროჩელენჯზე გადავიდა.

**A ჯგუფი**

ნიტრა (სლოვაკეთი), ოლდენბურგი (გერმანია), ფუენლაბრადა (ესპანეთი), ნორჩოპინგი (შვედეთი)

**B ჯგუფი**

არმია (საქართველო), გოტინგენი (გერმანია), ბეშიქთაში (თურქეთი), ლეიდენი (ჰოლანდია)

**კალენდარი**

| | |
|---|---|
| **8 ნოემბერი** | |
| 19:00 | არმია-გოტინგენი |
| 20:30 | ლეიდენი-ბეშიქთაში |
| **15 ნოემბერი** | |
| 19:30 | გოტინგენი-ლეიდენი |
| 20:30 | ბეშიქთაში-არმია |
| **22 ნოემბერი** | |
| 19:00 | არმია-ლეიდენი |
| 20:30 | ბეშიქთაში-გოტინგენი |
| **29 ნოემბერი** | |
| 19:30 | გოტინგენი-არმია |
| 20:30 | ბეშიქთაში-ლეიდენი |
| **6 დეკემბერი** | |
| 19:00 | არმია-ბეშიქთაში |
| **7 დეკემბერი** | |
| 20:00 | ლეიდენი-გოტინგენი |
| **13 დეკემბერი** | |
| 19:30 | გოტინგენი-ბეშიქთაში |
| 20:30 | ლეიდენი-არმია |

**C ჯგუფი**

გოვერლა (უკრაინა), პარდუბიცე (ჩეხეთი), როანი (საფრანგეთი), პროსტეჰოვი (ჩეხეთი)/აკადემიკი (ბულგარეთი)

**D ჯგუფი**

ხიმიკი (უკრაინა), ვენტსპილსი (ლატვია), ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი), ატომერომუ (უნგრეთი)/ტრაისკირხენი (ავსტრია)

**E ჯგუფი**

კლუჟი (რუმინეთი), შალონი (საფრანგეთი), ანტვერპენი (ბელგია), პრიმორიე (რუსეთი)/ენისეი (რუსეთი)

**F ჯგუფი**

აალსტარი (ბელგია), ოლინ ერდინე (თურქეთი), ეთა (კვიპროსი), ტრიუმფი (რუსეთი)/კრასნიე კრილია (რუსეთი)

**G ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი), ბონი (გერმანია), კარშიაკა (თურქეთი), სოხუმი (საქართველო)/მინსკი (ბელარუსი)

**კალენდარი**

| | |
|---|---|
| **8 ნოემბერი** | |
| 20:30 | სოხუმი/მინსკი-ბონი |
| 20:30 | ტელეკომი-კარშიაკა |
| **15 ნოემბერი** | |
| 20:30 | კარშიაკა-სოხუმი/მინსკი |
| **16 ნოემბერი** | |
| 19:30 | ბონი-ტელეკომი |
| **22 ნოემბერი** | |
| 20:30 | სოხუმი/მინსკი-ტელეკომი |
| 20:30 | კარშიაკა-ბონი |
| **29 ნოემბერი** | |
| 20:30 | კარშიაკა-ტელეკომი |
| **30 ნოემბერი** | |
| 19:30 | ბონი-სოხუმი/მინსკი |
| **6 დეკემბერი** | |
| 20:30 | ტელეკომი-ბონი |
| 20:30 | სოხუმი/მინსკი-კარშიაკა |
| **13 დეკემბერი** | |
| 20:30 | ტელეკომი-სოხუმი/მინსკი |
| 20:30 | ბონი-კარშიაკა |

**H ჯგუფი**

კერავნოსი (კვიპროსი), არტლანდი (გერმანია), პო ორტეზი (საფრანგეთი), ტამპერე (ფინეთი)/შოლნოკი (უნგრეთი)

*მითითებულია ლოკალური დრო*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## დედე დადიანის მემორიალი

6-10 ოქტომბერი. საკალათბურთო აკადემია

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| თსუ | ქუთაისი |
| შსს | თსსუ |
| სტუ | რუსთავი |
| დინამო | |

**6 ოქტომბერი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შსს | VS | დინამო | 11:00 |
| თსსუ | VS | რუსთავი | 13:00 |
| თსუ | VS | სტუ | 15:00 |

**7 ოქტომბერი**

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო | VS | თსუ | 11:00 |
| რუსთავი | VS | ქუთაისი | 13:00 |
| სტუ | VS | შსს | 15:00 |

**8 ოქტომბერი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სტუ | VS | დინამო | 11:00 |
| შსს | VS | თსუ | 13:00 |
| ქუთაისი | VS | თსსუ | 15:00 |

**10 ოქტომბერი**

ფინალი A1 - B1 18:00

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოკეი. NHL


დრაფტის პირველი სამეული

# ცხრა დებიუტანტით იწყება

ორ დღეში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ახალი სეზონი იწყება და საინტერესოა, წლევანდელ დრაფტზე არჩეულ რომელ ჰოკეისტებს ექნებათ წელსვე NHL-ში დებიუტის საშუალება? ცნობილია, რომ 2011 წლის დრაფტის ცხრა ჰოკეისტმა გააფორმა კონტრაქტი და მზად არის ლიგაში პირველი მატჩების ჩასატარებლად. ვნახოთ, ვინ დაიკავებს კუთვნილ ადგილს ძირითად შემადგენლობაში ჩემპიონატის სტარტზე.

2007 წლის დრაფტიდან მივეჩვიეთ, რომ პირველ ნომერს აუცილებლად აქვს დებიუტი NHL-ში. ტრადიცია გრძელდება და **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი** თავის შანსს მიიღებს „ედმონტონში". წინასასეზონო მატჩებში „მენავთობეების" ახალბედა ახალგაზრდულ სამეულში **ტაილორ ჰოლისა** და **ჯორდან ებერლეს** მხარდამხარ თამაშობდა. ეს ტრიო სისწრაფის, ტექნიკისა და შემართების გარანტია იქნება. *„ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, მწვრთნელს გაუჭირდება ნიუჯენტ-ჰოპკინსის შემადგენლობიდან ამოგდება და მისი ფარმკლუბში გაშვება"*, - განაცხადა ჰოლმა.

კიდევ უფრო მარტივი სიტუაციაა „კოლორადოში", რადგან დიდი ხანია ლაპარაკობენ იმაზე, რომ დრაფტის მეორე ნომერი **გაბრიელ ლანდესკოგი** ყველაზე უკეთ არის მზად NHL-ისთვის. წინასასეზონო მატჩებში თავდამსხმელმა მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა, მაგრამ გუნდში კმაყოფილებას გამოთქვამენ ტოპ-სამეულის წევრებთან **პოლ შჩასტნისთან** და **დევიდ ჯონსთან** ერთად გაბრიელის თამაშით. გარდა ამისა, ლანდესკოგს **ო'რაილისთან** და **ვინიკთან** სამეულშიც ათამაშებდნენ.

ჯერჯერობით NHL-ის მიღმა რჩება „ფლორიდას" ფორვარდი **ჯონათან ჰიუბერდო** - დრაფტის მესამე ნომერს ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი და კლუბის გადაწყვეტილებით იუნიორთა გუნდში გადაისროლეს. „ფლორიდაში" მიაჩნიათ, რომ ჰიუბერდოს აქვს ყველაფერი, გარდა ფიზიკური მონაცემებისა, ამიტომაც საჭიროა ქვედა ლიგებში თამაში.

ამ სიაში პირველმა მცველმა, „ნიუ ჯერსის" დებიუტანტმა **ადამ ლარსონმა** უკვე განაცვიფრა „ეშმაკების" მწვრთნელები და პარტნიორები დახვეწილი თამაშით, არადა, შვედი მხოლოდ 18 წლისაა. „ნიუ ჯერსიმ" გაიფორმა ლარსონი და ისიც სხვებთან ერთად ემზადება სასტარტო მატჩებისთვის. როგორც ჩანს, ადამი არა მარტო ბევრ სათამაშო დროს მიიღებს, არამედ რიცხობრივი უპირატესობის დროს ყინულზე შეუშვებენ. არსებობს აზრი, რომ „დევილზმა" შემადგენლობა უკვე მზა მცველით შეავსო.

სიაში შემდეგია 2011 წლის დრაფტის მეხუთე ნომერი, თავდამსხმელი **რაიან სტროუმი**, რომელიც „აილენდერსმა" აირჩია. გასულ სეზონში ნიუიორკელებმა NHL-ში თავის გამოჩენის შანსი მისცეს **ნინო ნიდერაიტერს**, მაგრამ მოგვიანებით ის ფარმკლუბში გაუშვეს. როგორც ჩანს, ახლა სტროუმის „ტესტირების" დრო მოვიდა. მართალია, მან წინასასეზონო მატჩებში ქულა ვერ დააგროვა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დატოვა სამწვრთნელო შტაბი.

დებიუტანტის ოფიციალურ მატჩებში გამოცდას აპირებს „ოტავა", რომელმაც დრაფტში მეშვიდე ნომრად აირჩია **მიკა ზიბანეჯადი**. შვედმა ექვს საკონტროლო შეხვედრაში სამი შაიბა გაიტანა და დაიმსახურა ძირითად გუნდში თამაში. *„საერთო ჯამში, მიკა ბრწყინვალედ გამოიყურება. მას არ აქვს NHL-ში თამაშის გამოცდილება, მაგრამ ვეტერანების წინააღმდეგ სათანადო დონეზე იდგა"*, - შეაქო თანამემამულე „ოტავას" კაპიტანმა **დანიელ ალფრედსონმა**.

ყველაზე მეტად ექსპერტები **მარკ შეიფელემ** გააოცა, რომელიც „ვინიპეგმა" აირჩია მეშვიდე ნომრად. ფორვარდმა წინასასეზონო ეტაპი რვა ქულით დაასრულა და მის კლუბს უბრალოდ უფლება არ ჰქონდა ახალბედასთვის შანსი არ მიეცა. *„ასეთ რამეს არ ველოდით. მარკი ჩემპიონატის სტარტიდანვე „ვინიპეგის" ძირითადში იქნება"*, - პირდაპირ განაცხადა „ჯეტსის" გენერალურმა მენეჯერმა.

NHL-ში დებიუტის შესაძლებლობა მიეცა „ფილადელფიას" თავდამსხმელს **შონ კუტურს**. „მფრინავების" მწვრთნელს ისე მოეწონა ცენტრალური თავდამსხმელის თავდაცვითი თვისებები, რომ შონს ძირითად შემადგენლობაში ადგილი მისცა.

2011 წლის დრაფტის მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ნომრები - **დაგ ჰემილტონი, იონას ბროდინი** და **დანკან სიმენსი** - წელს NHL-ის მიღმა დარჩნენ, სამაგიეროდ, მე-12 ნომერი, „კაროლინას" ახალწვეული **რაიან მერფი** მზად არის გაგვაკვირვოს თავისი დებიუტით. სავსებით შესაძლებელია, რომ „ჰარიკეინზის" მენეჯმენტმა ისევ სწორი არჩევანი გააკეთა, როგორც ეს გასულ სეზონში იყო, როცა **ჯეფ სკინერის** ტალანტი გაიხსნა და საბოლოოდ, ის ახალი სეზონის წინ ლიგის 50 საუკეთესო ჰოკეისტის რიგებში შეიყვანეს. *„რაიანი - შესანიშნავი შემტევი მოთამაშეა. მას აქვს სისწრაფე და გაბარიტები"*, - შეაქო პარტნიორი **ბრაიან ალენმა**.

სავარაუდოდ, 2011 წლის დრაფტის პირველი რაუნდიდან ამ ეტაპზე NHL-ში მოხვედრას სხვა ვერავინ მოახერხებს, მეორე რაუნდში კი „ჩიკაგომ" იპოვა **ბრენდონ საადი**, რომელმაც „ბლეკჰოქსთან" კონტრაქტი გააფორმა და მზად არის დაიწყოს სეზონი ძირითად შემადგენლობაში.

ასე რომ, მივიღეთ ცხრაკაციანი სია, რომელიც NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. შედარებისთვის, 2009 და 2010 წლების სეზონში დრაფტიდან ძირითადში მოხვდა ექვს-ექვსი მოთამაშე, ბოლო დროის რეკორდი კი 2008 წლის დრაფტს ეკუთვნის - 10 ჰოკეისტი.

**წლევანდელი დებიუტანტები**

1. რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმონტონი)
2. გაბრიელ ლანდესკოგი (კოლორადო)
3. ადამ ლარსონი (ნიუ ჯერსი)
4. რაიან სტროუმი (აილანდერსი)
5. მიკა ზიბანეჯადი (ოტავა)
6. მარკ შეიფელე (ვინიპეგი)
7. შონ კოტურიე (ფილადელფია)
8. რაიან მერფი (კაროლინა)
9. ბრენდან საადი (ჩიკაგო)

**შარშანდელი დებიუტანტები**

1. ტაილორ ჰოლი (ედმონტონი)
2. ტაილერ სეგინი (ბოსტონი)
3. ნინო ნიდერაიტერი (აილენდერსი)
4. ჯეფ სკინერი (კაროლინა)
5. კემ ფაულერი (ანაჰაიმი)

კალათბურთი

# სეზონი არ იქნება

გუშინ, ნიუ იორკში NBA-ის ხელმძღვანელობისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი გაიმართა. მხარეებმა ისევ ვერ შეძლეს კომპრომისის გამონახვა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. წინასასეზონო მატჩები ოფიციალურად გაუქმებულია, ამიტომაც მინიმალურია იმის შანსი, რომ 2011-12 წლების სეზონში რეგულარული ჩემპიონატი გაიმართოს.


დევიდ სტერნი

ბოლო შეხვედრა ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მას ესწრებოდა ათი კლუბის მფლობელი და რამდენიმე კალათბურთელი, მათ შორის **კობი ბრაიანტი, პოლ პირსი** და **ამარე სტაუდმაიერი**.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. როგორც ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, მთავარი განსახილველი საკითხი იყო შემოსავლის თანაბრად გაყოფა, მაგრამ მოთამაშეებმა უარი განაცხადეს ამ ვარიანტზე.

*„ჩვენ ვერ მივაღწიეთ პროგრესს, რომლის იმედიც ნამდვილად გვქონდა. ამიტომაც მოლაპარაკებების გაგრძელება არ შეგვიძლია. პირადად მე ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ვფიქრობდი, რომ ჩვენ გავაგრძელებდით შეხვედრებს და მოვნახავდით ამ და სხვა საკითხებში საერთო ენას. ვფიქრობ, შემოსავლების 50/50-ზე გაყოფის ვარიანტს აქვს არსებობის უფლება. ამას შეიძლება ვუწოდოთ პარტნიორობა"*, - განაცხადა სტერნმა.

ასე რომ, გუნდების საწვრთნელი ბანაკები და წინასასეზონო მატჩები გაუქმებულია. თუ ორშაბათისთვის მხარეები კომპრომისს ვერ მიაღწევენ, გაუქმებულად გამოცხადდება რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა.

*„თუ ორშაბათისთვის ვერ მოვასწრებთ მოლაპარაკებას, რეგულარული ჩემპიონატის პირველ ორ კვირას ოფიციალურად გავაუქმებთ"*, - ამბობს დევიდ სტერნი.

პროფკავშირების თავმჯდომარე **დერეკ ფიშერმა** განაცხადა, რომ სეზონის გაუქმების მუქარით კალათბურთელები დათმობაზე არ წავლენ.

*„კლუბების მფლობელებს ჰგონიათ, რომ თუ მომავალი სეზონის რამდენიმე მატჩი გაუქმდება, მოთამაშეები მაშინვე დასხდებიან და კოლექტიური ხელშეკრულების ნებისმიერ ვარიანტს დაუჭერენ მხარს. ეს ასე არ არის. კალათბურთელები მზად არიან გამოტოვონ ახალი სეზონი"*, - ამბობს ფიშერი Yahoo! Sports-თან კომენტარში.

ამ მომენტისთვის ლიგისა და პროფკავშირის გეგმებში არ შედის ახალი მოლაპარაკების გამართვა. ასე რომ, ამ ეტაპისთვის ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი ასეთია - საუკეთესო შემთხვევაში სეზონი დაგვიანებით დაიწყება, როგორც ეს 1998-99 წლებში იყო. თუმცა ამ ეტაპზე ესეც გაურკვეველია.

## კობის საკითხიც ჩიხშია

ლიგის და მოთამაშეთა პროფკავშირებით გუშინდელი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავს კობი ბრაიანტის იტალიაში გადაბარგების საკითხი. თუმცა კობისა და ბოლონიას „ვირტუსს" შორის მოლაპარაკებების პროცესიც ჩიხში არის მოქცეული. ამერიკელმა ჟურნალისტებმა სწორედ ამის შესახებ ჰკითხეს კალიფორნიელ კალათბურთელს.

*„ყველაფერი ჩვეულებრივადაა. ჩემი ტრანსფერის საკითხი ჰაერში დაეკიდა"*, - მოკლედ უპასუხა მცველმა.

*„ეს ნორმალურია. თუ კობი იტალიაში გადავა, მე მას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. და, რა თქმა უნდა, დაბრუნებას"*, - კომენტარი გაუკეთა იტალიაში ბრაიანტის სავარაუდო გამგზავრებას ლიგის კომისარმა დევიდ სტერნმა.

# პარკერი საფრანგეთში წავიდა


ტონი პარკერი

ოფიციალურად გადაწყდა "სან ანტონიო სპურსის" ფრანგი გამთამაშებლის **ტონი პარკერის** ევროპაში თამაში. ფრანგული პრესის ცნობით, პარკერის იურისტებმა მოაგვარეს მოთამაშის დაზღვევის საკითხი და ტონიმ უკვე დაადასტურა კონტრაქტის გაფორმება საფრანგეთის ლიგაში მოთამაშე "ვილერბანთან". ხელშეკრულება ლოკაუტის პერიოდში იქნება ძალაში. ოფიციალურად პარკერს დღეს წარადგენენ „ვილერბანის" ახალწვეულის რანგში. ამ ინფორმაციას ლიონური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

*„დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ლოკაუტის პერიოდში „ვილერბანში" ვითამაშებ. ეს გადაწყვეტილება ორშაბათს მივიღე. ჩემთვის დიდი პატივია საფრანგეთში დაბრუნება და სავსებით ლოგიკურია, რომ სწორედ ლიონი ავირჩიე"*, - განაცხადა პარკერმა, რომელიც ამ კლუბის აქციათა პაკეტის მფლობელი გახლავთ. NBA-ის ვარსკვლავის ხელფასი თვეში 1.5 ათასი ევრო იქნება. დაზღვევის თანხა კალათბურთელმა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა.

*„მქონდა სოლიდური შემოთავაზებები ჩინური კლუბებიდან, „ბარსელონადან", მაგრამ ამ ეტაპზე უბრალოდ შინ დაბრუნება და საფრანგეთში თამაში მინდოდა"*, - ამბობს ტონი.

პარკერმა კარიერა პარიზულ კლუბში - „პარი ბასკეტ რასინგში" დაიწყო, 2001 წელს კი „სან ანტონიომ" დრაფტში 28-ე ნომრად აირჩია. იმავე წელს ფრანგ მცველს დებიუტი ჰქონდა „სპურსის" შემადგენლობაში.

„სან ანტონიოში" პარკერი სამჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი - 2003, 2005 და 2007 წლებში. NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში მან 746 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.7 ქულა დააგროვა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე სამშობლოში დაბრუნდნენ ბოლო ევრობასკეტის ვიცე-ჩემპიონები: **ნიკოლა ბატუმი, ბორის დიაო** და **რონი ტურიაფი**.

# ერსანს NBA აღარ უნდა

თურქი ფორვარდი **ერსან ილიასოვა**, რომელმაც ლოკაუტის პერიოდში კონტრაქტი გააფორმა "ეფეს პილსენთან", არ გეგმავს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნებას და სურს სეზონის ბოლომდე დარჩეს სამშობლოში.

*"მინდა "ეფესის" შემადგენლობაში მთელი წელი გავატარო. იმედი მაქვს, FIBA-ის წესებში გამოინახება რაიმე პუნქტი, რომელიც თურქეთში მთელი სეზონის ჩატარების საშუალებას მომცემს. ჩვენ ვაპირებთ თურქეთის ჩემპიონატისა და ევროლიგის მოგებას. ეს რთული იქნება, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ"*, - განაცხადა ილიასოვამ.

მიუხედავად ამისა, "მილუოკი ბაქსთან" კონტრაქტის მიხედვით ილიასოვა ვალდებულია დაბრუნდეს "ბაქსში" ლოკაუტის დასრულების შემდეგ.


ერსან ილიასოვა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ბატონი მაკლარენში რჩება


ბატონი კმაყოფილია

გუშინ, მნიშვნელოვანი გარიგება შედგა ფორმულა 1-ში. ბრიტანულმა საჯინიბო „მაკლარენმა“ მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა **ჯენსონ ბატონთან.** ბრიტანელი ამ გუნდში 2010 წლიდან გამოდის და დღემდე ოთხი გრანპრი, მოიგო. ჯერჯერობით არ სახელდება ხელშეკრულების ფინანსური პირობები და მისი მოქმედების ვადა, თუმცა „მაკლარენი“ ირწმუნება, რომ ლაპარაკია მრავალწლიან ხელშეკრულებაზე.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ჩემპიონატში ბატონი საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იმყოფება და ვიცეჩემპიონობის რეალური შანსი გააჩნია.

„ასე კომფორტულად თავი არასოდეს მიგრძნია. ამ გუნდის რიგებში მოვიგე ოთხი საუკეთესო რბოლა ჩემს კარიერაში, ამჟამად მეორე ადგილს ვიკავებ პირად ჩათვლაში და ვგრძნობ, რომ ასეთ საუკეთესო ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ.

ასეთი ფორმის მიღწევა კი მხოლოდ სათანადო მხარდაჭერით არის შესაძლებელი და მე მართლაც მიმაჩნია, რომ „მაკლარენში“ გამარჯვებისკენ სწრაფვა უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან. როგორც პილოტი, უჩვეულოდ ძლიერ ემოციებს ვგრძნობ იმის გამო, რომ იმ გუნდის ნაწილი ვარ, რომელმაც უფრო გაამყარა ჩემი სურვილი კიდევ დიდი ხნით დავრჩე ფორმულა 1-ში.

არასოდეს დამიმალავს, რომ მინდა მოვიგო რბოლები და ვიბრძოლო ჩემპიონის ტიტულისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ გუნდში მე შევძლებ დასახული მიზნის მიღწევას. „მაკლარენში“ იციან გამარჯვება. ერთად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მომდევნო წლებში ჩემპიონობა მოვიპოვოთ“, - აღფრთოვანებას ვერ მალავდა ახალი კონტრაქტის გაფორმებით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

# კიმი გზაგასაყარზე


კიმი რაიკონენი

მას შემდეგ, რაც **კიმი რაიკონენი** ფორმულა 1-დან წავიდა, მისი ერთ-ერთი სპონსორი გახდა კომპანია “რედ ბული”: რალის მანქანა “სიტროენი”, რომლითაც ფინელი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოდიოდა, ავსტრიული კონცერნის საფირმო ფერებში იყო გადაწყვეტილი. კიმი დღესაც ინარჩუნებს ამ საქმიან კავშირებს და ამ დღეებში “რედ ბულის” პრესსამსახურმა გამოაქვეყნა საინტერესო მოსაზრება მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის მომავალი კარიერის შესახებ...

გასულ უქმეებზე გამართული რალი არც ისე წარმატებული აღმოჩნდა კიმი რაიკონენისთვის: ეს რბოლა მისთვის სულელური ავარიით დასრულდა. რა შეიძლება ითქვას “აისმენის” მომავალ პერსპექტივებზე, განსაკუთრებით იმის ფონზე, როცა ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ფორმულა 1-ში მის სავარაუდო დაბრუნებაზე.

საფრანგეთის რალის პირველ დღეს ფინელი ჩვეულებრივი გზით მიემართებოდა მესამე სპეცმონაკვეთის სტარტისკენ, თან საბურავებს ახურებდა და ამ დროს მოახერხა უკნიდან დაჯახებოდა **ჰენინგ სოლბერგის** “ფორდ ფიესტას”. დარტყმის გამო “სიტროენის” წინა დაკიდება გამოვიდა მწყობრიდან და რაიკონენი ბრძოლას ჩამოსცილდა.

ფინელის შტურმანმა, გამოცდილმა **კაი ლინდსტრიომმა** განაცხადა, რომ ასეთი ინციდენტები პერიოდულად ხდება და ამაში არავის ბრალი არ მიუძღვის. თუ ვინმე წინ მიდის მკვეთრად ამუხრუჭებს, ხოლო ის, ვინც უკანაა და აჩქარებას იწყებს, შეჯახება გარდაუვალია.

საფრანგეთის რალის ნაადრევად დასრულება იმას ნიშნავს, რომ კიმის ზედმეტი ორი დღე გამოუჩნდა იმისთვის, რომ მთავარზე დაფიქრდეს: რა საქმიანობა აირჩიოს მომავალ წელს. დადის ჭორი ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე, კერძოდ, “უილიამსის” შემადგენლობაში, მაგრამ არსებობს მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტი: მას შეუძლია კარიერა გააგრძელოს რალიში. როგორც თავად რაიკონენი ამბობს, ყოველთვის შეიძლება აარჩიო მესამე ვარიანტი და არაფერი აკეთო. მოდით, შანსები შევაფასოთ.

## ფორმულა 1-ში დაბრუნება

კიმი სტუმრობდა “უილიამსის” ბაზას გროუვიში: ფორმულა 1-ის ყოფილმა ჩემპიონმა, რა თქმა უნდა, იცის, რა ნიშნავს “სამეფო რბოლები” და რა სჭირდება პილოტს წარმატების მისაღწევად.

**პლუსი**: კიმისთვის აქ ყველაფერი ნაცნობია; თან ფორმულა 1-ში შეიძლება უფრო მეტი თანხა გამოიმუშაო, ვიდრე რალიში.

**მინუსი**: “უილიამსს” ვერ მივაკუთვნებთ ტოპ-გუნდების კატეგორიას; თავის დროზე, კიმს მოჰბეზრდა ფორმულა 1; იქ საქმე აქვს პირანიებივით ბოროტ ჟურნალისტებთან; ნუთუ ის მზად არის მეორედ შესცუროს იმავე მდინარეში?

## რალიში განაგრძოს კარიერა

რაიკონენს რალიში გამოსვლის ორწლიანი სტაჟი აქვს, ის თანდათან აგროვებს გამოცდილებას და იმაღლებს ოსტატობას. რატომ არ უნდა გააგრძელოს ამ სერიაში კარიერა?

**პლუსი:** მეორე სეზონში უფრო იოლად ძლევს სირთულეებს; რალი - ძალიან მხიარული სარბოლო სერიაა; ჩემპიონატი მხოლოდ 13 ეტაპისგან შედგება, ჟურნალისტები კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ.

**მინუსი:** როგორც ჩანს, რალის მოგება უფრო რთულია, ვიდრე ფორმულა 1-ის, თანაც ის არც ისე მომგებიანია ფინანსურად. და თუ ზამთარში შვედეთის ეტაპზე ტრასიდან გადავარდი, დიდი შანსია იმისა, რომ მანქანაში გაიყინო.

## პენსიაში გასვლა

თუ არ იცი რა საქმით დაკავდე, მაშინ არაფერი არ გააკეთო. “აისმენს” ფული არ სჭირდება და ალბათ, წუხს იმის გამო, რომ შინ ძვირფასი სათამაშოების (რარიტეტული მანქანები) კოლექცია დაუგროვდა, მაგრამ გასართობად დრო არ აქვს.

**პლუსი**: რა საჭიროა მუშაობა, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობს? არაფრის კეთება - ამ რთული ამოცანის სავსებით ლოგიკური გადაწყვეტაა. გარდა ამისა, კიმის უამრავი თავისუფალი დრო გაუჩნდა. ამიტომაც არის ეს ვარიანტი ძალიან მომხიბვლელი.

**მინუსი**: შეიძლება მალე მოსწყინდეს უსაქმურობა. თუმცა ეს მხოლოდ ერთადერთი მინუსია.

## სხვა სერიებში გამოსვლა

კიმიმ უკვე მოსინჯა ძალები ნასკარის სერიაში და ასევე იჯდა Peugeot 908-ის საჭესთან, რომელიც ლე მანის 24-საათიანი რბოლისთვის არის განკუთვნილი. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ახალმა გასართობებმა ძალიან გაიტაცა. მეორე მხრივ, არსებობს აგრეთვე DTM-ის სერია.

**პლუსი**: არც ისე დიდი ზეწოლა, მინიმალური ყურადღება პრესის მხრიდან, ბევრი დაზოგილი დრო. თან შენს საყვარელ საქმეს აკეთებ - რბოლებში მონაწილეობ. იდეალური გადაწყვეტილებაა?

**მინუსი**: საჭიროა თუ არა კარიერის გაგრძელება სხვა რბოლებში, როცა უკვე მოგებული გაქვს ჩემპიონის ტიტული ფორმულა 1-ში? მოსაწყენი ხომ არ იქნება?

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 19** | |
| დანია-ალბანეთი | 1:0 |
| ავსტრია-მალტა | 3:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **UNDER 20** | |
| პოლონეთი-შვეიცარია | 0:1 |
| გერმანია-იტალია | 3:2 |
| **UNDER 19** | |
| პორტუგალია-უკრაინა | 1:1 |
| საფრანგეთი-ინგლისი | 2:2 |
| **ინგლისი** | |
| **League Trophy** | |
| ქრიუ-მაკლსფილდი | 1:0 |
| ჩარლტონი-ბრენტფორდი | 0:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-პადოვა | 1:0 |
| ასკოლი-რეჯინა | 1:1 |
| ბრეშა-გუბიო | 2:2 |
| ჩიტადელა-მოდენა | 2:0 |
| კროტონე-ბარი | 0:1 |
| ლივორნო-ემპოლი | 0:0 |
| ნოჩერინა-იუვე სტაბია | 2:3 |
| სასუოლო-პესკარა | 1:1 |
| ტორინო-გროსეტო | 1:0 |
| ვერონა-სამპდორია | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფრაიბურგი A-ბაიერნი (ა) | 2:1 |
| მემინგენი-პფიულენდორფი | 2:4 |
| შტ. კიკერსი-ვორმატია | 1:1 |
| ინგოლშტადტი A-კასელი | 3:1 |
| ზონენჰოფი-ფრანქფურტი A | 3:2 |
| მანჰაიმი-აინტრახტი A | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 1:1 |

| სლოვაკეთის თასი | |
|---|---|
| ნემსოვა-ტრნავა | 0:2 |
| **ლიტვა** | |
| ზანგა-ეკრანასი | 1:4 |
| **იაპონიის თასი** | |
| სერეზო-ურავა | 1:2 |
| ნაგოია-ნიიგატა | 2:2 დ.დ. 5:3 |
| გამბა-ჯუბილო | 3:1 |
| კაშიმა-იოკოჰამა | 2:2 დ.დ. 3:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| პროსტეიოვი-ლუკოილი | 77:87 |
| ოსტენდე-ნორჩოპინგი | 70:67 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-სკა | 2:1 |
| სპარტაკი-დინამო (რ) | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პეკინი** | |
| ვერდასკო-ჩიპოლა | 2:6, 6:1, 6:2 |
| ფ. ლოპესი-**იუჟნი** | 7:6, 2:6, 5:7 |
| **ლუბიჩიჩი**-ფ. მაიერი | 6:0, 2:6, 6:3 |
| **ბერდიხი**-კოლშრაიბერი | 6:2, 6:0 |
| **ATP. ტოკიო** | |
| **ტურსუნოვი**-ტიპსარევიჩი | 7:6, 6:7, 7:5 |
| ბალდატისი-**მიურეი** | 6:7, 6:2, 4:6 |
| **ფიში**-გულბისი | 6:2, 6:4 |
| **იტო**-ტომიჩი | 7:6, 1:6, 5:7 |
| **შტეპანეკი**-ჩიუდინელი | 7:5, 6:7, 6:1 |
| **WTA. პეკინი** | |
| ჰერცოგი-**აზარენკა** | 6:7, 3:6 |
| სხეპერსი-**ნიკულესკუ** | 2:6, 1:6 |
| **ა. რადვანსკა**-ჟენგი | 6:1, 6:4 |
| ზვონარევა-**ივანოვიჩი** | 2:6, 1:6 |
| ბარტოლი-**პეტკოვიჩი** | 6:4, 4:6, 5:7 |

TV პროგრამა

**6 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. რომა-ატალანტა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. სოშო-ტულუზა.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ევერტონი-ლივერპული.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. სპორტინგი-ბარსელონა.
**00:00** სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-სანტოსი.
**12:05** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**14:40** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
**16:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
**23:55** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**09:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ლაციო.

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**09:00** ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**15:30** ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:55** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნიჟნი ნოვგოროდი-ცსკა (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

ამბები

**კრივი**

## უმცროსმა კლიჩკომ მეტოქე იპოვა?

სავარაუდოდ, ახალი მეტოქე იპოვა სუპერმძიმე წონაში სამი პრესტიჟული ვერსიით (IBF, WBO, WBA) მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ.** პრესაში ბევრს ჭორაობდნენ უკრაინელისა და ფრანგი **ჟან-მარკ მორმეკის** სავარაუდო ბრძოლის შესახებ და როგორც ჩანს, ამ ჭორებს მყარი საფუძველი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ კლიჩკოსა და მორმეკის ბრძოლასთან დაკავშირებით ოფიციალური პრესრელიზი არ გავრცელებულა, ავტორიტეტული ვებგვერდი boxrec.com იტყობინება, რომ ასეთი შეხვედრა მართლაც იგეგმება.

boxrec.com-ის ინფორმაციით, ვლადიმერი შემდეგ ბრძოლას სწორედ ფრანგთან გამართავს და ზუსტ თარიღსაც ასახელებს - 2011 წლის 10 დეკემბერი. სავარაუდოდ, კლიჩკო და მორმეკი გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის საფეხბურთო არენაზე დაუპისპირდებიან ერთმანეთს.

**ჩოგბურთი**

## სავიჩი ბრალდებას უარყოფს

ჩაწყობილი თამაშების ორგანიზების გამო სამუდამოდ დისკვალიფიცირებულმა სერბმა ჩოგბურთელმა **დავიდ სავიჩმა** განაცხადა, რომ უსაფუძვლოდ გამოუტანეს ასეთი მკაცრი სასჯელი. სავიჩის თქმით, ის ერთ-ერთმა ჩოგბურთელმა „ჩაუშვა“, რომელიც ამჟამად რეიტინგში წამყვან პოზიციას იკავებს. ამ მოთამაშის გვარი სავიჩმა არ დაასახელა. დავიდმა ინკოგნიტო ჩოგბურთელის სიტყვებს “აბსოლუტური ტყუილი” უწოდა.

სავიჩის საქმის გამოძიებით დაკავებული იყო სპეციალური ანტიკორუფციული ჯგუფი (Tennis Integrity Unit - TIU), რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით 2009 წელს შეიქმნა. სამუდამო დისკვალიფიკაციის გარდა სავიჩი 100 ათასი დოლარით დააჯარიმეს. გამოძიების დეტალებსა და საქმის სხვა გარემოებებზე არაფერს იტყობინებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი


ფლოიდ მეივეზერი

# მეივეზერი: ჩემზე ლენოქს ლუისმა ილაპარაკოს

ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონმა, 34 წლის ამერიკელმა ფლოიდ მეივეზერმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას, სადაც საკუთარი აზრი გამოხატა რამდენიმე საკითხზე - **ვიქტორ ორტისთან** ბოლო ბრძოლის სკანდალურ დასასრულზე, **მენი პაკიაოსთან** სავარაუდო შეხვედრაში, ცნობილ სპორტულ ანალიტიკოსთან **ლარი მერჩანტთან** კონფლიქტზე...

### პაკიაოსთან შეხვედრაზე

სინამდვილეში, არ მაღელვებს ისეთი მოკრივე, რომელიც რაღაცას მალავს. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ის თავისას. ვამარცხებ მოკრივეებს, რომლებსაც ჩემამდე წაგება არ ჰქონიათ. ვუგებ იმ მებრძოლებს, რომლებიც კარიერის ზენიტში იმყოფებიან. ის კი ეჩხუბება იმათ, რომლებიც ჩემ შემდეგ რჩებიან. ყველა ამბობს - თუ საუკეთესო ხარ, გაიარე დოპინგ-ტესტი.

### მესამე ბრძოლა პაკიაოსა და მარკესს შორის

მენი პაკიაო უკვე ორჯერ ეჩხუბა **მარკესს** და რამდენჯერმე გაგზავნა ნოკდაუნში, მაგრამ მარკესმა უფრო მეტი რაუნდი მოიგო. საბოლოოდ, მათ ფრე ჰქონდათ პირველ ბრძოლაში და პაკიაოს ერთი ქულით მოგება - მეორეში. ორი წელი კრივის გარეშე გავატარე, დავბრუნდი და მარკესს შევხვდი - ეს იოლი სამუშაო იყო. ბევრი ამბობს, რომ მარკესისთვის ძალიან დიდი ვიყავი, სამაგიეროდ, დიდი არ ვარ პაკიაოსთვის - ჩვენ თითქმის ერთნაირი გაბარიტები გვაქვს.

### პრეტენზიები მერჩანტის მიმართ

ვარაუდობენ, რომ ის არის ექსპერტი კრივის სფეროში, მაგრამ მას რინგზე არასოდეს უჩხუბია. მაშინ რინგზე ერთადერთი რამის გაკეთება მინდოდა - მიმემართა ხალხისთვის, რომლებიც ლას ვეგასში ჩამოვიდნენ და ფული დახარჯეს და იმათთვის, ვისაც ნაყიდი ჰქონდა ფასიანი ტელეტრანსლაცია. მინდოდა მადლობა გადამეხადა, ის კი ისევ და ისევ ერთი და იმავე შეკითხვას მისვამდა. და ასე გრძელდებოდა გაუთავებლად.

ლარი მერჩანტს, **ემანუელ სტიუარდს, ჯიმ ლემპლის** იმედი აქვთ, რომ იპოვიან მოკრივეს, რომელიც ჩემს დამარცხებას შეძლებს. მირჩევნია ჩემზე ილაპარაკონ ისეთებმა, როგორიცაა **ლენოქს ლუისი** ან ის ბიჭები, რომლებიც რინგზე არიან ნამყოფი.

### შემდეგი მეტოქე

ჯერ არ ვიცით. ჩვენ უბრალოდ გვინდა ხალხს მივცეთ ის, რისი ხილვაც სურთ.

### კონფლიქტი ოსკარ დე ლა ჰოიასთან

მას შურს ჩემი. ის შურიანია. ოქროს გოგონა...

# დიდი ბრძოლა იგეგმება

**ფლოიდ მეივეზერის** ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ ასახელებენ პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-სა და IBF-ის ჩემპიონს, 24 წლის ბრიტანელ **ამირ ხანს**. ამასთან დაკავშირებით გუშინ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ხანი ამბობს, მეივეზერი დათანხმდა მასთან ბრძოლას.

ახალგაზრდა ვარსკვლავი 10 დეკემბერს შეხვდება 27 წლის ამერიკელ **ლამონტ პიტერსონს**. მისი განცხადებით, ეს იქნება ბოლო ბრძოლა 63.5-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ამირ ხანი უკვე ფიქრობს ნახევრადსაშუალო წონაში მეივეზერთან შეხვედრაზე, თუმცა ეს ჩხუბი უახლოეს მომავალში არ გაიმართება, რადგან მანამდე ხანი გეგმავს ორ წინასწარ ბრძოლას მისთვის ახალ წონაში.

*"მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს,* - განაცხადა ხანმა პიტერსონთან ბრძოლისწინა პრესკონფერენციაზე. - *მეივეზერმა თანხმობა განაცხადა ჩემთან ჩხუბზე, მაგრამ შორსმიმავალ გეგმებს არ ვსახავთ. მე გადავალ ნახევრადსაშუალო წონაში და ამ კატეგორიაში მესამე შეხვედრას სწორედ ფლოიდთან გავმართავ. მინდა გავწმინდო კრივი მეივეზერის მსგავსი მოკრივეებისგან. ის ბევრ სისულელეს ლაპარაკობს, პატივს არ სცემს ტელემაყურებლებს. მე ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია. ის კრივის სახე უნდა იყოს, ოღონდ დადებით კონტექსტში და არა უარყოფითში.*

პროფესიულ რინგზე ხანს 27 ბრძოლა აქვს ჩატარებული, მოიგო 26 (18 ნოკაუტით) და წააგო ერთი შეხვედრა. 34 წლის მეივეზერის ანგარიშზე 42-დან 42 გამარჯვებაა (26 ნოკაუტით).


ამირ ხანი

ჩოგბურთი

# ანას კოსმოსური ტემპი

გუშინ, პეკინში ჩოგბურთელებმა მეორე წრე დაასრულეს და პარალელურად, მერვედფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა.

მეორე წრის ბარიერი **ვიქტორია აზარენკამ, აგნიეშკა რადვანსკამ** და **მონიკა ნიკულესკუმ** გაიარეს. ბელარუსელის მატჩი სლოვენიელ **პოლონა ჰერცოგთან** იმაზე დაძაბული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ელოდნენ. პირველ პარტიაში პოლონა ბრეიკით იგებდა და სეტზე აწვდიდა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი დაძაბული ტაი-ბრეიკი წააგო - 8:10. მეორე სეტი აზარენკასთვის უფრო მარტივი გამოვიდა - სამჯერ აიღო მეტოქის მოწოდება - 6:3. სხვათა შორის ჰერცოგმა 11 ეისი ჩააწოდა, ვიქტორია კი შემდეგ წრეში **ანასტასია პავლიუჩენკოვას** შეხვდება.

აზარენკას მოპოვებული აქვს საგზური სტამბოლის წლის შემაჯამებელ ტურნირზე, რადვანსკა კი ჯერაც იბრძვის იქ მოსახვედრად. გასულ კვირას ტოკიოს ტურნირის ჩემპიონმა პირველ წრეში მასპინძელ **ჟიე ჟენგთან** ითამაშა. პირველ სეტში პოლონელის უპირატესობა უდიდესი იყო - ჩინელი დიდი გაჭირვებით გაექცა „მშრალი" ანგარიშით მარცხს. ამის შემდეგ თამაში მეტ-ნაკლებად გათანაბრდა - ჟენგი უფრო აქტიურად ათამაშდა, აგნიეშკამ კი ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მაინც მოახერხა მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა - 6:1, 6:4. მესამე სეტში მას **სოფია არვიდსონთან** მოუწევს შეხვედრა, რომელმაც წინა დღეს უიმბლდონის ჩემპიონ **პეტრა კვიტოვას** მოუგო.


ანა ივანოვიჩი

ყველაზე დიდი ინტერესით **ვერა ზვონარევასა** და **ანა ივანოვიჩის** შეხვედრას ელოდნენ, მაგრამ ბრძოლა არ შედგა. ეს ჩოგბურთელები მეათედ ხვდებოდნენ ერთმანეთს (ზვონარევა წინ იყო - 5:4), მათი ბოლო მატჩები კი საკმაოდ დაძაბული გამოდიოდა. ყველაზე დასამახსოვრებელი იყო 2009 წელს ინდიან უელსის ფინალი, როცა ზვონარევამ სამ სეტში მოიგო კარიერაში პირველი დიდი ტიტული.

ამჯერად ზვონარევამ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ მისი სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. თამაშს ბოლომდე სერბი ჩოგბურთელი აკონტროლებდა, რუსი კი მისი შეტევების მოგერიებით იყო დაკავებული. მთელი მატჩის განმავლობაში ვერას მხოლოდ ოთხი „ვინერსი" ჰქონდა, ივანოვიჩს - 29! საერთო ჯამში, შეხვედრის დასაწყისში ბრეიკების გაცვლის შემდეგ ბრძოლა მხოლოდ ორ ბოლო გეიმში იყო. 1:4-ზე ზვონარევამ სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მაინც წააგო. დაახლოებით იგივე მოხდა ანას მოწოდებაზე - ზვონარევამ ორი მატჩბოლი გადაარჩინა, მაგრამ ბრეიკის გაკეთება ვერ შეძლო. საბოლოოდ, 6:2, 6:1 ივანოვიჩის სასარგებლოდ. სერბს ბოლო დროს ასე კარგად არ უთამაშია, ამიტომაც ის პეკინის ტიტულის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად უნდა განვიხილოთ.

წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **მარიონ ბარტოლისა** და **ანდრეა პეტკოვიჩის** შეხვედრას. როგორც უკვე ვწერდით, პეტკოვიჩს არ ჰქონდა ამ მატჩის წაგების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავდა WTA-ის საჩემპიონო რბოლაში მერვე ადგილზე მყოფი ბარტოლის დაწევის შანსს. შესაბამისად, ჩოგბურთელებმა ამ სათამაშო დღეს ყველაზე დაძაბული მატჩი ჩაატარეს.

პირველ სეტში გერმანელმა ალღო ვერ აუღო ფრანგის უცნაურ დარტყმებს და ბარტოლიმ 6:4 გაიმარჯვა. ამის შემდეგ მარიონმა ბრეიკით დაიწყო მეორე პარტია, მაგრამ ანდრეამ მკვეთრად მოუმატა აქტიურობას, შეამცირა შეცდომების პროცენტი, რისი წყალობითაც ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო. სეტზე ჩაწოდება პეტკოვიჩმა ვერ მოახერხა, მაგრამ შემდეგ გეიმში მიღებაზე იხეირა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტი დრამატულად განვითარდა. ანდრეამ შეინარჩუნა აქტიური რიტმი და თითქოს ყველაფერი ბარტოლის განადგურებისკენ მიდიოდა. პეტკოვიჩი 5:1-ს იგებდა, როცა ბარტოლიმ მატჩის გადარჩენა განიზრახა, გერმანელს კი ნერვები ღალატობდა. მატჩბოლების განიავების შემდეგ, ანდრეამ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო, მაგრამ შემდეგ დროულად მოეგო გონს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა - 4:6, 6:4, 7:5. ასე რომ, მარიონმა ვერ შეძლო საჩემპიონო რბოლაში პეტკოვიჩისგან და რადვანსკასგან შორს წასვლა. იმ შემთხვევაში, თუ ამ დუეტისგან რომელიმე პეკინში ფინალს მიაღწევს, ფრანგი დაკარგავს მერვე ადგილს, რომელიც სტამბოლის საგზურს იძლევა.

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 7:6(8), 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:1, 6:4; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:2, 6:1.

**1/8 ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 3) 6:2, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 4:6, 6:4, 7:5.

**ATP**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**II წრე**

**ტომას ბერდიხი (ჩეხ, 3)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:2, 6:0; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 2:6, 6:1, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:0, 2:6, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:7(5), 6:2, 7:5.

**Japan Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 100 000 დოლარი

**II წრე**

**ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ტაცუმა იტო (იაპ) 6:7(4), 6:1, 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 4)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:2, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:6(4), 2:6, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 6) 7:6(6), 6:7(3), 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 7)**-მარკო ჩიუდინელი (შვეიც) 7:5, 6:7(5), 6:1.

# სერენა წელს აღარ ითამაშებს

მსოფლიო კლასიფიკაციის მე-14 ნომერი, ამერიკელი **სერენა უილიამსი** ამ სეზონში აღარ ითამაშებს ოფიციალურ ტურნირებში, - განაცხადა ჩოგბურთელის აგენტმა **ჯილ სმოლერმა**. ცოტა ხნის წინ, სერენამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო უარი თქვა ტოკიოსა და პეკინის ტურნირებში თამაშზე, ახლა კი საერთოდ სეზონის ვადაზე ადრე დასრულება გადაწყვიტა.

ასე რომ, უილიამსი გამოტოვებს ოსაკას, ლინცის, მოსკოვისა და ლუქსემბურგის ტურნირებს. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამერიკელი ვერ მოხვდებოდა სტამბოლში WTA-ის სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე.

შეგახსენებთ, რომ წელს უილიამსის ბოლო ტურნირი იყო ამერიკის ღია პირველობა, სადაც მან 11 სექტემბერს წააგო ფინალი ავსტრალიელ **სამანტა სტოსურთან**.

■ ■ ■


აზარენკა და უილიამსი ფედერაციის თასზე ითამაშებენ

ამასობაში, სერენა უილიამსმა ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში დაბრუნებასა და ფედერაციის თასზე თამაშის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. უმცროსმა უილიამსმა 2012 წელს ფედერაციის თასის მეორე ჯგუფში თამაში გადაწყვიტა. ის შეხვედრა 4-5 თებერვალს უორჩესტერში (მასაჩუსეტსის შტატი) გაიმართება - აშშ-ის მეტოქე ბელარუსის ნაკრებია.

სერენა უილიამსმა და მისმა უფროსმა დამ **ვენუსმა** ბოლოს ფედერაციის თასზე 2007 წელს ითამაშეს. სერენას თქმით, მას უნდა თავის გუნდს ფედერაციის თასის მსოფლიოს ჯგუფის საგზური მოუტანოს.

აშშ-ის ნაკრებმა მსოფლიოს ჯგუფში ადგილი 2011 წლის აპრილში დაკარგა, როცა 0:5 წააგო მეოთხედფინალი გერმანიის ნაკრებთან. თუ ამერიკელები შეძლებენ ბელარუსის დამარცხებას, მაშინ ერთი ნაბიჯის გავლა დარჩებათ ელიტურ ჯგუფამდე. წარმატების შემთხვევაში ამერიკელებს 2013 წელს ექნებათ ფედერაციის თასის მოპოვების შანსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**